ომაზ
ჩხეიძე

ჩვენი
მესხეები

კავკასიური სახლი
თბილისი
2007

უაკ 94 (=353.1) + 325.254.5/6+325.27
ჩ-971

ამ წიგნით „კავკასიური სახლი“ განაგრძობს 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებულ მესხთა პრობლემის გაშუქებას. ავტორი გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან შეუდგა ამ მტკივნეული პრობლემების შესწავლას. მან თავად გაიცნო უამრავი განდევნილი მესხი, დაუმეგობრდა მათ, შუა აზიაშიც ჩააკითხა და ნუგეში და თანაგრძნობა გამოუხატა ქართველი ხალხის იმ ნაწილის სახელით, რომელსაც ვერაფერმა ვერ დააკარგვინა თანატანჯვის უნარი და სამართლიანობის აღდგენის წყურვილი.

პროექტის ავტორი **ნაირა გელაშვილი**

რედაქტორი **ლევან ბრეგაძე**
მხატვარი **მზია დედანაშვილი**
პროექტის კოორდინატორი **დიანა მიქაძე**

ISBN 978-99940-921-8-5



ავტორის შესახებ

ომაზ ჩხეიძე დაიბადა 1948 წელს ბორჯომში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1972 წელს – პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხიდების მშენებელი ინჟინრის სპეციალობით. სწავლა მოსკოვში გააგრძელა, ასპირანტურაში, მაგრამ გული ვერ დაუდო, რადგან მისი სული ხატვას–ფერწერას ეკუთვნოდა.

ბორჯომში დაბრუნებული მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

1988 წელს მოეწყო მისი ფერწერული ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა ჯერ ბორჯომში, შემდეგ – თბილისში. ომაზ ჩხეიძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს თვითნასწავლ მხატვართა რესპუბლიკურ გამოფენაში, საიდანაც მისი სამი ტილო წაიღეს საკავშირო გამოფენაზე. სამივე მათბანმა ოქროს მედალი დაიმსახურა და პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მისი ნამუშევარი „გალაკტიონი“ ამ გამოფენის ლაურეატი გახდა. ამის შემდგომაც ომაზ ჩხეიძე მრავალი გამოფენის წარმატებული მონაწილეა.

მესხეთის თემაზე შესრულებული აქვს ფართოფორმატიანი ტილო.

ამავე საკითხს მიუძღვნა ისტორიული რომანი „გახლეჩილი რწმენა“, რომლის მასალების მოსაძიებლად მოვლილი აქვს (რამდენჯერმე) ცენტრალური აზიის ქვეყნები და ტაო-კლარჯეთი.

ომაზ ჩხეიძე არის საზოგადოებრივ-შემეცნებითი ალმანახი „თორის“ რედაქტორი.

წინათქმა

ნეტა თუ არსებობს ქვეყნად სხვა ერი, რომელსაც იმდენნაირი უბედურებანი დასტეხოდეს თავს, ქართველ ერს რომ გადაუტანია?

ნეტა თუ არსებობს ქვეყნად სხვა ერი, რომელსაც იმდენნაირი სატკივარი აწუხებდეს ერთდროულად, რამდენიც ქართველ ერს ტანჯავს დღეს?

ამ უბედურებათა, ამ სატკივართა შორის ზოგი ისეთია, სხვასაც რომ არაერთხელ დასტყდომია თავს, ზოგიც უნიკალურია, ჯერარნახულია, გაუგონარია.

ჩვენს ერთ ასეთ უნიკალურ უბედურებაზე მოგვითხრობს ეს წიგნი.

ძნელად თუ მოიძებნება კაცობრიობის ისტორიაში სხვა ხალხი, რომელსაც იმდენი ჩაგვრა, დამცირება, შეურაცხყოფა, უსამართლობა, დევნა და შევიწროება განეცადოს, რამდენიც ძველი საქართველოს მოწინავე კუთხის, მესხეთის მკვიდრთ არგუნა ბედმა.

ორ ურთიერთდაპირისპირებულ სამყაროს შორის მოქცეული, დასავლურ-აღმოსავლურ კულტურათა გზაგასაყარზე, ანუ მეტად სახიფათო გეოპოლიტიკურ რეგიონში მოსახლე ჩვენი მესხები, ორმხრივი ზენოლის შედეგად, რასაც მათ მიმართ ხან რიგრიგობით, ხანაც ერთდროულად ახდენდნენ ოსმალთა და რუსთა იმპერიები, საბოლოოდ ისეთ ვითარებაში აღმოჩნდნენ, რომ უჭირთ თვითიდენტიფიკაცია, ანუ იმის გაგება, თუ „ვისი გორისანი არიან“, და მარადიულ ლტოლვილებად დარჩენა ემუქრებათ; ყველა რეპრესირებულ, ყველა დასჯილ-გადასახლებულ ხალხს რაღაც ეშველა, ამათ კი — არა!

ადრეც ცოტა იყო და, სამწუხაროდ, ახლაც ცოტაა (ახლა, მგონი, ადრინდელზე ცოტაც კი!) იმათი რიცხვი, ვინც გულთან ახლოს მიიტანა მესხთა სატკივარი, თავისთვის მრავალმხრივ საარისკო (საჭოჭმანო) პრობლემას შეება, გაისარჯა, რეპრესირე-

ბულთა წარსული და აწმყო გულდასმით შეისწავლა, პირადად გაიცნო ისინი, გაუგო მათ და დედა-სამშობლოში („სად მამა-პაპა ეგულვით, იმათი კუბოს ფიცარი“) ამ ადამიანთა დაბრუნების გზებიც დაინახა.

ერთ-ერთი ამგვარი მოღვაწეთაგანი გახლავთ ამ წიგნის ავტორი ბატონი ომაზ ჩხეიძე, ხოლო სხვებს, ჩვენი ტანჯული თანამემამულეების სხვა ქომაგთ, მისი წიგნი გაგაცნობთ.

ამ წიგნის მკითხველი მიხვდება, რა ზიანი მოაქვს მაჰმადიან მესხთა პრობლემის მოგვარების გაჭიანურებას (დრო ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობსო, გვაფრთხილებს ბატონი ომაზი); არც ის დაგრჩებათ შეუმჩნეველი, რაოდენ ვნებს ამ ფაქიზ (დელიკატურ) საქმეს არაპროფესიონალთათვის მისი მოგვარების მინდობა (პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო, გვასწავლის ჭკვიანური ანდაზა!); ამ წიგნიდან ისიც კარგად ჩანს, რა სასარგებლო იქნებოდა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი ჩვენი ქვეყნისთვის ბეჯითი, შრომისმოყვარე თანამემამულეების შემომატება; იმასაც ნათლად დაინახავთ (და ეს ფრიად და ფრიად სამწუხარია!), რაოდენ ჩამოუვარდება მუსლიმ ქართველებთან დამოკიდებულების საკითხში ჩვენი შეგნების დღევანდელი დონე XIX საუკუნის ქართველთა შეგნების დონეს.

უმთავრესი ღირსება კი ამ ნაშრომისა ის არის, რომ მისი წამკითხველისთვის ძირისძირობამდე მოეფინება ნათელი ამ ურთულეს, მეტად ჩახლართულ პრობლემას; ნაშრომის ამ ღირსებას მისი ავტორის პროფესიონალიზმსა და პატრიოტობას უნდა ვუმადლოდეთ უწინარეს ყოვლისა.

და ბოლოს: მე, თქვენს მონა-მორჩილს, ამ წიგნის ერთ-ერთ პირველ წამკითხველსა და მის რედაქტორს, ასეთი აზრი დამრჩა: მუსლიმ მესხთა საკითხი, მგონი, ის „სასინჯი ქვა“ უნდა იყოს ჩვენთვის, რომლის სამართლიანად მოგვარება-მოუგვარებლობამ შეიძლება მიგვახვედროს, უწერია თუ არა ქართველ ერს ღირსეული მომავალი.

ლევან ბრეგაძე

* * *

ბავშვობა ბორჯომში, ახალშენში გავატარე. ჩვენს უბანში მრავლად ცხოვრობდნენ სომხები, ოსები და რუსები. ძალიან მწყდებოდა გული, ქართველები ცოტანი რომ ვიყავით, და ოცნებით თურქეთსა და ირანში ვმოგზაურობდი გურჯებთან. ვიცოდი, იქ უამრავი ქართველი ცხოვრობდა. სადღაც ნაკითხული მქონდა, რომ ავღანეთში, ინდოეთსა და ალჟირშიც კი უცხოვრიათ ჩვენებს. წამოვიზარდე თუ არა, დღენიადაგ მოსახლეობის აღწერის მასალებს ჩავკირკიტებდი. 1970 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში აზერბაიჯანლების მატების კოეფიციენტი იყო 15%, ჩვენი კი ბევრად ნაკლები. ვფიქრობდი, თუ ასე გაგრძელდა, ეგვიპტელების ბედი გველის-მეთქი, და ერთთავად იმ გზების, საშუალებებისა და რეზერვების ძიებაში ვიყავი, რაც ამ მდგომარეობას გამოგვისწორებდა.

ხშირად გამეგონა, ომიანობის დროს მესხეთიდან თათრები გაასახლესო. ვფიქრობდი, ასე რომ არ მომხდარიყო, მთელ სამცხე-ჯავახეთში ამჟამად უმძიმესი დემოგრაფიული ვითარება გვექნებოდა-მეთქი.

მეორე მსოფლიო ომის დროს მამაჩემი ერთხანს ზურგში, ასპინძაში მსახურობდა და დედაჩემიც თან ახლდა. დედა აქებდა იმ ოჯახს, სადაც ქირით ცხოვრობდა, და ამბობდა, თათრები იყვნენ, მაგრამ ძალიან კარგი ხალხი იყოო. 1944 წელს, როდესაც ეგენი გაასახლეს, მათი საქონელი ბორჯომში ჩამოატარეს. ჩვენების ძროხა ვიცანი, იმანაც მიცნო და შემომბღავლაო.

1972 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მშობლიურ ბორჯომს დავუბრუნდი და ბედმა მარგუნა ბორჯომელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბ-ნი გიორგი ზედგინიძე გამეცნო. ეს არის ყველაზე ნათელი პიროვნება ჩემს ცხოვრებაში. იგი 1922 წელს დაიბადა ჯავახეთის სოფელ ბალანთაში. სპეციალობით

ისტორიკოს-ფილოლოგი იყო. მე ბევრი მეგობარი მყავს, უამრავ სწავლულ ხალხს ვიცნობ, მაგრამ ასეთი განათლებული, ერუდირებული და ყოვლისმცოდნე პიროვნება, დიდი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე არ შემხვედრია. ბატონი გიორგი ჩუმად, უხმაუროდ, უპრეტენზიოდ, თავისთვის, დღენიადაგ რუდუნებით ფუსფუსებდა სამუშაო კაბინეტში და ერთთავად ჩაფლული იყო წიგნებში, წერილებში, სურათებში, არქივში... იმ დროს რუსულის არცოდნა ლამის ადამიანის არასრულფასოვნებასთან იყო გაიგივებული, მან კი ეს ენა არ იცოდა და ძალიან მიკვირდა, ბალანთაში დაბადებულმა და გაზრდილმა რუსულის უცოდინარმა კაცმა საიდან, როგორ, რა გზით მოახერხა ასეთი ცოდნა-განათლების შეძენა-მეთქი. მესხეთში არ მოიპოვებოდა უმნიშვნელო ექსპონატიც კი, რომლის შესახებაც მისგან ამომწურავ ინფორმაციას ვერ მიიღებდით.

ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ მის გარეგნობასა და ადამიანურ თვისებებზე. სიმაღლით მეტრი და ოთხმოცდათვრამეტი სანტიმეტრი, ძვალმსხვილი, მძლავრი, ოდნავ ზანტი, დინჯი კაცი იყო, არასოდეს კარგავდა სულიერ წონასწორობას. ჯერ ბალანთაში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა, შემდეგ კი ბავშვთა აღზრდის საქმეს ემსახურებოდა. ბოლოს ბორჯომის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორი იყო. პენსიაში გასვლის შემდეგ კი (ამ დროს პარტიის რაიკომში ვმუშაობდი) საზოგადოება „ცოდნის“ პასუხისმგებელ მდივნად მოვიწვიე, მაგრამ ამ სამსახურს, ისევე როგორც მანამდე სკოლას, თავი დაანება — მწერლობასა და მეცნიერულ მუშაობაში მიშლის ხელსო.

საოცრად კაცთმოყვარე, კეთილშობილი, პატიოსანი და ალალ-მართალი კაცი იყო. ბორჯომში, და არა მარტო ბორჯომში, ყველას უყვარდა და უდიდეს პატივს სცემდნენ. მახსოვს, ერთხელ ახალციხის სახელმწიფო მუზეუმში წავედით. გიორგი ზედგინიძის გამოჩენა მუზეუმში დიდი მოვლენა იყო. გახარებული თანამშრომლები თითქოსდა ერთგვარ ანგარიშს აბარებდნენ ბატონ გიორგის თავიანთი მუშაობის თაობაზე იმ დროის განმავლობაში, რაც იგი მუზეუმში არ ყოფილა. ხალისით უჩვენებდნენ

ახალ ექსპონატებს, ათას რამეს ეკითხებოდნენ და მისგანაც უზუსტეს პასუხებს და რჩევებს ღებულობდნენ...

და აი, ასეთი კაცი ისე გახდა 65 წლის, რამე სერიოზული დაფასება რაიონის ხელმძღვანელობისაგან არ ჰქონია. მეტიც, ცოტა არ იყოს საშიშ კაცად თვლიდნენ (თუ რისთვის, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ). ამ დროს ჩვენ უკვე ისე დავმეგობრდით, უერთმანეთოდ ვეღარ ვძლებდით.

ჩემი სამუშაო დღე ასე იწყებოდა: დილით, სამსახურში მისვლისთანავე, როგორც წესი, მას ვურეკავდი და მისალმება-მოკითხვის შემდეგ ჩვენს შორის დაახლოებით ასეთი დიალოგი იმართებოდა:

— რას აპირებთ, დღეს რა გეგმა გაქვთ? მოხვალთ თუ ამოვიდე?

— თორმეტ საათზე ჩამოსვლას ვაპირებ და დამელოდე, შემოგივლი...

— დიდხანს არ მალოდინოთ...

ამას იმიტომ ვეუბნებოდი, რომ ვიცოდი, მისი თორმეტი საათი რასაც ნიშნავდა. კოკინაკის ქუჩაზე ჰქონდა სახლი. იქიდან გამოსვლისას გზაში ყველა ესალმებოდა და თვითონაც არავინ რჩებოდა მოუკითხავი. ყველას გასაჭირი და პრობლემა იცოდა, გათავისებული ჰქონდა თითოეულის სატკივარი. მისალმება-მიკითხვა-მოკითხვით ათი წუთის გამოსავლელ გზას საათნახევარს ანდომებდა და სწორედ მაშინ შემოაღებდა კარს, როდესაც გაგანია შესვენების დრო იყო. თან ცოლის საყვედურებს ვისმენდი ტელეფონით, სადილად რატომ აგვიანებო, თან თვალი ფანჯრისკენ მეჭირა. როდის-როდის გამოჩნდებოდა მძიმედ, დინჯად მომავალი. მისი კაბინეტში შემოსვლა ჩემთვის ყოველთვის ბედნიერება იყო. ვსაუბრობდით საქვეყნო პრობლემებზე, პერსპექტივებზე, რაზე აღარ, მაგრამ ჩვენი მთავარი თემა მაინც მაჰმადიანი მესხების საკითხი გახლდათ...

...აი, სწორედ ამ უდიდეს პიროვნებასთან საუბრისას ერთხელ ვახსენე, 1944 წელს ახალციხის მხრიდან თათრები რომ გაასახლეს-მეთქი. ქვემოდან ისე ამომხედა, სიტყვა გამიწყდა; ვიგრძენი უცოდინარობით რაღაც შეცდომა მომივიდა, მაგრამ ვერ კი მივხვდი რა.

— შენ ისინი თათრები გგონია? — გამიყარა თვალი თვალში.

— მაშ ვინ არიან? — ვკითხე რაღაც განსაკუთრებულის თუ საინტერესოს მოლოდინით.

— არ გცოდნია... — ჩაილაპარაკა და სივრცეს მიაპყრო მზერა.

იმ დღიდან ჩემს არსებაში ჩაისახა უზარმაზარი საკითხი, პრობლემა, მიზანი, რომელიც ასე აკლდა ჩემს ყოფას, ჩემს ცხოვრებას. შევედი საოცარ სამყაროში, რომელშიც მთელი არსებით ჩავიძირე, გამიჩნდა დიადი მიზანი, დავინახე პერსპექტივა ჩემი ქვეყნის მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად. თურმე ქართველები გაუსახლებიათ!

...1992 წლამდე ახალციხესა და ბორჯომს შორის მდებარე დაბა აწყურთან შლაგბაუმი იყო მოწყობილი და არც აქედან იქით და არც იქიდან აქეთ სპეციალური საშვის გარეშე არავის უშვებდნენ. ამის გამო ძალზე გაძნელებული იყო აქეთა საქართველოდან იქითა საქართველოში მოხვედრა. დანიშნულება ამ შლაგბაუმისა, სადაც რუსი მესაზღვრეები იდგნენ, ის იყო, რომ მაჰმადიანი მესხებისთვის გადაეღობა გზა, თუკი ისინი იქ დაბრუნებას მოინადინებდნენ, სადაც დაიბადნენ.

ამ მიზეზის გამო თავიანთი მშობლიური ადგილების მონახულების მოსურნე მაჰმადიან მესხებს მხოლოდ ბორჯომამდე შეეძლოთ მოსვლა. ბორჯომში ჩამოდიოდნენ, სასტუმროებში ჩერდებოდნენ, ბინებს ქირაობდნენ, იქ ატარებდნენ შვებულებებს, აკითხავდნენ რაიკომს, აღმასკომს, მილიციას, უშიშროების სამსახურს, რათა როგორმე საშვი მოეპოვებინათ აწყურის წინაღობის გადასალახავად. და მე, რაკილა პარტიის ბორჯომის რაიკომში სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე ვმუშაობდი, მჭიდრო და ხშირი კონტაქტები მქონდა მათთან. ჩემი კაბინეტი ყოველდღე სავსე იყო მესხებით, წლის ყველა დროს, განსაკუთრებით კი ივლის-აგვისტოში, როდესაც მოსავალი უკვე დაბინავებული ჰქონდათ და შუა აზიაში გაუსაძლისი სიცხეები იდგა. მოდიოდნენ და მოჰქონდათ უგემრიელესი შუააზიური ნესვი, საზამთრო, ხმელი ხილი... აგერ, შემოვიდოდა ვიღაც შავგვრემანი, მზისგან გარუჯული, ძვალმსხვილი, მძლავრი აგებულების, მშრომელი კაცი, ან ჩვეულებრივი ცილინდრი ეხურა, ან უზბეკური ქუდი. ომარი

ხარო? — მკითხავდა და დადებით პასუხს რომ მიიღებდა, იცოდა, რომ მის მოყვარულ, ერთგულ ადამიანთან ჰქონდა საქმე. თუ პირადად არ მიცნობდა, გადმოცემით იცოდა ჩემი ამბავი; მოკლედ, დარწმუნებული იყო, რომ მოდიოდა ადამიანთან, რომელსაც მისი სატკივარი სტკიოდა, გათავისებული ჰქონდა მისი უბედურება და დახმარების ხელს გაუწოდებდა.

დიახ, თბილად ვხვდებოდი ამ ტანჯულ ადამიანებს, ვპატიუებდი შინ, კაფეში, რესტორანში, ზოგს სასტუმროში ვაწყობდი, ზოგს — კერძო ბინებში, გამგზავრებისას თვითმფრინავისა და მატარებლის ბილეთების აღებაში ვეხმარებოდი. და, რაც მთავარია, ვუხსნიდი, ვისი გორისანი იყვნენ. მათ ხომ არ ჰქონდათ ნასწავლი საქართველოს ისტორია, არ იცნობდნენ ქართულ ხელოვნებას, ლიტერატურას... სად გაეცნობოდნენ, ვინ ასწავლიდათ?

... და, ისეთ ერისკაცს, როგორიც ბატონი გიორგი ზედგინიძე იყო, სწორედ ამ მესხების მიმართ გამოჩენილი გულისხმიერების გამო, არ ჰქონდა სათანადო დაფასება ხელისუფალთაგან. კმაყოფილებით უნდა განვაცხადო: რაც კი შემეძლო გავაკეთე იმისათვის, რომ ამ დიდბუნებოვან პიროვნებას ღირსეულად მოპყრობოდნენ, თანაც ისე, თვითონ ვერ მიმხვდარიყო, ვისი მოწადინებით ხდებოდა ეს. 1987 წელს დაბადებიდან 65 წლის აღსანიშნავი იუბილე გადავუხადეთ. ამას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, ვინაიდან სწორედ იმ დროს გამოვიდა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც მაქსიმალურად ზღუდავდა (შეიძლება ითქვას, კრძალავდა) იუბილეების ჩატარებას. ამიტომ, როდესაც ჩემი განზრახვა რაიკომის პირველ მდივანს გავაცანი, მისი მხრივ დიდ წინააღმდეგობას წავაწყდი, მაგრამ ძალიან ვეცადე და მაინც გავიტანე ჩემი (პირველი მდივანი არ დასწრებია ამ ღონისძიებას). იმასაც მივაღწიე, რომ ბატონ გიორგის ბორჯომის საპატიო მოქალაქის წოდება მივანიჭეთ და ორდენზეც წარვადგინეთ. საიუბილეო საღამოზე მისი მეგობარი მწერლები მოვიწვიე ბატონი რეზო ჯაფარიძის თავკაცობით. და, რა თქმა უნდა, მისდა გასახარად, შუა აზიიდან, აზერბაიჯანიდან და ჩრდილო კავკასიიდან მისი მეგობარი მესხები ჩამოვიყვანე!

ორმოცამდე კაცი იქვე, ბორჯომის მინერალური წყლების პარკიდან შემოვიპატიჟე. მათ სპეციალური მოსანვევები დავურიგე. თვალებს არ უჯერებდნენ!

როდესაც საღამო „მიტელშპილში" შევიდა, სცენიდან რუსულად გამოვაცხადე (საღამო მე მიმყავდა):

— ძვირფასო მეგობრებო! დიდი ქართველი ერისკაცის, გიორგი ზედგინიძის საიუბილეო საღამოს ესწრება ხალხი, რომელიც განსაკუთრებით ძვირფასი და საყვარელია ბატონი გიორგისათვის. ესენი არიან ადამიანები, რომელთა მიმართ ჩვენს იუბილარს უზარმაზარი ამაგი მიუძღვის. ისინი ბატონი გიორგის პატივსაცემად უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან, აზერბაიჯანიდან და ჩრდილო კავკასიიდან ჩამოვიდნენ. გთხოვთ, მხურვალე ტაშით მივესალმოთ ჩვენს სისხლსა და ხორცს, ჩვენს საყვარელ ძმებს, მაჰმადიან მესხებს.

ყველანი წამოდგნენ. ოთხასკაციანი დარბაზის ტაშის თანხლებით სათითაოდ დავასახელე მათი სახელები და გვარები. ცხოვრებაში პირველად ვნახე აღელვებული და თვალცრემლიანი ბატონი გიორგი. ეს ჩემი სიურპრიზი იყო, ამის თაობაზე იუბილარმა წინასწარ არაფერი იცოდა. ასეთი რამის გაკეთება იმ დროს, თანაც რაიკომის მუშაკისგან, დაუჯერებელი ჩანდა.

ახლაც თვალწინ მიდგას შეცბუნებული, დაბნეული და თვალცრემლიანი მესხები. არა, იმას, რაც დარბაზში ხდებოდა, ვერც ერთი მათგანი ვერ წარმოიდგენდა! მიიწვიეს, მიესიყვარულნენ, ძმები უნოდეს ასე სახალხოდ, საჯაროდ! დარწმუნებული ვარ, ბევრი მათგანი, ამის შემხედვარე, გულში ფიქრობდა: „იქნებ მართალს ამბობენ გიორგი ვლადიმიროვიჩი, შოთა ლომსაძე, ომარი და სხვები, რომლებიც დიდი ხანია ჩაგვჩიჩინებენ იმას, რომ ქართველებმა კი არ მოგვიკვეთეს, რუსებმა ჩაიდინეს ეს? ხალხი ტაშს გვიკრავს, თავისიანებად გვთვლის, ქართველებს ვყვარებივართ, ესე იგი, მართლა ჩვენი ძმები ყოფილან. ეტყობა, რასაც ოდობაშვილი და სარვაროვი ამბობს, მართალი არ არის!"

სამოცდაათი კაცი გვესტუმრა. სამწუხაროდ, ჰალილი, ახმედი, ალი-ხანი და ზოგიერთი სხვა ლიდერი ვერ ჩამოვიდა. მაგრამ იმათ, ვინც იმ ღონისძიებას ესწრებოდა, არ დაავიწყდებოდათ ის საღამო.

ბატონი გიორგი არის ჩინებული რომანების „დედის ტაძრისა“ და „გატეხილი ხიდის“ ავტორი, რომლებიც მის დიდ ერუდიციას, ისტორიისა და დღევანდელობის ღრმა ცოდნას წარმოაჩენენ. გარდა ამისა, მის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო სტატია და გამოკვლევა. სერიოზულად იმუშავა რუსთველოლოგიაში, იკვლევდა ეთნოგრაფიას, ასომთავრულ დამწერლობას, გაშიფრა ოშკისა და ხახულის წარწერები, შექმნა ნაშრომი ციხისჯვრის თაობაზე და სხვ. სამწუხაროდ, დაუმთავრებელი დარჩა ფუნდამენტური ნაშრომი „ჯავახური ლექსიკონი“. ლექსებსაც წერდა, მაგრამ არ აქვეყნებდა.

ბატონი გიორგი ზედგინიძის პიროვნების უკეთ წარმოსაჩენად გთავაზობთ ერთ ადგილს ლ. ბასილაიას წიგნიდან „რა ხდებოდა ბორჯომში“:

„პარტიულ ფუნქციონერებს გულზე არ ეხატებოდათ ბატონ გიორგის თავგამოდება ჩვენი ქვეყნისა და ხალხის დასაცავად. აი, ერთი ფაქტი, რომლის მომსწრე უშუალოდ გავხდი. პირველ მდივანთან თათბირისას ტელეფონმა დარეკა. რაიონის თავკაცმა ყურმილი აიღო და კარგ ხასიათზე მყოფი თანდათან მოიღუშა, ბოლოს სახე წამოენთო, მაგრამ დათაფლული ხმის კილო არ შეუცვლია. დაამთავრა თუ არა საუბარი, ფეხზე წამოიჭრა და ვიღაცის მისამართით თითქმის უცენზურო სიტყვები დასცდა. დაინტერესებულები შევყურებდით მას და ვერ გაგვეგო, რა ხდებოდა. მდივანმა კი მიბრძანა: ბასილაია, ახლავე მოძებნე და აქ მოიყვანე გიორგი ზედგინიძე და ალექსანდრე ცუცქირიძეო. ბრძანება შევასრულე, ჩემი მანქანით სახლებში მივაკითხე მათ და რაიკომში წავიყვანე. რაშია საქმეო, ერთი-ორჯერ კი შემეკითხნენ გიორგი და ალექსანდრე, მაგრამ რაც არ ვიცოდი, რას ვეტყოდი. ასე მივაღწიეთ „ხაზეინის“ კაბინეტამდე. თათბირის მონაწილეები კიდევ იქ იყვნენ. გიორგისა და ალექსანდრეს დანახვისთანავე მდივანი ფეხზე წამოხტა, მაგიდას ხელი დაჰკრა და შემოსულებს შეუტია: ვინა ხართ თქვენ, ვინ გეკითხებათ ქართული ენის დაცვას და მაჰმადიანი მესხების პრობლემების გადაჭრას, ან ჯავახეთში ქართველების გასომხებას და ქართული სოფლების დაცვის საკითხს. ახლავე, აქვე დასხედით და დაწერ-

ეთ დეპეშა პარტიის გენერალური მდივნის სახელზე და ბოდიში მოიხადეთ თქვენი დაუფიქრებელი მოქმედებისთვისო. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მდივანმა კი მათ არ დააცადა და განაგრძო: თქვენ არცხვენთ რაიონის პარტიულ ორგანიზაციას, კომუნისტის წოდებას, ახლა რომ 37 წელი იყოს, კედელთან მიგაყენებდნენო. მე მხედველობაში ვიღებ თქვენს დამსახურებას და ასაკს და თუ დასკვნებს გააკეთებთ, ბოდიშს მოიხდით, გაპატიებთო. ორივემ, თითქოს მოლაპარაკებულები იყვნენ, უნისონში თქვეს: ჩვენ არავითარი დანაშაული არ ჩაგვიდენია, რომ ბოდიში მოვიხადოთო. ამ განცხადებამ პირველ მდივანს წონასწორობა დააკარგვინა და შეჰყვირა, ციმბირს აქეთ დაგატოვებინებთო. ბატონმა გიორგიმ ჩვეული სიდინჯით აუღელვებლად უთხრა: პატივცემულო მდივანო, ამ ბოლო დროს იქმნება ტენდენცია, რომ ქართულ ენას წაერთვას სახელმწიფო ენის სტატუსი. ეს საიდანაც მოდის, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ხოლო მაჰმადიანი მესხების შესახებ ჩემი კონკრეტული მოსაზრება მაქვს, რაც ცკ-ს გავუზიარე. ამ სიტყვებმა პირველი მდივანი პირდაპირ გადარია და კვლავ შეუტია: შენ ვინ გეკითხება, ბალი ორი შაურიაო და გააგრძელა. მაგრამ გიორგი არ შედრკა, ბ-ნი ალექსანდრეც მხარში ამოუდგა. საბოლოო ჯამში, რაიონის თავკაცმა მათ კვლავ წინადადება მისცა, უარი ეთქვათ თავიანთ განცხადებაზე, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. ორივემ დემონსტრატიულად დატოვა კაბინეტი და გარეთ გამოვიდა. ბ-ნ გიორგის არ მოერიდა მისაღებში გამოსული ხალხის და თქვა: რა გვეშველება ასეთების ხელშიო."

მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ ბატონი გიორგი 72 წლის ასაკში აფხაზეთზე დარდმა იმსხვერპლა...

როცა გიორგი ზედგინიძისგან გასახლებულთა ქართველობის ამბავი შევიტყვე, ავფორიაქდი:

— როგორ, ქართველები არიან? მაშინ რატომ არ იცოდნენ ეს ჩემმა მშობლებმა? ყველა რატომ უწოდებს მათ თათრებს? თუ ისინი ქართველები არიან, რატომ არაფერს აკეთებს ჩვენი მთავრობა მათ დასაბრუნებლად? სად არიან დისიდენტები? —

აი, კითხვები, რომლებმაც ამაფორიაქეს და მთელი ღამე უძ-ილოდ გამატარებინეს. „300 000-მდე უნდა იყვნენო“, — კვლავ და კვლავ მახსენდებოდა ბატონი გიორგის ნათქვამი, — „მაგათზე მშრომელი ხალხი ქვეყნად მეორე არ არის. სწორედ შრომამ გადაარჩინა ეგენიო“.

აღწერის მასალები ამოვიღე და კირკიტი დავუწყე. 1970 წლის აღწერის შემდეგ ქართველები 3130 741 ვიყავით. ამას რომ 300000 დავუმატოთ-მეთქი... ვფიქრობდი.

მეორე დღეს, ჩვეულებისამებრ, დილით 9 საათზე დავურეკე. რუსუდანი (მისი მეუღლე) ცუდად არის და ვერ მივატოვებო, მითხრა. არადა ცნობისმოყვარეობა მკლავდა. უამრავ შეკითხვაზე მინდოდა მისგან პასუხი მიმეღო.

ამ დროს ჭადრაკში ჩემმა ძველმა მეტოქემ, ირაკლი მაღრაძემ, შემოაღო კარი. მაშინ ირაკლი შუა ხნისა იქნებოდა, ჩემზე ბევ-რად უფროსი. იგი წარმოშობით მესხეთიდან, კერძოდ, ახალქალა-ქის რაიონის სოფელ ქილდიდან იყო და ამ საკითხზე ეცოდინება რამე-მეთქი, ვიფიქრე.

— ირაკლი, — ვუთხარი მისალმებისთანავე, — შენ მაჰმადი-ან მესხებს თუ იცნობ?

— როგორ არა, ძალიან ბევრს, — მითხრა და ჭადრაკის დაფა გაშალა.

— მოიცა, მერე ვითამაშოთ. ვინ არიან ეგენი?

— ეგენი 1944 წელს სტალინმა გაასახლა. გიორგი ამბობს, ქართველები არიანო. აბა რა ვიცი, რა გითხრა!

— როგორ? ამბობ, ბევრს ვიცნობო, და არ იცი, ვინ არიან?!

— გიორგი ხომ არ გელაპარაკა? თუ ძალიან გაინტერესებს, რამდენსაც გინდა, იმდენს გაჩვენებ.

— საიდან, როგორ მაჩვენებ?

— საღამოს პარკში გავიდეთ, დიდი ქვის ლოდები რომ არის ზურაბ წერეთლის მოზაიკურ პანოსთან, იქ იკრიბებიან ხოლმე.

— იქ რას აკეთებენ?

— ახალციხისკენ უნდათ გასვლა და ბორჯომში ჩამოსულები იქ იყრიან თავს...

პარკისკენ გავემართეთ. იმ დროს ცხოვრება ჩქეფდა და დულ-

და, უამრავი დამსვენებელი ჩამოდიოდა კურორტზე და პარკი გადავსებული იყო, ზღვა ხალხი ირეოდა. სანატორიუმ „ფირუზას“ რომ მივაღწიეთ, ირაკლიმ ორი კაცი შეაჩერა. შავგვრემანები იყვნენ. ერთს უზბეკური ქუდი, მეორეს კი ცილინდრი ეხურა.

— გამარჯობა, მირხან! — მიესალმა რუსულად.

— გაგიმარჯოს, ირაკლი! — ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს.

ირაკლისაც და იმ ორ კაცსაც დიდი სითბო შევნიშნე ერთმანეთის მიმართ.

მე ხომ ცოტა უცნაური სახელი — ომაზი — მქვია, ამიტომ ურთიერთობის გასაადვილებლად ომარის სახელით გავეცანი მათ (მაჰმადიანი მესხები დღესაც ასე მეძახიან, ბევრჯერ უთქვამთ, ჩვენებური სახელი გქვიაო). ვთხოვე, კაფეში შევიდეთ-მეთქი. სიამოვნებით დამთანხმდნენ და სუფრა შევუკვეთე.

— პირველად ხართ ბორჯომში? — ვკითხე რუსულად.

— თითქმის ყოველ წელს ჩამოვდივართ.

— ქართული იცით?

— არა!

— რატომ?

მხრები აიჩეჩეს.

— როგორ? ქართველებმა ქართული არ უნდა იცოდეთ? — ვუთხარი ნაწყენმა.

— ჩვენ თურქები ვართ! — განაცხადეს ერთხმად.

ცივი წყალი გადამესხა. კი მაგრამ, გიორგიმ რომ მითხრა, ქართველები არიანო? დავიბენი.

— მაშ, თურქები ხართ?

— რა თქმა უნდა...

— თქვენ ხომ 1944 წელს გადაგასახლეს მესხეთიდან შუა აზიაში?

თავი დამიქნიეს.

— მერე, იქიდან გასახლებულები ყველანი თურქები ხართ?

— დიახ, თურქები ვართ!

ასე ერთბაშად დამენგრა ღამით ნაგები ოცნების კოშკები. კი მაგრამ, გიორგის ეს როგორ შეეშალა?

— აქ მარტო თქვენ ხართ შუა აზიიდან ჩამოსულები თუ სხვებიც არიან? — იმედგაცრუებული ხავსს ვეჭიდებოდი.

— არა, პარკში სხვებიც არიან, ბევრნი არიან, — მითხრა მირხანმა.

კაფედან გამოსვლისთანავე ყველას დავემშვიდობე. ახალი იმედგაცრუების შიშით ვეღარც სხვებთან გამოლაპარაკება გავბედე, შინისაკენ გავეშურე და ბატონ გიორგის დავურეკე.

— ეგ არაფერი, — მითხრა მშვიდი ხმით, — გული არ გაიტეხო. შეგიძლია ხვალ ორივენი ჩემთან ამოიყვანო? მთელი დღე შინ ვიქნები, „გატეხილ ხიდზე" ვმუშაობ, და როცა გინდა, ამოდით.

მეორე დღეს კვლავ პარკში შევიარე. ლოდებთნ „შუაა-ზიელები" დავინახე. გაცხარებულები საუბრობდნენ. მათ შორის წინა დღით გაცნობილი მირხანი და ბაჰადირი შევნიშნე. მივე-სალმე და ყველას ხელი ჩამოვართვი. ოცდახუთ კაცამდე იქნე-ბოდნენ. მერე მირხანსა და ბაჰადირს ვთხოვე, აქ ერთი კარგი მწერალი ცხოვრობს და თქვენთან შეხვედრა უნდა-მეთქი.

— ვინ, გიორგი ზედგინიძე? — მკითხა ერთმა.

— გიორგი ვლადიმიროვიჩი? — მომაძახეს აქეთ-იქიდან.

— იცნობთ?

— რა თქმა უნდა, — მითხრა ერთ-ერთმა, — ყველა შუააზიე-ლი თურქი იცნობს მაგას.

— მაშ თქვენც თურქები ხართ? — ვკითხე იმედგადაწურულმა.

— კი, თურქები ვართ...

— თურქი არა მონღოლი! — შეუტია ჩემთან მოსაუბრეს მის გვერდით მდგარმა საშუალო ტანის, ძლიერი აგებულების კაცმა, — აი, შენნაირები აფუჭებენ საქმეს, — ჩაიქნია ხელი და გაგვ-შორდა.

მინდოდა დავდევნებოდი, მაგრამ მირხანი და ბაჰადირი მყავდნენ ასაყვანი ზედგინიძესთან და მათთან ერთად გავწიე კოკინაკისკენ. ბატონმა გიორგიმ დინჯად, გულთბილად მიგვი-ღო. ჩემდა მოულოდნელად ის კაცი, კლდის ლოდთან გულმო-სულმა რომ გვაქცია ზურგი, იქ დაგვხვდა. რიჟალი ყოფილა მისი სახელი. როგორც მოგახსენეთ, ბატონმა გიორგიმ რუსული არ იცოდა, მაგრამ თურქულად ლაპარაკობდა. მან ორივე სტუმარი დაკვირვებით შეათვალიერა და იკითხა:

— რა გვარები ხართ?

რაღაც უზბეკური თუ ყაზახური გვარები წარმოთქვეს.

— ეგ არ მაინტერესებს, ქართულ გვარებს გეკითხებით.

— მაჩაბელი.

— გურგენიძე.

— მაჩაბელი და გურგენიძე?! — გავოცდი მე.

ბატონი გიორგი მცირე ხნით ჩაფიქრდა და მერე იკითხა:

— ურაველელები ხართ?

— კი! — გამოცოცხლდნენ სტუმრები.

— რა ეროვნების ხალხი ხართ? — გამომცდელი მზერა მიაპყრო სტუმრებს.

მესხები შეყოყმანდნენ. კვლავ რომ გაუმეორა კითხვა, მირხანმა უპასუხა:

— თურქები!

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაშინ თქვენი წინაპრები მაჩაბლები და გურგენიძეები როგორ იყვნენ? რომლის შვილი ხარ შენ? — ჰკითხა შედარებით ახალგაზრდა ბაჰადირს.

— მამაჩემს სეიფულა ერქვა.

— მაშ, სეიფულას ვაჟი ხარ? ცოცხალია?

— არა, ორი წლის წინ გარდაიცვალა.

— ბიძაშენი ისმიხანი როგორ არის? თქვენ აზერბაიჯანში გადმოხვედით, ხომ?

— კი, ბიძაჩემი კარგად არის, გმადლობთ, — აღფრთოვანდა „თურქი“. — იცნობთ?

— მერე, სეიფულამ და ისმიხანმა ის გასწავლეს, თურქები ვართო?

— ვაი, თქვენს პატრონს, — მიაყარა ქოქოლა რიჟალმა, — თვალით არ გინახავთ ყურანი და თავს დებთ მისთვის. დღეში რამდენჯერ ლოცულობთ ალაჰის სახელზე?

— გუშინ რომ ომაზმა ხინკალზე დაგპატიჟათ, — უთხრა ბატონმა გიორგიმ, — მოგეწონათ? არაყიც დაგიყოლებიათ. ყურანით ეგ რომ არ შეიძლება? კარგად ვიცი თქვენი ამბავი, თუ აღიარებთ ქართველობას, მაჰმადიანურ სამოთხეში ვეღარ მოხვდებით, ხოლო ღორის ხორცით დამზადებული ხინკლის ჭამა და არყის

დალევა, ფიქრობთ, ნაკლები ცოდვაა?

მერე მე მომიბრუნდა:

— შესანიშნავად იციან, ვინც არიან, მაგრამ აღიარებისა ეშინიათ, თან ჩვენ გვთვლიან მაგათ გამსახლებლებად და ჯიბრით უარყოფენ თავიანთ ქართველობას.

მერე კვლავ მათ მიუბრუნდა:

— იერლი ხართ? მე ძალიან კარგად ვიცი, ვინც ხართ, მაგრამ მაინტერესებს თქვენ როგორ ფიქრობთ.

— დიახ, იერლები ვართ! — თქვა მირხანმა ამაყად.

— მერე? იცით თქვენ, მაგით რას ამბობთ? ეგ ნიშნავს, აქაური აბორიგენები, ანუ ქართველები ვართო. მაგრამ ახლა უკვე გათურქებულხართ. დუნენ არმუდ იდინ, ბოგუნ ალმა ოლდუნ?[1]

გაბუსუნებული სტუმრები თავებს ვეღარ სწევდნენ მაღლა. მთლად დაჰკარგვოდათ ის რიხი და სითამამე, იქ, ლოდებთან თვალში რომ გეცემოდათ.

— პაპაშენი არ იყო, 1915 წელს საკუთარ სახლში ქართველების დამალვისა და გადარჩენისათვის თურქებმა რომ დააპატიმრეს?

ხომ კარგად ვიცნობდი ბატონ გიორგის როგორც დიდებულ, საოცარ პიროვნებას, მაგრამ რაც იქ ხდებოდა და რასაც ვისმენდი, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა. ხარბად ვუგდებდი ყურს.

წამოდგა და ორი სქელი წიგნი ჩამოიღო თაროდან.

— არაბულად დაწერილს კითხულობთ? — დაეკითხა მათ და იმ წიგნებიდან ერთ-ერთი ამოარჩია. რასაც თურქულად ვერ ახერხებდა, ქართულად ამბობდა და რიჟალი თარგმნიდა.

— 1578 წელს, როდესაც თურქებმა თქვენი მხარე დაიპყრეს, მოსახლეობა აღწერეს, — უთხრა მასპინძელმა სტუმრებს, — ეს იმ მიზნით გააკეთეს, რომ არავინ დარჩენოდათ დაუბეგრავი. ხალხს ართმევდნენ, — გადაშალა წიგნი და სათვალე გაიკეთა, — ისფენჯს, ხუმსის, ჯიზიეს, უშრის, ბეჰრეს, ბენაქს, თაფუს, მურახხასიეს, სილარიეს, ბადაჰავას, დეშთაბანს, საქორწინოს, ჩიფთის გადასახადს, დონუმის, რესმი ყიშლაღს... ასე განსაჯეთ,

---

[1] გუშინ ვაშლი იყავი, დღეს მსხალი გახდი? (თურქ.)

ჰაერის სუნთქვაზეც კი ფულს ახდევინებდნენ. ისინი თქვენს წინაპრებს ქაფირებს (ურწმუნოებს) უწოდებდნენ. მივიდოდნენ რომელიმე მესხის ოჯახში, ძროხას დაუკლავდნენ, ჭამდნენ, სვამდნენ და ბოლოს „მასპინძელს" მათი კბილების ცვეთის ბაჰარა უნდა გადაეხადა. ხალხი წელში იყო გაწყვეტილი მათი ბეგარით. თუ ქრისტიანობას დააგდებდნენ და მაჰმადიანობას მიიღებდნენ, გადასახადებისგან და ჯარიდან ათავისუფლებდნენ. ამიტომ ეს გაჭირვებული ხალხი იძულებული იყო თავის გადასარჩენად ისლამი მიეღო.

იმას გეუბნებოდით, — განაგრძო გიორგიმ, — დაიპყრეს თუ არა მესხეთი, შეადგინეს აი, ეს წიგნი, რომელსაც უწოდეს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", სადაც ყველა სოფელია აღწერილი და აქედან კარგად ჩანს, იმ დროს რა ეროვნების ხალხს უცხოვრია იქ. როდესაც ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობის აღწერისას შავით თეთრზე წერია, — ბატონმა გიორგიმ წიგნი გადაფურცლა და წაიკითხა, — ელიზბარ გიორგის ძე და ძე მისიო, ხომ ნათელია, რა ეროვნების ადამიანებზეა ლაპარაკი? ეს დოკუმენტი თვითონ შეგვიქმნეს და დაგვიტოვეს თურქებმა. ამიტომ, მეტყვით თუ არა მშობლიური სოფლის სახელს, ამ დავთრის საშუალებით შეუცდომლად მეცოდინება, ვისთან მაქვს საქმე.

ამასობაში ქალბატონმა რუსუდანმა სუფრასთან გვიხმო. დღესაც კარგად მახსოვს ბატონი გიორგის მიერ წარმოთქმული პირველი სადღეგრძელო.

— ეს ჩემს ოცნებას გაუმარჯოს და ამსრულებოდეს. სამი ნატვრა მაქვს: პირველი: აღმოჩენილიყოს უძველესი ქართული დამწერლობა; მეორე: ძალზე შელახულია „ვეფხისტყაოსანი" გადამწერების მიერ, რომლებიც, თავიანთი ჭკუით, „შემოქმედებითად" ასწორებდნენ რუსთველის ტექსტს. ამიტომ, ჩემი ოცნებაა აღმოჩნდეს „ვეფხისტყაოსნის" უძველესი ხელნაწერი; და მესამე — თქვენ, მესხები დაბრუნდეთ საქართველოში.

— შენ გული არ გაიტეხო, — მითხრა მზრუნველი ხმით, — ცოტა ემოციური კაცი ხარ და ხელი არ ჩაიქნიო. აი, რიუალს ხომ ხედავ, ამან ყველაფერი იცის. ასეთებიც არიან და სხვანაირებიც.

მათ, ვისაც აღარ ახსოვთ ვისი გორისანი არიან, ჩვენ უნდა მოვაგონოთ ეს, სითბო, სიყვარული ვუჩვენოთ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თავისიანებად ჩაგვთვალონ.

გვიანობამდე ვიპურმარილეთ.

მეორე დღეს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, პარკში ნავედი. მესხები გროვდებოდნენ. მირხანი და ბაჰადირიც მოვიდნენ. რუსულ-თურქულად ლაპარაკობდნენ და თითქმის ყველაფერს ვგებულობდი. ამბობდნენ, ბაკურიანის მხრიდან რომ წავიდეთ, იქნებ არ გაგვაჩერონო. მაგრამ მაინც ვერ ბედავდნენ: რომ გამოგვიჭირონ, ყველას გავუფუჭებთ საქმესო.

— ესე იგი, მე ქართველი ვარ? — მკითხა ერთმა მესხმა, რომელიც, როგორც შემდეგ შევიტყვე, სამარყანდის ოლქიდან ყოფილა.

აქვე უნდა აღვნიშნო, 1989 წელს მთელი ჩემი არქივი მესხების შესახებ გამინადგურეს, რის გამოც, სამწუხაროდ, ველარ ვახერხებ ყველას სახელებისა და გვარების აღდგენას.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა იქვე მდგომმა ტანმორჩილმა მესხმა, — რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ქართველი სხვა ცნებაა და ქრისტიანი კიდევ — სხვა.

უმრავლესობას უსიამოდ შეეცვალა სახე ამგვარი განმარტების მოსმენისას.

მინდა რამდენიმე წლით წინ გადავინაცვლო, მოვიგონო 1983 წლის ერთი მზიანი დღე. იმ დროს უკვე კარგად ვიყავი გათვითცნობიერებული მაჰმადიანი მესხების საკითხში, ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი სატკივარი, საფიქრალი, პრობლემა. უამრავ მესხს ვხვდებოდი, იმედგაცრუებაც ბევრი მახსოვს და სიხარულიც, ძალიან მშველოდა გიორგი ზედგინიძისა და პროფესორ შოთა ლომსაძისაგან მიღებული ცოდნა. ბატონი გიორგი და მე დროდადრო ვსტუმრობდით ხოლმე თბილისში ბატონ შოთას, რომელიც მაჰმადიანი მესხების საქმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, თეორეტიკოსიც იყო და პრაქტიკოსიც, ცოცხალი ენციკლოპედია გახლდათ, ამ პრობლემაზე ფუნდამენტური ნაშრომები ჰქონდა დაწერილი. გიორგი ზედგინიძის მსგავსად, ისიც მესხეთში დაიბადა და გაიზარდა (ჯავახეთის სოფელ ჩუნჩხიდან იყო). ბატონი

გიორგი იშვიათად დადიოდა თბილისში, მე კი პირიქით — ხშირ-ხშირად, და ყოველთვის სახელმწიფო მუზეუმისკენ მიმეჩქარებოდა, რომ ამ დიდბუნებოვან პიროვნებას, უფროს მეგობარს, ბატონ შოთას შევხვედროდი და ერთგვარი ანგარიში ჩამებარებინა მისთვის შესრულებული სამუშაოს შესახებ.

ასეთი ტაქტიკა მქონდა შემუშავებული: მე თითქმის ყოველდღე მიწევდა მესხებთან შეხვედრა. თუ ისე მოხდებოდა, რომ რაიკომში არავინ შემომივლიდა, თვითონ ავდიოდი პარკში, სადაც, ყოფილა შემთხვევა, 150-200 კაცი მინახავს ერთად. გატაცებით ვმუშაობდი, დაუღალავად. ვცდილობდი გამეგებინებინა მათთვის „ვისი გორისანი" იყვნენ, ანუ იმას ვაკეთებდი, რაც წესით მთავრობას უნდა ეკეთებინა. თუ რომელიმესთან გამიჭირდებოდა მუშაობა, „მძიმე არტილერიას", ბატონ გიორგის ჩავრთავდი საქმეში. მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო: შესანიშნავი შედეგები გვქონდა და მთავრობას რომ ოდნავ მაინც შეეწყო ხელი, ყურადღება მოექცია და ოფიციალური სახე მიეცა ჩვენი მუშაობისთვის, განეხორციელებინა ჩვენ მიერ შემუშავებული გეგმა, დღეს მესხების უმეტესობის აზროვნება და ორიენტაცია სულ სხვაგვარი იქნებოდა.

ჩემთვის ხშირად უკითხავთ, რატომ არის, რომ თურქეთში მცხოვრები გურჯებიც და ფერეიდნელებიც მაჰმადიანები არიან, მაგრამ შენარჩუნებული აქვთ ქართული სული, მაჰმადიანი მესხები კი გაიძახიან, თურქები ვართო. ამას ღრმა მიზეზები აქვს. მრავლისშემძლე, უხილავი ხელი თუ ძალა ათწლეულების განმავლობაში რუდუნებით მუშაობდა იმისათვის, რომ ძირძველ ქართველებს — მესხებს — არაქართული, თურქული ორიენტაცია მიეღოთ. მუშაობა მიმდინარეობდა დღენიადაგ, მუხლჩაუხრელად. ჯერ კიდევ პასკევიჩის დროს ახალციხის მხარის ახლად დანიშნულმა მართებელმა ბებუთოვმა 1829 წელს პეტერბურგიდან საიდუმლო ბრძანება მიიღო, ყველაფერი ეღონა საიმისოდ, რომ მაჰმადიანი მესხები თურქეთში წასულიყვნენ მუჰაჯირებად. ამ მიზნით, ბებუთოვის ინიციატივით, მათ უფლება მიეცათ გაეყიდათ თავიანთი ადგილ-მამული. ეს საკითხი ნათლად რომ წარ-

მოვაჩინო, მოვიყვან ერთ თავს ჩემი ისტორიული რომანიდან „გახლეჩილი რწმენა“:

რუსებმა რომ ახალციხე აიღეს, გრაფმა პასკევიჩმა ამ მხარის დროებითი მმართველი ორგანო შექმნა, რომლის უფროსად თავადი ვასილ ბებუთოვი დანიშნა; მაგრამ მალე მმართველობის წევრები დაითხოვა და მათგან მხოლოდ ბებუთოვი, პოლკოვნიკი დრეშრენი და მაიორი კუჩინი დაიტოვა.

„როდესაც დარბაზში სამივე მარტო დაიგულა, პასკევიჩს საზეიმო განწყობილება წაეშალა სახეზე. თითოეული მათგანი გამომცდელი თვალით შეათვალიერა და შემპარავი ხმით წარმოთქვა:

— ბატონებო! არც ერთი სიტყვა იქიდან, რასაც ახლა ვიტყვით, არ უნდა გავიდეს ჩვენგან. ეს სამხედრო საიდუმლოებაა.

მმართველობის სამივე წევრი სმენად იქცა.

— თქვენ უდიდესი პატივი გხვდათ წილად, რაც განუზომელ პასუხისმგებლობას გაკისრებთ, — ცოტა ხანს შეყოვნდა და განაგრძო: — დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ, მოლოცვებს ბოლო არ უჩანს. თუმცა კეთილმოსურნეებს შორის იყვნენ ისეთი პიროვნებებიც, რომლებიც საკუთარი მიზნებისათვის ცდილობდნენ ჩვენი მიღწევების შედეგების გამოყენებას. ჩემთან მოვიდნენ ქართლის მოქალაქეები: ციციშვილები, მუსხელიშვილები, ავალიშვლები, თუ არ ვცდები, ვინმე გოგორაშვილები თუ რაღაც ამგვარი, სხვებიც. მათ წარმოადგინეს ქართველ მეფეთა ხავსმოდებული სიგელები იმის თაობაზე, თითქოს ისინი წარმოშობით მესხეთიდან არიან, შემდეგ გადავიდნენ ქართლში და რომ ვითომ კანონით მათ ეკუთვნით აქაური მამულები. ასეთი განცხადება ყოვლად უსაფუძვლოა. იგი მიმართულია იმპერიის ინტერესების საზიანოდ.

გახსოვდეთ, თითოეული თქვენგანის მოქმედება მიმართული უნდა იყოს არა საკუთარი ან ვინმეს კერძო ინტერესების, არამედ იმპერიის საკეთილდღეოდ. მოსახლეობის ნაწილი აიყარა მესხეთიდან, ბევრი გურია-აჭარა-იმერეთსა და ქართლში გადავიდა, ზოგიც ოსმალეთში გაიქცა. არცთუ მცირე რაოდენობა ომმა იმსხვერპლა. ასე რომ, თავისუფალი მამულები თავზესაყრელია.

თუმცა თათართა უმეტესობა აქ დარჩა. აქაური ხალხის თურქეთში გადაშენება, დიახაც რომ მისასალმებელია. არათუ უნდა შევაჩეროთ, პირიქით, ყოველმხრივ წავაქეზოთ და ხელი შევუწყოთ. მისი უდიდებულესობის — იმპერატორის — მიზანია განთავისუფლებულ მიწებზე ჩვენი ხალხი — რუსი სექტანტები და დუხაბორები ჩამოვასახლოთ. გარდა ამისა, ყარსში ყოფნისას, ჩემთან სომხები მოვიდნენ და აქეთ გადმოსახლება მთხოვეს. ისინი ქრისტიანები არიან, მათი აქ შემოყვანა რუსებთან ერთად და თათრების გასახლება საზღვრებს განგვიმტკიცებს. აი, ეს უნდა იყოს დროებითი მმართველობის მთავარი მიზანი. თუ როგორ განვახორციელებთ ამ გეგმას, ეს თქვენს ჭკუა-გონებასა და სიმარჯვეზე იქნება დამოკიდებული.

ბებუთოვს ფრთა მოემარჯვებინა და რვეულში სწრაფად იწერდა ყოველივე ამას.

— თათრების მიმართ უნდა გაატაროთ ეკონომიკური და რელიგიური შევიწროების ღონისძიებები. თუმცა აქვე ისიც უნდა გითხრათ, რომ ყოველივე ეს მეტად ფრთხილად, შენიღბულად უნდა ვაკეთოთ, რადგან ეს ხალხი ძალზე უნდო და ბოროტია. ისინი ფაშას და თვით სულთანსაც კი არ ეპუებიან. ამაში დასარწმუნებლად 1816 წლის გახსენებაც საკმარისია.

ისეთი სიჩუმე ჩამოწოლილიყო, სარკმლიდან შემოსული ფოცხოვის ჩუმი დინების ხმაც კი ხმაურად ისმოდა.

— ამ საკითხზე ნესელროდე ესაუბრა თვით იმპერატორს და სწორედ ასეთი მითითება მივიღეთ. თათრების ოსმალეთში გადასახლებას, ვფიქრობ, დიდი სიამოვნებით შეხვდებიან თურქები, რადგან თვითონ უსაქმურები არიან, ხოლო აქაური თათრები კი ძალზე შრომისმოყვარე ხალხია. სამაგიეროდ, არზრუმიდან, ყარსიდან და ბეიბურთიდან სომხების ჩამოსახლება გვაქვს გადაწყვეტილი. ჯერ ერთი, როგორც ვთქვი, ქრისტიანები არიან, გარდა ამისა, პატივისცემას არ დაგვივიწყებენ და სამუდამოდ ჩვენი ერთგულები იქნებიან.

გრაფმა სამივეს გამჭოლი მზერა მიაპყრო.

— გასაგებია?

— გასაგებია, თქვენო ბრწყინვალებავ! — შესძახა ერთხმად სამივემ.

— რაიმეს თქმა ხომ არ გსურთ, გენერალ-მაიორო?

— დიახ, ის მინდოდა მეთქვა, თქვენო ბრწყინვალებავ, — მოიღერა გრძელი კისერი და ჯერ ულვაშები შეისწორა, ხოლო შემდეგ ბაკენბარდებზე ჩამოისვა ხელი ბებუთოვმა, — თუ გვინდა მათი წასვლა დავაჩქაროთ, მამულის გაყიდვის უფლება უნდა მივცეთ, რადგან თათრებს არ უნდათ ისე, ტყუილ-უბრალოდ მიატოვონ სახლ-კარი და მიწები. თუ მათ მამულებს ჩვენ შევიძენთ და სახელმწიფო ხაზინას გადავცემთ, იქ უმტკივნეულოდ შეგვეძლება ჩამოვასახლოთ რუსებიც და სომხებიც.

— ბრავო, გენერალო! ეგ მართლაც საღი აზრია, — წამოიძახა აღტაცებულმა პასკევიჩმა და დაუმატა:

— ერთი რამეც გახსოვდეთ, ჯერ კიდევ ქრისტიანობაშენარჩუნებულ და ფარულქრისტიან ადგილობრივ მოსახლეობას, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, თათრებს შორის, როგორც შეგიძლიათ, შუღლი უნდა ჩამოაგდოთ. ესენი ერთი და იგივე ხალხია, მხოლოდ რწმენა აქვთ სხვადასხვა. იმპერიის ინტერესებს არ შეესაბამება მათი გაერთიანება. გასაგებია?

— გასაგებია, თქვენო ბრწყინვალებავ! — შესძახეს სამივემ, ოღონდ რიხით, მონდომებით და ხმოვანებით აშკარად გამოირჩეოდა ბებუთოვი" (ომაზ ჩხეიძე, „გახლეჩილი რწმენა", „მერანი", 1992, გვ. 243-244).

აი, რა ხდებოდა მესხეთში. დღეს მაჰმადიანი მესხების უდიდეს უმრავლესობას ჰგონია, რომ ისინი ჩვენ, ქართველებმა გავასახლეთ სტალინისა და ბერიას მეთაურობით. სწორედ ამაზე აგებდნენ რუსები თავიანთ პროპაგანდას, ჩვენ კი ჭურში გვეძინა ან მეტიც: ისე გავხდი ოცდახუთი წლის, ის, ვინც ჩემი სისხლი და ხორცია, „თათარი" მეგონა.

ასეთი მავნე პროპაგანდა არავის გაუწევია ფერეიდნელი ქართველებისთვის: მათ რას მისწვდებოდნენ! ამიტომ ფერეიდნელი ქართველი ქართველად თვლის თავს.

ჩემი რომანის ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტიდან კარგად ჩანს, ვის გაუსახლებია 1829-33 წლებში მაჰმადიანი მესხები თურქეთში, და ისიც ნათელია, 1944 წლის დეპორტაციის დამგეგმავიც და შემსრულებელიც რუსეთი რომ არის.

1983 წლის აგვისტოს მშვენიერი საღამოა. ამ დროს ბორჯომის რაიკომში ვმუშაობდი განყოფილების გამგის მოადგილედ. მე და ირაკლი მაღრაძე პარკისკენ გავემართეთ ჭადრაკის სათამაშოდ. გზად კლდის ლოდებთან უნდა გაგვეევლო. ამ დროს ირაკლის ვიღაც მიესალმა. უზბეკური ქუდი ეხურა. დაბალი, გარუჯული კაცი იყო. მოიკითხეს ერთმანეთი. ირაკლიმ ჩემზე უთხრა, გაიცანი, თქვენი ხალხის დიდი გულშემატკივარი და ქომაგიაო. ვისაუბრეთ. ისას (ასე ერქვა მას) არაფერი სცოდნია თავიანთი ისტორიის შესახებ, თუმცა ისტორიკოსი ყოფილა. იგი სამარყანდის მხარეში, აქტარინის რაიონის 4 დოგბიტში ცხოვრობდა. მასზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ სწორედ ეს კაცი გახდა მესხებს შორის ჩემი ყველაზე დიდი მეგობარი და ჩემი, ასე ვთქვათ, ერთგული მოწაფე, და მინდა მის მაგალითზე დაგანახოთ, რა შედეგი შეიძლებოდა მიგვეღო, თუკი სახელმწიფო ამ ხალხთან ჩვენსავით იმუშავებდა.

ერთად გავწიეთ მესხების თავშეყრის ადგილისაკენ. გზაში ვკითხე:

— რა ეროვნების კაცი ხარ?

— თურქი.

— შენი ძველი გვარი თუ გახსოვს? პაპაშენი რას გეუბნებოდა, ადრე რა გვარი გქონიათ?

— ახლა ასლანოვი ვარ, ადრე თურმე აბულაშვილები ვყოფილვართ.

— პარკში რა ხალხია, ხომ არ იცი? ერთი კვირაა არ ავსულვარ.

სახელები მითხრა. ვიცნობდი, ოდობაშეველები იყვნენ.

მესხები საუბრობდნენ. ჩვენს დანახვაზე გაჩუმდნენ. ისამ წარმადგინა, თუმცა ისინი კარგად მიცნობდნენ. ეს მათს არცთუ გულთბილ გამოხედვაშიც იგრძნობოდა.

ყველას ხელი ჩამოვართვი. ოცდაათ კაცამდე იქნებოდნენ. ისეთებიც იყვნენ, ადრე რომ არ მენახა, ამიტომ მათ მივმართე:

— სადაურები ხართ?

თავიანთი ახლანდელი და ძველი საცხოვრებელი დაასახელეს.

— იერლები ხართ? (იერლი თურქულად ადგილობრივ მკვიდრს, აბორიგენს ნიშნავს).

— დიახ! — გამოცოცხლება დაეტყოთ მათ.

— მე არ ვარ იერლი, — სუფთა ქართულით მითხრა ერთმა შუახანს გადაცილებულმა.

— რა გვარი ხარ?

— საფაროვი.

მართალი გითხრათ, ცოტა მოულოდნელი იყო არაქართველისგან ასეთი მშვენიერი ქართული. რაკი იერლი არ იყო, თარაქამა, ქურთი ან ხიმშილი იქნებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ, მაჰმადიანი მესხების ანუ აბორიგენებისაგან განსხვავებით, სხვა მხრიდან მოსული, ანუ, მესხების შეფასებით, „მოთრეული" იყო, და ასეთებს ალმაცერად, მეტიც, მტრულად უყურებდნენ. თარაქამები, ხიმშილები და ქურთები მათსავით სუნიტი მუსლიმები იყვნენ, მაგრამ ადგილობრივებს არც მათი ქალები მოჰყავდათ ცოლად, არც თავისას ატანდნენ. თუკი ძალზე იშვიათად ასეთი რამ მაინც მოხდებოდა, ეს უცხო მხრიდან მოსულთათვის დიდი პატივი იყო. საოცარია, ჯერ ხომ მესხეთში ამდენ ხანს გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და აქედანაც ხომ ერთად გადაასახლეს, მაინც ვერ დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ესეც იყო იმის მიზეზი, რომ თარაქამებს, რომლებიც სისხლით და წინაპრებით იგივე თურქმენები იყვნენ (შაჰ-აბასმა რომ ჩამოასახლა კახეთში XVII საუკუნეში. შემდეგ მათი ნაწილი ბორჩალოში გადავიდა, მერე კი რამდენიმე ოჯახი იქიდან ნიალაზე გადასახლდა, მესხეთში), არ ჰქონდათ დიდი ნოსტალგია მესხეთის მიმართ.

საფაროვმა რომ მითხრა, არ ვარ იერლიო, ამაზე მესხებს სახეზე კმაყოფილება შევატყვე. ერთი-ორმა გაიღიმა კიდეც, რადგან, როგორც წესი, თარაქამები მალავენ თავიანთ წარმომავლობას, რაც მესხებს არ სიამოვნებდათ და ყურადღებას ამახვილებდნენ მათ არაიერლობაზე. ამით მათ „არასრულფასოვნებას", მესხეთის მიმართ მათი ნოსტალგიის უსაფუძვლობას უსვამდნენ ხაზს და თითქოსდა ეუბნებოდნენ: რა გინდა აქ, ჩემს სამშობლოში რომ ჩამოდიხარ, რა დაგრჩენია, რას ეძებ. ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების მცდელობა, რისთვისაც აქ ვიმყ-

ოფებით, ჩვენი კანონიერი უფლება და მოვალეობაა, შენ კი რას გვეტმასნებიო!

მათი ეს ფსიქოლოგია შესანიშნავად ვიცოდი, მაგრამ არაიერლისგან ასეთმა ქართულმა, მართალი გითხრათ, გული გამითბო, ოღონდ თუ ამას გამოვამჟღავნებდი, ვაწყენინებდი მესხებს.

— აი, ამან ყველაფერი იცის, — გამოიშვირა თითი ჩემკენ საფაროვმა, რითაც ჩემი გულის მოგებას და თავის მხარეზე ჩემს გადაბირებას ცდილობდა, — ჰკითხეთ და გეტყვით, რომ მეც თქვენსავით აქაური ვარ, — ლამის ტირილით თქვა რუსულად.

ძალიან შემეცოდა, მაგრამ ისტორიული ფაქტი ფაქტია.

— უთხარით, უთხარით, ბატონო ომარ, ვინ ვარ მე და რა ხალხი ვართ ჩვენ, — მთხოვა ქართულად.

— რა ეროვნების კაცი ხარ?

საფაროვი უხერხულად შეიშმუშნა.

— თარაქამა ხარ?

მესხებს სახეები გაებადრათ.

— კი, — თქვა მძიმედ.

მესხებმა გაიხარეს. გული დამწყდა, რომ ასე დაუნდობლად ექცეოდნენ, მაგრამ ეს დამოკიდებულება იმ დადებითი და დიდი საქმის შედეგი იყო, „სისხლის სიწმინდეს“ რომ იცავდნენ, სხვის სისხლს თავისაში რომ არ ურევდნენ. ეს შესაძლოა დღეს არადემოკრატიულად ჟღერდეს, მაგრამ ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, უზბეკებსა და ყაზახებში გაითქვიფებოდნენ და თვითმყოფადობას დაკარგავდნენ (ესენი ხომ სწორედ ამ მიზნით გადაასახლეს შუა აზიაში).

— კარგით, გეტყვით, — ვთქვი ბოლოს, — ადრეც მითქვამს, რომ იერლი აბორიგენია, ხოლო თარაქამები, ქურთები და ხიმშილები მოსულები არიან.

ამის გაგონებაზე მესხებს სახეზე სიამაყე გამოეხატათ.

— მაგრამ, თქვე კაი ხალხო, ამ ჩვენს მიწაზე ვინ აღარ ცხოვრობს: სომხები, აზერბაიჯანლები, რუსები, ლეკები, ოსები, ქურთები და ამისთანა კაი კაცი თუ ჩამოვა, როგორც საფაროვია, რა იქნება ამაში ცუდი. ხედავთ, რა კარგად იცის ქართული, უყვარს ჩვენი სამშობლო, მისი ერთგულია. ასე გულცივად არ

უნდა მოვექცეთ. რამდენადაც ვიცი, თარაქამებს აქ დაბრუნება არ უნდათ და ერთი-ორი თუ გამოერევა ასეთი, რა უშავს.

— ჩვენ იმას ვერ ვიტანთ, აქაური თურქი ვარო, რომ ამბობს, — თქვა ერთმა, — ვის ატყუებს?

— აქაური თურქები არც ეგენი არიან და არც თქვენ ხართ და საერთოდ მესხეთში არასდროს უცხოვრიათ თურქებს. მათ რომ მესხეთი დაიპყრეს, ციხესიმაგრეებში გამაგრდნენ, და როდესაც რუსებმა დაამარცხეს, ყველა წავიდა, პირწმინდად, ერთი თურქი არ დარჩენილა აქ. ისე კი, მათი ისტორიული საცხოვრებელი ადგილი შუა აზიაა, ტერიტორია სადღაც არალის ზღვასა და სამარყანდს შორის. ლაპარაკია თურქებზე და არა თქვენზე. თქვენ ყოველთვის აქ ცხოვრობდით. თურქები მომთაბარეები იყვნენ. გადმოითარეშეს ავღანეთი, სპარსეთი, სომხეთი, დაიპყრეს ბიზანტია, აიღეს კონსტანტინოპოლი და წამოვიდნენ ჩვენკენ. ჯერ ლაზეთი დაიმორჩილეს და შეიერთეს, შემდეგ კი 1578 წელს მესხეთში შემოვიდნენ. იმ დროს იქ თქვენი წინაპრები ცხოვრობდნენ — ჩემი სისხლი და ხორცი. ოსმალებმა წაგვართვეს ეს მხარე და მისი მცხოვრებნი თანდათანობით გაამაჰმადიანეს.

— ეგ თეორია კარგადაა ცნობილი, — მითხრა პროთურქული ორიენტაციის მუსტაფამ.

— ეს თეორია კი არა, ისტორიული რეალობაა. შენი ძველი გვარი მითხარი, — მივამრთე მას.

— არ ვიცი.

— ძალიან კარგადაც იცი, ჩემო მუსტაფა, მაგრამ აღიარება არ გინდა. კი მაგრამ, — მივუბრუნდი დანარჩენებს, — ნუთუ არ გიფიქრიათ, რანაირად შეიძლება ბუაჩიძე, გოგოლაძე, სარალიძე, არჯევანიძე, ჩომახიძე, ბექაძე, ჩიხლაძე, ორბელიანი და ბარათაშვილი თურქები იყვნენ? ესენი ხომ ქართული გვარებია. რატომ ექნებოდა თურქს ქართული გვარი?

ამ დროს ერთმა მეორეს თურქულად გადაულაპარაკა (არ იცოდნენ, თურქული რომ მესმოდა):

— ერთი ამას უყურე! ქართველებმა — სტალინმა და ბერიამ — გაგვასახლეს აქედან და ეს გვიმტკიცებს ქართველები ხართო!

— მე რატომ არ მახსოვს ჩემი გვარი? არც პაპაჩემისა და მამა-

ჩემისაგან მსმენია, რომ ძველად სხვა გვარი გვქონოდეს. თურქები ვართ და იმიტომ.

— გაიგეთ, რომ მესხეთში არასდროს არც ერთ თურქს არ უცხოვრია. აქ მხოლოდ ქართველები სახლობდნენ, რომლებსაც შემდეგ შემოუერთდნენ თარაქამები ანუ ყარაფაფახელები, ქურთები და ხიმშილები. შენ იერლი ხარ?

— რა თქმა უნდა! — მიპასუხა ამაყად.

— მაშინ, გამოდის, ქართველი ყოფილხარ. ანუ, მე და შენ ორივენი ქართველები ვართ, მაგრამ შენ მაჰმადიანი ქართველი ხარ, მე კი — ქრისტიანი. ქართველი აუცილებლად ქრისტიანს როდი ნიშნავს. ჩემსა და შენს ქრისტიან წინაპრებს ოდესღაც ცეცხლთაყვანისმცემელი პაპის პაპები ჰყავდათ. ან კიდევ, ხომ შეიძლება შენ ან მე ხვალ ბუდისტები გავხდეთ? ამით რა, გავჩინელდებით? არა, ბატონო, მაინც ქართველად დავრჩებით, ბუდისტ ქართველად. ასევე, არც სუნიტობა ნიშნავს მაინცდამაინც თურქობას. თქვენსავით სუნიტები არიან არაბებიც, სუნიტი ზანგებიც კი არსებობენ.

სახეებზე ვატყობდი, ჩემი ლაპარაკი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა.

— ხოლო შენ რომ მკითხე, მე რატომ არ მახსოვს ჩემი ძველი გვარი თუ მაჰმადიანი ქართველი ვარო, ამაზე გიპასუხებ: ისეთები, ვისაც ქართული გვარები აღარ ახსოვთ, თქვენ შორის ბევრია. მე-16 საუკუნიდან დაიწყო გამაჰმადიანება და ყველა ერთბაშად კი ვერ გაამაჰმადიანეს! ეს პროცესი მე-19 საუკუნემდე გაგრძელდა. ბევრმა თქვენმა თანამემამულემ ბოლომდე გაუძლო ზეწოლას და შეინარჩუნა ქრისტიანობა. ვინც გვიან მიიღო თურქების რწმენა, მათ ყველას ახსოვთ ძველი გვარები, ხოლო მე-16, მე-17, მე-18 საუკუნეებში გამაჰმადიანებულებს აღარ ახსოვთ. ასეა შენი ამბავიც.

— პაპაჩემი ამბობდა, ჩვენი ყველაზე დიდი მტრები სომხები იყვნენო, ასეა?

— ეგ იმიტომ უთქვამს, რომ 1830 წელს, როდესაც პასკევიჩმა არზრუმიდან, ყარსიდან და ბეიბურთიდან თქვენს მხარეში სომხების ჩამოსახლება დაიწყო, ისინი უმსგავსოდ იქცეოდნენ.

რუსების მხარდაჭერით მესხებს საკუთარი სახლებიდან აძევებდნენ და შიგ თვითონ სახლდებოდნენ. ამის თაობაზე ხშირი იყო შეტაკებები თქვენსა და სომხებს შორის. ეს შემორჩა ხალხის მეხსიერებას.

— თუ ქართველები ვართ, რატომ არ გვაბრუნებთ უკან?

— მე და ჩემისთანები, ანუ ქართული ინტელიგენცია, ყველაფერს ვაკეთებთ ამისათვის, მაგრამ აგერ, მუსტაფა, ოდობაშევი და მათნაირები ძალიან გვიშლიან ხელს, რადგან აცხადებენ თურქები ვართო. თურქების სამშობლო თურქეთია, მესხებისა კი მესხეთი ანუ საქართველო.

— რატომ გაგვასახლეთ მაშინ აქედან საკუთარი თანამემამულეები?

— ჩვენ ან გასახლებას ვინ გვეკითხებოდა, ან ჩამოსახლებას. ეს ზევით წყდებოდა, მოსკოვში. ამით იმისი თქმა მინდა, რომ ქართველებმა კი არა, რუსებმა გაგასახლეს.

— მერედა იქ სტალინი არ იყო? სწორედ იმან, ანუ ქართველმა, ბრძანა ჩვენი გასახლება.

— სტალინი ბავშვობაში იყო ქართველი, მერე გარუსდა და რუსების პოლიტიკას ატარებდა. ქართველმა სტალინმა კი არ გაგასახლათ, არამედ რუსმა სტალინმა.

— ჩვენი ცოდვით საქართველო ვერ გაიხარებს!

— გეთანხმებთ, ასეთი ცოდვის ჩამდენს ღმერთი აუცილებლად დასჯის, მაგრამ ვიმეორებ, საქართველო აქ არაფერ შუაშია.

აზარტში ვიყავი შესული, რომ გიორგი ზედგინიძე და რომან მაღრაძე ნამოგვადგნენ თავს. რომანიც, უაღრესად განათლებული და ნიჭიერი კაცი, ჩართული იყო ამ საქმეში და მესხებთან ფართო კავშირები ჰქონდა. იგი თავად იყო მესხთა გასახლების მომსწრე. ყველანი მონიწებით მიესალმნენ მოსულთ.

— როგორ არის შენი საქმე, მოხვედი ჭკუაზე? — გაუღიმა მუსტაფას ბატონმა გიორგიმ, — შენი ძმა როგორ გრძნობს თავს?

— გმადლობთ, გიორგი ვლადიმიროვიჩ, მგონი, დაძლია სენი. ძალიან კი შეგვაშინა.

— მოკითხვა გადაეცი! — მერე მუსტაფაზე მიმითითა და მითხრა, — იმას ჰკითხე და გეტყვის, რომ ოდობაშევს კარგად

ვიცნობდი. შოთა ლომსაძესთან სახლში პურ-მარილზეც ვმსხდარვართ და საქართველოს ბედ-იღბალზე გვისაუბრია. ადრე ის ქართული ორიენტაციისა იყო, ჩემთანაც ნამყოფია. ეგეც და ლატიფშა ბარათაშვილიც. მაგრამ ასე რომ არაფერი გამოუვიდა, სხვა გზას დაადგა. თუმცა მისი ორიენტაციის შეცვლა დიდწილად „კაგებეს“ ბრალია.

მერე დანარჩენებს მიუბრუნდა და ყველას სათითაოდ გამოჰკითხა, სად დაბინავდნენ. აღმოჩნდა, რომ რვა კაცი სწორედ იმ დღეს ჩამოსულა და უბინაოდ იყვნენ.

— ამაღამ ჩემთან წამოდით, — შესთავაზა მათ ბატონმა გიორგიმ, — ხვალ კი ომაზი მოგაწყობთ სასტუმროში ან ტურბაზაში.

შინ ორი მესხი სტუმარი მყავდა. იშვიათად, რომ ჩემთან მესხი არ ყოფილიყო სტუმრად, ზოგჯერ ათამდე მესხის მასპინძელიც ვყოფილვარ... საწოლები აღარ მყოფნიდა.

ბატონ გიორგისთან წავედით და მთელი საღამო საუბარსა და კამათში გავატარეთ. მეორე დღეს შვებულებაში გავდიოდი და მეუღლესთან ერთად დასასვენებლად მივემგზავრებოდი სოჭში.

ისასაც ჩემი სახლისკენ ექირავებინა ბინა და გზა საუბარში გავლიეთ...

ბორჯომში დაბრუნებულს მისი წერილი დამხვდა. სამარყანდიდან მწერდა. მთხოვდა, წიგნებით და მასალებით მომემარაგებინა. რაც მქონდა, გავუგზავნე. იმ დროს ასეთი წიგნები თითქმის არ იყო. მოგეხსენებათ, 2004 წელს „კავკასიური სახლის“ დირექტორმა ქალბატონმა ნაირა გელაშვილმა გამოსცა ჰალილ გოზალიშვილის წიგნი, რითაც უზარმაზარი საქმე გააკეთა. ათასი მადლობა მას. მე რომ 70-80-იან წლებში ეს წიგნი მქონოდა, ყველა პროთურქულად განწყობილ მესხს, რომლებიც კი ბორჯომში ჩამოვიდოდნენ, ასოთხმოცი გრადუსით შემოვაბრუნებდი. მაშინ, ფაქტობრივად, მხოლოდ შოთა ლომსაძის ფუნდამენტური ნაშრომი „სამცხე-ჯავახეთი“ მოგვეპოვებოდა, რომელსაც ბოლოში მოკლე რეზიუმე ჰქონდა დართული რუსულ ენაზე და, ძირითადად, მას ვიყენებდი.

მომდევნო წერილში გულდაწყვეტილი ისა მატყობინებდა,

პროპაგანდას ვენევი ხალხში, დაკრძალვა იქნება თუ ქორწილი, შემთხვევას ხელიდან არ ვუშვებ, ჩვენებს თავიანთ წარმომავლობას განვუმარტავ, მაგრამ არ მიჯერებენო. რჩევას მთხოვდა, ასე და ასე რომ შემეკითხებიან, რა ვუპასუხოო. იმასაც მწერდა, ჩემი ლაპარაკი რომ დამაჯერებელი იყოს, კარგი იქნება თავისი თვალით ნახონ, რას წერენ წიგნებშიო. მაშინ უკვე დაწყებული მქონდა „გახლეჩილი რწმენის“ წერა და ისას წერილებმა კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ სწორ გზას ვადექი. ჩემი ჩანაფიქრი ასეთი იყო: ეს წიგნი ქრონიკა კი არა, მხატვრული ნაწარმოები, რომანი უნდა ყოფილიყო, რაც შეიძლება მწვავე, საინტერესო სიუჟეტიანი, და ამბის განვითარებით გატაცებული მკითხველისთვის ბუნებრივად, ძალდაუტანებლად უნდა მიმეწოდებინა მთავარი სათქმელი. უნდა დამეწერა ხატოვანი, უბრალო ენით, რათა გასაგები ყოფილიყო ფართო მასებისათვის. გაგონილ-წაკითხულიდან შევქმენი ასეთი ნაწარმოების ჩონჩხი, მაგრამ მე ხომ მხატვარი ვიყავი და არა მწერალი! წერის გამოცდილება არ მქონდა, არადა ამგვარი წიგნის დაწერა აუცილებელზე აუცილებელი იყო. რა მექნა? ბატონ გიორგი ზედგინიძეს უკვე ჰქონდა ამ ჟანრის წიგნი შექმნილი — „დედის ტაძარი“, და მითხრა, რეზო ჯაფარიძეს დაელაპარაკე, იქნებ მაგ საქმეს იმან მოჰკიდოს ხელიო. წერილიც გამატანა. ბატონ რეზოს შინ მივაკითხე. მთელი საღამო ვილაპარაკეთ და ყველანაირად ვეცადე დამეინტერესებინა. ვუთხარი, ზღვა მასალას მოგაწვდით, ჩემი დიდი გამოცდილებაც გამოიყენეთ-მეთქი. ამ შეხვედრის შემდეგ რამდენჯერმე კიდევ ჩავაკითხე. არაფერი გამომივიდა. სამი თვე ამაოდ შევალიე ამ საქმეს. მერე ბატონ გურამ ფანჯიკიძეს მივაკითხე. იმ დროს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი იყო. მაგრამ ამჯერადაც ამაოდ ჩამიარა მცდელობამ, საწადელს ვერ მივაღწიე, ვერ დავითანხმე ბატონი გურამი. მაშინ მივხვდი, რომ ამ ესოდენ საჭირო წიგნის დამწერი მხოლოდ შოთა ლომსაძე, გიორგი ზედგინიძე და მე ვიყავით, ვინაიდან სამივენი მხოლოდ და მხოლოდ ამ საქმით ვსულდგმულობდით. სამივეს კარგად გვქონდა გათავისებული ის დიდი უბედურება, რაც ამ ბედუკულმართ ხალხს დაატყდა თავს, და ისიც გაცნობიერებული გვქონ-

და, რა მძიმე ცოდვას ჩავიდენდით, თუ ჩვენს სისხლსა და ხორცს დაუნდობლად მოვიკვეთდით. ბატონი შოთა მეცნიერი, პროფესორი კაცი იყო და არაჩვეულებრივი, ფუნდამენტური ნაშრომები შექმნა; ბატონ გიორგის უკვე ჰქონდა დაწერილი „დედის ტაძარი", მაგრამ იგი ისეთი არ იყო, როგორიც ჩემს სურვილსა და გონებაში წარმოდგენილი წიგნი უნდა ყოფილიყო. ბატონი გიორგის თხზულებას სიმწვავე აკლდა, ძირითადი აქცენტი მეცნიერულ სიზუსტეზე მოდიოდა და ნაკლებ ემოციური იყო, სწორედ ისეთი, როგორიც თვითონ ავტორი — მძიმე, დინჯი, ჭკუადამჯდარი, დიდი ცოდნით, ერუდიციით გაჯერებული. ჩემი ოცნების წიგნი კი სათავგადასავლო, მძაფრსიუჟეტიანი, სულმოუთქმელად საკითხავი უნდა ყოფილიყო. ამიტომ გადავწყვიტე ხელი მომეკიდა ამ საქმისთვის და დავიწყე კიდეც მასალების შეგროვება. თუმცა წლების განმავლობაში მუშაობის პროცესში ეჭვის ჭია მღრღნიდა: დამიბეჭდავენ? მაშინ ისე როდი იყო, როგორც ახლაა. წიგნის გამოცემა მოვლენა იყო, რადგან სახელმწიფო მას თვითონ აფინანსებდა და რეალიზაციაც მის ხელთ იყო. თავაუღებლად ვმუშაობდი საჯარო ბიბლიოთეკაში, ბორჯომისა და ახალციხის მუზეუმებში, მაგრამ ეს არ კმაროდა: აუცილებლად უნდა ვწვეოდი შუა აზიაში გადასახლებულ მესხებს. საჭირო იყო მათი ადგილზე გაცნობა და იქ ჩაწერილი ზეპირსიტყვიერი მასალებით წიგნის გამდიდრება.

იმხანად, როგორც ვთქვი, პარტიის რაიკომში ვმუშაობდი და წლის ნებისმიერ დროს ჩემი კაბინეტი მესხებით იყო სავსე. ეს იცოდა მთელმა ბორჯომმა, რაიონის ხელმძღვანელობამ და, რაღა თქმა უნდა, უშიშროების სამსახურმაც. პირველმა მდივანმა რამდენჯერმე მთხოვა ხელი ამეღო ამ საქმეზე. უშიშროებიდანაც ძალზე დელიკატურად მიმითითეს ამის შესახებ, მაგრამ არაფერს ანტისახელმწიფოებრივს არ ვაკეთებ-მეთქი, — ვუმტკიცებდი მე მათ, — პირიქით, ვუხსნი, რომ თურქები არ არიან და ეს მართლაც ასეა-მეთქი.

ერთხელ, ბორჯომის უშიშროების სამსახურის უფროსმა

ავთო გიორგაძემ პლატოზე კაფეში დამპატიჟა ბოთლ შამპანურზე. ვილაპარაკეთ აქეთურზე, იქითურზე, თუმცა კი ვხვდებოდი შეხვედრის ნამდვილი მიზეზი სხვა რამ იყო. ბოლოს მითხრა:

— ომაზ, მე შენ დიდ პატივს გცემ, როგორც განათლებულ, პატრიოტ და წესიერ კაცს. მეგობრად გთვლი და ამიტომ საიდუმლოდ უნდა გითხრა, რომ შენი ურთიერთობა თათრებთან ზემოთ არ მოსწონთ. ამიტომ, სანამ საქმე სერიოზულ ხასიათს მიიღებდეს და უსიამოვნება შეგხვდებოდეს, შეეშვი მაგ ამბავს.

— მეც სწორედ ეგ მინდა, რომ შევხვდე შენს ხელმძღვანელობას, ჩემო ავთო, რათა გავაგებინო საქმის ვითარება. გადაეცი მათ, რომ 1944 წელს გასახლებული ყველა ხალხი დაუბრუნდა სამშობლოს: ჩეჩნები, ინგუშები, ჩერქეზები, ყირიმელი თათრები. მხოლოდ და მხოლოდ ეგენი დარჩნენ და იცოდე, თავისას მიაღწევენ. ხომ ხედავ, მთელი მსოფლიო დემოკრატია-დემოკრატიას გაიძახის. გარწმუნებ, დადგება დრო, გაერო და მსოფლიოს დემოკრატიული ინსტიტუტები მაინც გვაიძულებენ მათ ჩამოსახლებას და მერე? ჩამოვლენ მუშტშემართულები: „აჰა, ხომ გაგვყარეთ და ხომ აღარ გვიშვებდით ჩვენს სამშობლოში? მაინც ხომ მივაღწიეთ ჩვენსას, ახლა ჩვენ ვიცით!" — აი, ასე გვეტყვიან. სად მიდიხარ მაშინ? მე მათ იმას კი არ მოვუწოდებ გინდა თუ არა, ჩამოდით-მეთქი, — იმათ მაგისი თქმა ჭირდებათ ვინმესგან?! მე ვცდილობ ისინი ქართულ ორიენტაციაზე გადმოვიყვანო, რადგან წარმოშობით ნამდვილად ქართველები არიან. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ რეპატრიაციის შემთხვევაში ქართველებად დაგვიბრუნდნენ და არა თურქებად.

და ვუამბე მათი ისტორია. ყურადღებით მისმენდა.

— იმან გაგაფუჭა შენ... — ჩაიქნია ხელი.

— ვინ იმან?

— ვინ და გიორგი ზედგინიძემ, ძალიან საშიში კაცია...

სიცილი წამსკდა.

— გიორგია საშიში?

— შენ კიდევ არ იცი მაგისი ამბავი. აი, — მაჩვენა ხელით, — ამხელა საქმეა მაგაზე შედგენილი.

— ავთო, ის ერის კაცია, უდიდესი პიროვნებაა, ქართული ბერმუხაა.

უკვე აშკარად ვხვდებოდი, რომ მითვალთვალებდნენ. არადა, შუა აზიაში გამგზავრებაც აუცილებელი იყო. როგორ მოვქცეულიყავი? ასეთი რამ მოვიფიქრე: პირველ მდივანთან შევედი და ვუთხარი, მოდით, რაიონის მოწინავე იდეოლოგიური აქტივი ექსკურსიაზე წავიყვანოთ სადმე, კარგ მუშაობაში ჩაგვეთვლება და ცენტრალური კომიტეტი მადლობელი დაგვრჩება-მეთქი. კმაყოფილებით დამთანხმდა და მკითხა, რომელ ქალაქში აჯობებს წასვლაო. ვუთხარი, ჯერ სიას შევადგენ, თვითონ მათ დავეკითხები, სად ურჩევნიათ გამგზავრება და მერე თქვენ შეგითანხმებთ-მეთქი.

ორმოცდაათკაციანი სია წარვუდგინე პირველ მდივანს, ბატონი გიორგი ზედგინიძეც მათ შორის იყო, რა თქმა უნდა; ვუთხარი, შუა აზიაში ბუხარა-სამარყანდის მონახულება უნდათ-მეთქი. ვერაფერს მიხვდა და თანხმობა მომცა.

შუა აზია მერე კიდევ ორჯერ მოვიარე, მაგრამ პირველი მოგზაურობა მაინც სხვა იყო.

1984 წლის ნოემბერში ჩავფრინდით ტაშკენტში. ბატონი გიორგი მაშინ 62 წლის იყო. სასტუმრო „მოსკოვში" გავჩერდით. საღამოს რესტორანში ჩავედით სრული შემადგენლობით და სუფრა გავშალეთ. მე ერთი მესხის, ბახში მეხრალიევის მისამართი მქონდა. ძალიან მიქეს ბორჯომში — ტაშკენტელი პროქართული ორიენტაციის მესხების ლიდერია და თავისიანებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობსო. უზბეკეთის მინისტრთა საბჭოში საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილედ მუშაობდა.

ტაშკენტელ მესხებს შორის უამრავი ნაცნობ-მეგობარი მყავდა, მაგრამ შეგნებულად არავის დავკავშირებივარ, რადგან მათ რომ ჩემი ჩამოსვლის ამბავი შეეტყოთ, ყველანი სასტუმროში მოვიდოდნენ, რაც კგბ-ს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა და უსიამოვნება შემხვდებოდა. ამიტომ გადავწყვიტე ჩემი იქ ყოფნა არ გამეხმაურებინა და მხოლოდ ბახშისთან დამემყარებინა კონტაქტი.

სუფრიდან წამოვდექი და ვესტიბიულში ტელეფონის ჯიხუ-

რი მოვძებნე. ღამის 11 საათი იყო, რომ დავურეკე. მამაკაცმა გამცა პასუხი. რუსულად ვუთხარი, ამა და ამ კაცმა მომცა თქვენი ტელეფონის ნომერი და ესა და ეს ვარ-მეთქი. სუფთა ქართულით მიპასუხა ბახში ვარო.

— სასტუმრო „მოსკოვის" რესტორანში ვარ და კარგი იქნება, თუ მოხვალ.

— 39 გრადუსი სიცხე მაქვს და ლოგინში ვწევარ, მაგრამ მაინც მოვალ, — მიპასუხა მისუსტებული ხმით.

მართლაც, ოც წუთში მოვიდა. ჩვენებს წარვუდგინე. ყველა ბორჯომელმა იცოდა ბატონი გიორგისა და ჩემი დამოკიდებულება მესხების მიმართ და ბახშის სტუმრობა არ გაჰკვირვებიათ. გულთბილად მიიღეს. ბოლოს სამივენი ჩემს ნომერში ავედით.

ბახშიმ გაიხარა ჩვენი ხილვით. იგი ზედმიწევნით გათვითცნობიერებული გამოდგა. ჰალილ გოზალიშვილის მიმდევარი ყოფილა. დაუსწრებლად ორივეს გვიცნობდა თურმე. საუბარი იმით დაიწყო, „იერლი" ვარო გვითხრა. სოფელ გიორგიწმინდიდან ყოფილა, გვარად ინასარიძე.

— თქვენს სოფელში, — უთხრა ბატონმა გიორგიმ, — ინასარიძეების ნაწილმა უწინ მეხბორიშვილებად გადაიკეთა გვარი. ორივენი ერთი ფესვისანი ხართ.

მთელი ღამე საუბარში გავლიეთ. ბოლოს შევთანხმდით, შაბათს თავის ძმასთან წაგვიყვანდა, იანგიულის რაიონის სოფელ ენგელსში.

შაბათ დილით გამოგვიარა და ავტობუსით გავემართეთ იანგიულისკენ. ჯგუფის წევრებისთვის არ გაგვიმხელია ეს ამბავი. იანგიული რაიონული ცენტრია, 70000 მცხოვრებს ითვლის. იქიდან სოფელი ენგელსი, თუ არ ვცდები, 12 კილომეტრზე მდებარეობს. თუმცა ჩვენ მისკენ მოკლე გზით, ხალკაბადიდან გავემართეთ. გვითხრეს, შაბათობით ავტობუსი არ მუშაობსო და იძულებული გავხდით ფეხით დავდგომოდით გზას.

ნოემბრის ბოლო იყო, პალტოები გვეცვა, თუმცა საკმაოდ ცხელოდა. გზას სილის მტვერი ასდიოდა. ირგვლივ უკიდეგანო ტრამალი გადაშლილიყო. აი, მაშინ მივხვდი, რატომ გვითხრა ტაქსის მძღოლმა წაყვანაზე უარი. ჩვენგან მარცხნივ, ჰორიზონ-

ტამდე შემაღლებული მიწაყრილი გაწოლილიყო: არხი გაეჭრათ, რომლითაც მიწები ირწყვებოდა. შორს მწვანე „კუნძული“ გამოჩნდა. თავიდან კარგად ვერ გავარჩიეთ, რა იყო.

— ეგ ჩვენი სოფელია, — თქვა ბახშიმ, — იქ ჩემი ძმა ბათუ ცხოვრობს. ხედავთ, როგორ ოაზისივით არის ამ თვალუწვდენ უდაბნოში? ჩვენი ხალხის დაუღალავმა მარჯვენამ შეძლო ეს.

მართლაც საოცარი იყო! ჯერ ავტობუსით, შემდეგ ფეხით ამხელა გზა გამოვიარეთ, სილისა და უდაბნოს მეტი არაფერი დაგვინახავს, აქ კი...

ფეხს ავუჩქარეთ. სოფლამდე სამი კილომეტრიღა იქნებოდა დარჩენილი, რომ მიწაყრილის გასწვრივ, შორს, ხალხს მოვკარით თვალი. ორასიოდე მეტრზე რომ დაგვიახლოვდნენ, მიწაყრილის გასწვრივ მიმავალი გზიდან ბილიკით ჩამოუხვიეს და გაგვისწორდნენ. ბავშვები ყოფილან. ორმოცდაათამდე იქნებოდნენ. ყველას სკოლის ფორმა ეცვა და ხელში ჩანთა ეკავა. გულმა რეჩხი მიყო თუ სისხლმა იყივლა, ვერ გეტყვით! ულამაზესი ბავშვები, ნუშისთვალება გოგო-ბიჭები, ასე რვა-ათი წლისანი ცნობისმოყვარედ შემოგვყურებდნენ და გვიახლოვდებოდნენ.

— ბახში, ესენი ვინ არიან? — ვკითხე აღელვებულმა, თუმცა წინასწარ ვიცოდი, რასაც მიპასუხებდა: თვალებზეც ეტყობოდათ, აბორიგენები რომ არ იყვნენ.

— ეეჰ! — ამოიოხრა მესხმა და გულიც ამოაყოლა, — ეგენი ჩვენი ბავშვები არიან.

თურქულად სთხოვა მათ, ცოტა ხანს შეჩერდითო, და ჩვენზე უთხრა, ეს კაცები ჩვენი სამშობლოდან არიან ჩამოსულნიო. მერე მოგვიბრუნდა:

— ესენი რომ კარგად დაბანო აბანოში, ჩააცვა, დაახურო, ქართულ სკოლაში დასხა, ენა და ისტორია ასწავლო, არ შეემატებიან საქართველოს? — გადმოუგორდა კურცხალი თვალზე.

ბატონი გიორგი და მე ბავშვებთან მივედით, მოვეფერეთ, მივუალერსეთ. მერე ჩანთიდან მცირეოდენი საჩუქრები ამოვიღე და დავურიგეთ. მათ შორის რამდენიმე დედა-ენაც იყო. ბავშვები გრძნობდნენ, რომ კეთილი „უცხო ძიები“ გულთბილად იყვნენ მათ მიმართ განწყობილნი, მაგრამ რატომ, ვინ ვიყავით, რა

გვინდოდა, ვერ ხვდებოდნენ. არ იცოდნენ მშობლიური ენა. უმრავლესობა ვერც რუსულს ფლობდა და მათი ერთადერთი სალაპარაკო ენა თურქული იყო.

გულადულებულები დავშორდით პატარებს და სოფლისკენ გავემართეთ.

სოფელი ენგელსი საკმაოდ მოზრდილი აღმოჩნდა. გზა, რომლითაც მივდიოდით, სოფელს შუაზე კვეთდა. მის ორივე მხარეს ჩამწკრივებული იყო შესანიშნავი ორსართულიანი სახლები, რომლებსაც დიდი ეზოები ჰქონდათ. აივნებზე გადმოფენილი იყო საბნები, ხალიჩები, ბალიშები. თითქმის ყველა ეზოში იდგა საკუთარი ავტომანქანა, მათ შორის სატვირთოებიც, რომელთა ფლობა იმ დროს აკრძალული იყო. ყველა ეზოში დაინახავდით რამდენიმე ძროხასა და ხარს. არც ეს იყო ნებადართული მაშინდელი კანონებით. უზარმაზარი საბძელები გამოტენილი იყო თივით. თვალს ახარებდა ქათმები, ინდაურები, ცხვრები... ასევე სასიამოვნოდ გამაოცა ყურძნის მაღლარებმა, თუმცა ვერ გეტყვით, საღვინე ჯიში იყო თუ საქიშმიშე.

ყველა სახლიდან და ეზოდან ცნობისმოყვარედ გვიმზერდნენ მესხები. ზოგი გზის გასწვრივ ჩაყოლებულ რკინის მესერს მოადგა და იქიდან გვესალმებოდა. მთელმა სოფელმა შეიტყო საოცარი, საკვირველი, დაუჯერებელი ამბავი: საქართველოდან მათ ბედზე შეწუხებული, მათი მოყვარული და ერთგული ქართველები ჩამოსულან.

ბახში ერთ ეზოში შევიდა და ძმის სახელი ხმამაღლა დაიძახა. კარი გაიღო და შუა ხნის კაცი გამოჩნდა. ჯიბიანი თეთრი პერანგი ეცვა.

— ბათო, სტუმრები მოგიყვანე, საქართველოდან არიან. აი, ეს კაცი ცნობილი მწერალი გიორგი ვლადიმერის ძე ზედგინიძეა, ეს კი ომარია, ხომ გაგიგია?

ბათუ მოგვიახლოვდა, მოულოდნელად მუხლებზე დაეშვა, ქვითინი აღმოხდა, პერანგის ჯიბიდან პასპორტი ამოიღო, ჩემს ფეხებთან დაანარცხა და მოთქმით შემოგვძახა სუფთა ქართულით:

— ხალხი არა ხართ? გვიშველეთ რამე! არა ვარ თურქი თუ

თათარი, გაიგეთ, ადამიანებო, მეც ქართველი ვარ, თქვენნაირი ქართველი!

არ წამომდგარა, ისე აიღო პასპორტი, გადაშალა და დაგვანახა:

— აქ მიწერია გვარი მეხრალიევი, თურქი ხარო. მეხრალიევი კი არა, ქართველი ინასარიძე ვარ!

ღვარღვარით მოსდიოდა ცრემლი. ჩვენც გული აგვიჩუყა ამ სცენამ. თვალები შევიმშრალეთ. უკან მივიხედე და — ღმერთო ჩემო, მთელი სოფელი აქ მოსულიყო! ყველას ცრემლი უკიაფებდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ.

ბათუ წამოვაყენე და გულში ჩავიკარი. პერანგით შეიშრო ცრემლი, თავი მოიწესრიგა და მეზობლებს მიმართა: ბედნიერი დღე გაგვითენდა და ჩვენებურად გავუმასპინძლდეთ ძვირფას სტუმრებსო.

დატრიალდნენ გიორგიწმინდელები, ყველას რაღაც მოჰქონდა სახლიდან. თავპატიჟი არც ჩვენ გამოგვიდვია და ბათუ ოჯახში შეგვიძღვა. სუფრასთან ჩემი ყურადღება საოცარი სილამაზის ახალგაზრდა ქალმა მიიპყრო. არ ვიცი, ბათუს შვილი იყო თუ და. მუსულმანური ხალათი და თავსაფარი ეხურა. ოქროს სამკაული უმშვენებდა არაჩვეულებრივ სახესა და ხელებს. ძალიან შვენოდა სამაჯურები და ვერცხლის საყურეები. ძლივს მოვწყვიტე თვალი.

მეზობელ სოფლებშიც შეუტყვიათ ჩვენი ჩამოსვლა და იქიდანაც მრავლად მოვიდნენ. სოფელი ხალკაბადი ახსენეს და მეცნო. ბლოკნოტი ამოვიღე: არ შევმცდარვარ — საფაროვის სოფელი იყო. ბათუს ვთხოვე, გააგებინეთ, აქ რომ ვარ-მეთქი. არ ესიამოვნა ჩემი თხოვნა, მაგრამ მაინც გაგზავნა მანქანა.

— მართალია, იერლი არ არის, თარაქამაა, მაგრამ კარგად იცის ქართული. ბორჯომში გავიცანი და...

— შენი ხათრით, თორემ მაგას როგორ მოვუშვებდი აქ, — შეჰყარა კოპები.

ნახევარ საათში საფაროვი მოიყვანეს. თბილად მივესალმე, მოვიკითხე, მაგრამ მასპინძელი რომ არ გამენაწყენებინა, მალე დავემშვიდობე, სახლში დავბრუნდი და იატაკზე გაშლილ გრძელ

სუფრასთან ნოხზე მოვიკეცე.

გიორგი გატაცებით საუბრობდა ქართულ-თურქულად. უამრავი ნაცნობი აღმოაჩინა.

თამადამ საქართველოს სადღეგრძელო წარმოთქვა, რომელიც ყველამ გულმხურვალედ შესვა. სუფრის ბოლოში თურქულად შემოსილი ქალები ისხდნენ. ერთ-ერთმა, რომელიც, ალბათ, ბათუს ცოლი იყო, გიტარა მოატანინა. ქალებს გადაულაპარაკა, ვის რა ხმაზე ემღერა და დაიწყეს... „ციცინათელა"! ურუანტელმა დამიარა. ეს ხდებოდა გადასახლებაში, დეპორტაციიდან 40 წლის შემდეგ! თანაც რა საუცხოოდ მღეროდნენ! დაამთავრეს თუ არა, „სულიკო" დაიწყეს. არასოდეს დამავიწყდება ის საღამო, ის სითბო, ალერსი, საქართველოს სიყვარული. და როცა მოწინააღმდეგეები მიტევენ ხოლმე, უნებლიეთ ვფიქრობ, ესენი რომ იმ დღეს, 1984 წლის ნოემბერში, უზბეკეთში, იანგიულის რაიონის სოფელ ენგელსში, ბათუ ინასარიძის ოჯახში ყოფილიყვნენ და ყველაფერი ის ეხილათ, რაც მე ვნახე, სულ სხვაგვარი წარმოდგენა ექნებოდათ-მეთქი ამ საკითხზე.

დიახ, გულამაჩუყებელი შეხვედრა იყო, მაგრამ, რომ იტყვიან, თან საქმე!..

ბატონი გიორგი იქ დარჩა, მე კი მეორე ოთახში ახალგაზრდებს ვუხმე. რაც იქ მოხდა, „გახლეჩილ რწმენაში" მაქვს მოთხრობილი, რომანის მთავარ გმირს მივაწერ ჩემს ნამოქმედარსა და ნათქვამს.

გავშალე საქართველოს რუკა. თვალი მოვავლე „აუდიტორიას". გულისყურით ემზადებოდნენ მოსასმენად. მათ თავი თურქები ეგონათ. ასე სმენოდათ, ასე სჯეროდათ, ასე უნდოდათ, რომ ყოფილიყო. ისინი ნაშვილებ ბავშვებს მაგონებდნენ იმ განსხვავებით, რომ ნაშვილებს ბიოლოგიური მშობლები მხოლოდ აჩენენ, მთავარი როლი კი შეძენილ მშობლებს აქვთ შესასრულებელი. მაჰმადიანი მესხების შემთხვევაში კი შეძენილი მშობლის როლი არ არსებობს. დეპორტირებულები, ასე ვთქვათ, იძულებით ეკედლებიან მათ. ამიტომ უხეშად, პირდაპირ, უტაქტოდ მათთვის ჭეშმარიტების მიხლა არ შეიძლება, სახიფათოა. მეტადრე, როდესაც მათთან იმყოფები.

საქართველოს ისტორია არგონავტებიდან დავიწყე და თანდათან მოვუახლოვდი ჩვენს დროს. ვუთხარი მათ, რომ იქ, სადაც ახლა თურქეთის სახელმწიფოა გადაჭიმული, უწინ ასირია, ურარტუ, რომის იმპერია, შემდეგ ბიზანტია, სომხეთი და საქართველო იყო.

— აი, აქ, — დავადე თითი მესხეთს, — ყოველთვის ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც მესხები ჰქვია, და ისინი ისეთივე ქართველები არიან, როგორიც კახელები, ქართლელები, მეგრელები, გურულები, იმერლები და სვანები.

შემდეგ მოვუთხრე თურქეთის ისტორია, სად ცხოვრობდნენ თავდაპირველად, როდის და როგორ წამოვიდნენ ცენტრალური აზიიდან სამხრეთისაკენ და იქიდან შემდეგ — დასავლეთით, და როგორ შეიქმნა მათი პირველი სახელმწიფო ანატოლიაში — რუმის სასულთნო. ბოლოს ოსმალეთის ისტორიაზე გადავედი და მოვყევი სომხეთის, ბიზანტიისა და ტრაპიზონის ანექსიის შემდეგ, 578 წელს, როგორ დაიპყრეს საქართველოს სამხრეთი ნაწილი — მესხეთი; განვმარტე, რომ „იერლი" შეუძლებელია იყოს თურქი, რადგან ისინი თავად არიან მოსულები ისევე, როგორც თარაქამები და ქურთები; ვუამბე, როგორ ამაჰმადიანებდნენ თურქები ადგილობრივ მოსახლეობას, რა მეთოდებსა და ხერხებს ხმარობდნენ ამ მიზნით.

ახლაც თვალწინ მიდგას ქართული იერ-სახის ბრგე ჭაბუკები, კუნთმაგრები, მშრომელები, ჯან-ღონიანები, ათას ჭირვარამგამოვლილები. როგორ გვაკლია ასეთი ვაჟკაცები, მინის მუშები, ბაღ-ვენახის დამთეს-დამრგველ-მომვლელნი, მტრის კაცურად დამხვედრნი...

მიმზერდნენ ინტერესით, ცოტა გაკვირვებულნი. პირადი გამოცდილებით ვიცი, რომ ერთი შეხვედრით შეუძლებელია ბავშვობიდან ჩანერგილი და გათავისებული მცდარი წარმოდგენა შეაცვლევინო ადამიანს. ერთი შეხვედრით შესაძლებელია მხოლოდ შეაფიქრიანო. საჭიროა მეორე, მესამე შეხვედრაც. ამიტომ, კიდევ უნდა ჩამოვიდე, სახელმწიფოს ანაბარა ამ საქმეს ვერ მივატოვებ, სახელმწიფო არ აპირებს მაჰმადიან მესხებს გაუმხილოს მათი ვინაობა.

— თქვენს პატარძლებს პირველ ღამეს ნამუსს ხდიდნენ და ისე ექცეოდნენ, როგორც თახსირებს. სწორედ ამიტომ 1816 წელს მესხეთში სახალხო აჯანყება მოხდა. უდიდესი კულტურის ხალხს მონასტრები დაგინგრიეს და საჯინიბოებად გადააკეთეს. თქვენ კი ამბობთ, თურქები ვართო.

ხალხი მოვათვალიერე. ერთ სამოცდაათს მიტანებულ კაცზე შემიჩერდა თვალი. ის ერთადერთი მოხუცი იყო ამდენ ახალგაზრდებში, მშობლები, რა თქმა უნდა, აღარ ეყოლებოდა ცოცხალი. მახსოვდა მისი სახელი, ეზოში დაუძახა ვიღაცამ.

— სულეიმან, — მივმართე და თვალი თვალში გავუყარე, — მამაშენი რომ გარდაიცვალა, კუბოში მწოლიარე მიცვალებულს მუცელზე რატომ დაადეთ გაშლილი მაკრატელი?

ჩაფიქრდა და მერე მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცი, ასეთი წესი დაგვიტოვა მამა-პაპამ. ამბობენ, მკვდარს მუცელი აღარ გაუსივდებაო, — თქვა და, ეტყობოდა, თვითონვე აეჭვებდა ეს ამბავი.

— მაგისთვის არ ადებენ, მოხუცო, მიცვალებულს გაშლილ მაკრატელს, ჯვარს ჰგავს გაშლილი მაკრატელი და იმიტომ ადებენ. შენი წინაპარი, რომელმაც თავის გადასარჩენად მიიღო მაჰმადიანობა, ფარულად მაინც ქრისტეს რჯულის მიმდევარი იყო. თურქებს რომ შეეტყოთ ეს ამბავი, აღარ გაათავისუფლებდნენ მძიმე გადასახადებისაგან. ამიტომ ფარულად მოქმედებდნენ. კარებს რაზავდნენ და ისე ლოცულობდნენ, ჯვარის მაგივრობას კი გაშლილი მაკრატელი უწევდათ. თქვენც მაკრატელს ადებთ მუცელზე მიცვალებულს, თუმცა აღარ გახსოვთ, რას ნიშნავს ეს.

— შენ რა გქვია? — ვკითხე მშვენიერი გარეგნობის ოცდაათიოდე წლის ვაჟკაცს.

— ზანდური.

— ზანდურ, პაპაშენის საფლავი რომ გათხარეთ და ბარი და ნიჩაბი გადაყარეთ, რატომ გაასწორეთ საგულდაგულოდ ჯვარედინად?

— არ ვიცი, ასე ყოფილა წესი... — ჩაილაპარაკა მან.

— ეგ წესიც შენმა წინაპარმა მოიგონა.

— ახლახანს სუფრაზე ცხელი მჭადები რომ შემოიტანეს

ქალებმა, ყველა ჯვარედინად იყო შუაში ჩაჭყლეტილი. ხვდებით, ალბათ, რას უნდა ნიშნავდეს ეს.

გასუსულები მისმენდნენ.

ჩემ წინ, პირდაპირ, სამი დიდებული ვაჟკაცი იდგა. მოელვარე, ინტერესიანი თვალებით მომჩერებოდნენ. ერთ-ერთს ვკითხე:

— რა ეროვნების კაცი ხარ შენ?

პასუხი დააყოვნა, რისი მიზეზიც ჩემი ახსნა-განმარტებანი იყო. ბოლოს მაინც ამოთქვა:

— თურქი.

— რა გვარი ხარ?

— ოსმანოვი.

— ეგ არ მაინტერესებს. ეგ ხელოვნურად შეთხზულ-მოკერებული გვარია. რა გაგიგია პაპაშენისგან, რა გვარი გქონიათ ადრე?

— გოგოლაძე.

— მერე არ დაფიქრებულხარ, როგორ შეიძლება გოგოლაძე თურქი იყოს? ეს ხომ წმინდა ქართული გვარია?

სიჩუმე ჩამოვარდა. ვატყობდი, ყველას დაძაბულად უმუშავებდა გონება.

— გიურჯიდან დიუნმა?[2]

— გიურჯიდან დიუნმა! — მიპასუხა დაუფიქრებლად.

— ახლა, აქ ვისაც არ უნდა ვკითხო, ყველა ასე მიპასუხებს. ხომ მართალი ვარ?

თავი დააქნია.

— მერე და იცით, თქვენ ამ პასუხით რას აღიარებთ? ამით თქვენ აცხადებთ, ჩვენი წინაპრები გურჯები იყვნენო. გურჯი კი ქართველია. უფრო სწორად, ასე უწოდებენ ქართველებს თურქები, ირანელები, არაბები, ავღანელები და სხვა მაჰმადიანები. ასე რომ, ჩვენ — ქართველები — და თქვენ ერთი ხალხი ვართ, მხოლოდ სარწმუნოება გვაქვს სხვადასხვა.

ერთხელ კიდევ მოვავლე თვალი ყველას. ველარ იცნობდით. დიდი ეფექტი მოეხდინა ჩემს საუბარს, მაგრამ მეტი იყო საჭი-

---

[2] გურჯის ნაშიერი ხარ? (თურქ.)

რო, რათა ათეული წლების მანძილზე ჩამოყალიბებული სტერეოტიპები და კომპლექსები დამენგრია.

— შენ რა გვარი ხარ? — მივმართე გოგოლაძის გვერდით მდგომს.

— მე... — წაიბორძიკა, — მაჰმუდოვი ვარ მე.

— ხომ გითხარით, ახლანდელი გვარები არ მაინტერესებს-მეთქი...

— კოპაძე.

— რა ეროვნებისა ხარ?

— პასპორტში უზბეკი მიწერია. ისე, მეც თურქი ვარ.

— იერლი ხარ?

— აქ ყველანი იერლები ვართ.

— დაფიქრებულხარ, კოპაძე თუ ვარ, თურქი რატომ უნდა ვიყოო? გიურჯიდან დიუნმა?

— გიურჯიდან დიუნმა. ასე ამბობდნენ ჩემი წინაპრები, ასე ყოფილა.

— მაშინ, შე კაცო, დუნენ არმუდ იდინ, ბოგუნ ალმა ოლდუნ?[3] — გავუმეორე ბატონ გიორგის „საფირმო" შეკითხვა.

ზოგიერთს გაეღიმა, ზოგიც გარინდებულიყო და კვლავაც ფიქრს მისცემოდა.

— როცა თურქებმა თქვენს წინაპრებს რჯული შეაცვლევინეს, მაინც არ ენდობოდნენ და დაცინვით ჩინჩავადებს (ურწმუნოებს) უწოდებდნენ. ისინი გამაჰმადიანებულ მესხებს თავს არ უყადრებდნენ და მათზე ზიზღით ამბობდნენ: „დინ და გიშმიშ ინ სანდან, ვათან და გიშან ით, იახშიდურ" („რჯულშეცვლილი კაცი ბალანგამოცვლილ ძაღლზე უარესია").

მათი სულის კუნჭულებში ვაფათურებდი ხელს. ერთმა შეკითხვის გამომხატველი თვალით შემომხედა.

— გისმენ, გისმენ. რაც გინდათ მკითხეთ, მზად ვარ გიპასუხოთ.

— თუ ეგრეა და ქართველებად გვთვლით, რატომ იყო ჩვენ შორის ომი და მერე რატომ გაგვასახლეთ?

— ჯერ ერთი იქაც ასეა გაყოფილი ხალხი. ზოგმა ვიცით თქვენი ნამდვილი ვინაობა, მაგრამ ბევრ ჩვენებურს თათრები ჰგო-

---

[3] გუშინ ვაშლი იყავ, დღეს მსხალი გახდი? (თურქ.)

ნიხართ. არც გაიმტყუნებიან, თქვენ თურქებად თვლით თავს და იმათაც რომ ასე იფიქრონ, რა გასაკვირია?

რაც შეეხება ჩვენ შორის ომს, შინა ომი სად არ მომხდარა. ავიღოთ, გნებავთ, საფრანგეთი, ესპანეთი, ირანი, ჩინეთი. ასეთ დროს ყოველთვის გარე ძალები აქეზებენ დაპირისპირებულ მხარეებს. როდესაც თქვენმა წინაპრებმა მაჰმადიანობა მიიღეს, ეს არ მოეწონათ ქრისტიან ქართველებს და თათრები შეგარქვეს. ჩვენი ხალხი ყველა მაჰმადიანს თათარს უწოდებდა, ირანელები იქნებოდნენ, თურქები, მონღოლები, ხვარაზმელები, არაბები თუ ვინც გინდათ. ამით სარგებლობდნენ ჩვენი მტრები, რომლებსაც ხელს არ აძლევდათ ჩვენი ერთიანობა. ამგვარი ომები სხვა ქართულ კუთხეებს შორისაც ყოფილა — ქართლსა და კახეთს, იმერეთსა და სამეგრელოს, გურიასა და იმერეთს შორის.

მეკითხები, რატომ გაგვასახლეთო. ჩვენ ვინ გვეკითხებოდა თქვენს დატოვება-გასახლებას. თქვენი ბედი მოსკოვში, კრემლში გადაწყდა. ვიღაც-ვიღაცები კი ჩაგჩიჩინებენ, ვითომ ჩვენ, ქართველებმა გაგაძევეთ სამშობლოდან.

ახლა მეორემ მოითხოვა სიტყვა.

— თუ თქვენიანებად გვთვლით, რატომ არ გინდათ, რომ დავბრუნდეთ სამშობლოში?

— ჩვენიანებად რომ გთვლით, სწორედ ამიტომ ვარ აქ. მე ჩემს სისხლსა და ხორცს ჩამოვაკითხე. როგორც გითხარით, იქაც ბევრმა არ იცის საქმის ნამდვილი ვითარება. მეც ისე დავამთავრე ინსტიტუტი, არ მეგონა ქართველები, უფრო სწორად, მაჰმადიანი ქართველები თუ იყავით. გიორგი ზედგინიძეს რომ არ შევხვედროდი, არც მე მეცოდინებოდა ეს. ერთი სიტყვით, სამუშაო ბევრია აქაც და იქაც, რათა ყველამ გაიგოს, ვინ ხართ. ისე, იცოდეთ, ქართველები არასოდეს დათანხმდებიან თავიანთ სამშობლოში თურქების ჩამოსახლებას. თუ თქვენც ხელს შეგვიწყობთ და თქვენს ქართველობას გაიხსენებთ, იქ განწყობილება თქვენს სასარგებლოდ შეიცვლება.

ისევ იმ პირველმა მკითხა:

— რა მოხდება, ვის რა დაუშავდება თუ ხანდახან ჩვენთვის ვილოცებთ, რატომ უნდა აგვიკრძალონ ეს?

— ვინ გითხრათ, რომ ამას ვინმე აგიკრძალავთ? მაჰმადიანი ქართველები მხოლოდ თქვენ კი არა ხართ, მაჰმადიანი ქართველები მრავლად ცხოვრობენ თურქეთსა და ირანში, არიან ავღანეთშიც. თქვენ რომ მაჰმადიანური რიტუალი აგიკრძალოთ, ეს თურქეთელი და ირანელი ქარველობის, ანუ რამდენიმე მილიონი ქართველის უარყოფას ნიშნავს. ხედავთ? ქრისტიანი ქართველები ოთხ მილიონამდე ვართ, მუსულმანი ქართველი კი — ექვს მილიონზე მეტი.

ასობით მესხთან ჩამიტარებია პროპაგანდისტული საუბარი, მაგრამ ეს შეხვედრა განსაკუთრებული იყო იმით, რომ „მათ მოედანზე" ვიმყოფებოდი.

— სტალინი და ბერია ქართველები იყვნენ! — დაიძახა ვიღაცამ.

ეს ყველაზე მტკივნეული საკითხია, რადგან სტალინი და ბერია მათთვის იგივეა, რაც ჩვენთვის შაჰ-აბასი, თემურ-ლენგი, ჯალალედინი, აღა-მაჰმად-ხანი...

— ტყუილია, სტალინი და ბერია ქართველები კი არა, რუსები იყვნენ. ისინი რუსეთის უზარმაზარი სახელმწიფოს (საშიში იყო იმპერიის თქმა) სულისჩამდგმელები და შემქმნელები იყვნენ. არაფერი მათ საქართველოს კეთილდღეობისთვის არ გაუკეთებიათ, პირიქით, აღმოსავლეთ კახეთი, ანუ ჰერეთი, აზერბაიჯანს გადასცეს, ხოლო ლორე-ტაშირ-ალავერდის ტერიტორია სომხეთს მიაკუთვნეს (თან ამ მიწებს რუკებზე ვუჩვენებდი). იმათ რომ საქართველოს კეთილდღეობა სდომოდათ, ამას ჩაიდენდნენ?

— ჩვენ ვწერთ საჩივრებს ბრეჟნევს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპულ სტრუქტურებს, საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს. თქვენ რატომ არ გვეხმარებით?

— ჩვენც ბევრს ვცდილობთ თქვენთვის, მხარში გიდგევართ. ამისი დასტურია ისეთი ცნობილი მწერლის აქ ჩამოსვლა, როგორიც ბატონი გიორგი ზედგინიძეა. მაგრამ, რომ დაგიჟინიათ თურქები ვართო, ამით ძალიან გვიშლით ხელს. ჩვენ როცა წავალთ, კარგად გაანალიზეთ ჩემი ნალაპარაკები და ჭეშმარიტ გზას დაადექით. ისე კი, უნდა გითხრათ, რომ სამშობლო ერთადერთია, სამუდამო, რწმენა კი — არა. ადრე ჩემი და თქვენი წინაპრები ცეცხლთაყვანისმცემლები იყვნენ, შემდეგ ქრისტიანობა მი-

ვიღეთ, თქვენ მერე მაჰმადიანები გახდით, ჩვენ კი ქრისტიანებად დავრჩით. ხვალ რა იქნება, ღმერთმა იცის. რომელიმე თქვენგანმა რომ მომავალში ბუდისტობა მიიღოს, რა იაპონელი გახდება თუ ჩინელი? არა. ისიც, თქვენც და მეც ყოველთვის ქართველებად დავრჩებით, იმ განსხვავებით, რომ მე ქრისტიანი, თქვენ მაჰმადიანი, ხოლო ის ბუდისტი ქართველი იქნება. მაჰმადიანობას არავინ გიშლით.

ამ პირველ შეხვედრაზე მეტის თქმა შეუძლებელი იყო. ღრმად რომ არ შემეტოპა და საქმე არ გამეფუჭებინა, ამ ფაქიზ საკითხს მეტად აღარ შევხებივარ.

— ესე იგი, თუ ქართველები ვიქნებით, შეიძლება დაგვაბრუნონ, ხოლო თუ თურქები — არა? რატომ გძულთ თურქები?

— აქ სიყვარულსა და სიძულვილთან კი არა, უფრო შიშთან გვაქვს საქმე. მესხეთი სავსეა ციხესიმაგრეებით, მათ ნახავთ ახალციხეში, ახალქალაქში, ხერთვისში, აწყურში. ხალხი, ჩემი და თქვენი წინაპრები, ციხესიმაგრეებს იმისთვის აგებდა, რომ დამპყრობლებისგან დაეცვა თავი და ცოლ-შვილი. დამპყრობლები კი რომაელები, ქრისტიანი ბიზანტიელები, არაბები, ირანელები, მონღოლები და თურქები იყვნენ. დიახ, ყველაზე ხშირად თურქები გვესხმოდნენ თავს, გვარბევდნენ, გვხოცავდნენ, ბავშვებს გვტაცებდნენ. კიდევ ვიმეორებ, თურქები სჩადიოდნენ ამას, თქვენი წინაპრები კი არა — თქვენ თურქები არ ხართ. ამიტომ ეშინიათ ქართველებს თურქების, დიდი სიმწარე ახსოვთ მათგან. და როცა თქვენ — ჩვენი სისხლი და ხორცი გაიძახით, თურქები ვართო, უნდობლად გიყურებენ. თუ იტყვით მესხები, მაჰმადიანი ქართველები ვართო, საქმე სხვაგვარად შეტრიალდება.

— ვინც ჩვენ ჩაგვიყვანს სამშობლოში, იმას დავუჯერებთ, — წამოიძახა ერთ-ერთმა.

ეს უკვე დიდი გამარჯვება იყო! დიახ, ვინც მიეხმარებოდა, ვინც უპატრონებდა, ვინც უწინამძღვრებდა და ჩამოიყვანდა „აღთქმულ ქვეყანაში“, ის იქნებოდა მათი მესია, იმას დაუჯერებდნენ და ყველაფერს ისე გააკეთებდნენ, როგორც ის ეტყოდა.

— რატომ დაგვინგრიეს ქართველებმა მეჩეთები?

— ქართველებმა კი არა, საქართველოს კომუნისტურმა მთა-

ვრობამ ჩაიდინა ეს კრემლის დავალებით. მარტო მეჩეთები კი არა, ეკლესია-მონასტრებიც დაანგრიეს...

— იქ ახლა იმერეთიდან გადმოსახლებულები ცხოვრობენ და ჩვენთვის ადგილი სად მოინახება?

— თქვენი სამშობლო საქართველოა-მეთქი, გითხარით. მოლიძეები, გოგოლაძეები, კოპაძეები და ინასარიძეები მხოლოდ მესხეთში კი არ ცხოვრობენ, ქართლშიც არიან, კახეთშიც, იმერეთშიც, გურიაშიც, სხვაგანაც. ამიტომ, თქვენი სამშობლო მხოლოდ მესხეთი კი არა, საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულია და თქვენთვისაც გამოინახება ადგილი. ამიტომ, გთხოვთ, ნუ ამოიჩემებთ მაინცადამაინც ახალციხეს, აწყურს, უდესა თუ ოშორას.

— იქ პაპაჩემის დარგული კაკალი და თუთაა. დღესაც ხარობენ თურმე.

— პაპაჩემის დარგული თუთა და კაკალი კი ზესტაფონის რაიონშია, იმერეთში, მაგრამ მე დღეს ბორჯომში ვცხოვრობ. ბორჯომიცა და ზესტაფონიც, ორივე საქართველოა. როცა მომენატრება, ჩავჯდები მანქანაში, წავალ და მოვინახულებ პაპაჩემის დარგულ კაკალსაც და მსხალსაც.

ერთი სიტყვით, თქვენი ბრძოლა ჩვენი მხარდაჭერით წარმატებული რომ გამოდგეს, საჭიროა ზურგი აქციოთ მოღალატე ოდობაშევს და ჰალილ გოზალიშვილის გარშემო დაირაზმოთ.

— ძალიან მადლობელი ვართ, რომ ჩამობრძანდით, თქვენ ხართ პირველნი. იქიდან ჯერ კაცი არ გვინახავს ჩამოსული და დიდი მადლობა, რომ გაისარჯეთ, — მითხრა ერთმა ახალგაზრდამ, — მე ტაშკენტში ვსწავლობ ეკონომიკურზე, მეოთხე კურსზე ვარ. იმდენი რამე შევიტყვე თქვენგან ერთბაშად, რომ... მეც მიკვირდა ხოლმე, რატომ გვქონდა ქართული გვარები.

— ბახშის აქვს ჩემი მისამართი. მომწერეთ, დამირეკეთ. შეკითხვა გაგიჩნდებათ? — მკითხეთ. საქართველოში, ბორჯომში თუ ჩამოხვალთ, მე და გიორგი ზედგინიძე თქვენს მეგობრად გვიგულეთ.

— დაგვაბრუნებთ?

— ვერ გპირდებით, მაგრამ მცდელობას არ დავაკლებთ.

ყუთი გავხსენი და ამოვალაგე წიგნები, სუვენირები, სვანური და კახური ქუდები.

ამ დროს იმ ულამაზესმა ქალიშვილმა მორიდებით შემოაღო კარი და მითხრა, გიორგი ვლადიმიროვიჩი გიხმობთო.

გავედი დარბაზში, სადაც სულ სხვა სიტუაცია დამხვდა. ცხოველი საუბარი მიმდინარეობდა ქართულ-თურქულ ენებზე. ხანში შესულებმა მეტ-ნაკლებად იცოდნენ ქართული.

ბატონი გიორგი მათი სოფლების ამბებს უყვებოდა. ახსოვდათ, კარგად ახსოვდათ ყველაფერი.

— ნეტავ ჩვენი წყაროს წყალი დამალევინა კიდევ ერთხელ და მერე თუგინდ მომკლა, — ინატრა ერთმა მოხუცმა, — ისევე მოჩუხჩუხებს?

— ჰო, — უთხრა ბატონმა გიორგიმ, — მაგრამ ახლა სხვა საკეტი უკეთია და ის გეჯაც აღარ უდგას, დალპა და გადააგდეს. არადა კარგი იყო, საქონელი იქ დაგროვილ წყალს სვამდა. თქვენი დიდი კაკალი ისევ ისხამს, ნახევრად გახმა, მაგრამ ის იმერლები, თქვენს ადგილზე რომ ცხოვრობენ, არ ჭრიან, ის ხალხი სტუმრად რომ მენვიოს და აღარ დახვდეთ, ეწყინებათო, ამბობენ.

მოხუცს თვალები დაენამა.

— კარგი ხალხი ყოფილა, — ჩაილაპარაკა ქართულად, — რა გვარისანი არიან?

— ლომიძეები.

— მაინც რა დავაშავეთ ისეთი, თქვენს მთავრობას ჩვენი გაგონება რომ არ უნდა? თქვენ კარგი ხალხი ჩანხართ, თქვენზე ცუდი რა მეთქმის.

— დრო იყო ისეთი, — ცდილობდა გამოსავლის პოვნას ბატონი გიორგი, — მარტო თქვენ კი არა, მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხი გაასახლეს ოსების გარდა, ყირიმელი თათრებიც.

— მაგრამ ყველას აბრუნებენ ჩვენ გარდა.

— რატომ გვკარგავს საქართველო? ჩვენც ხომ ქართველები ვართ, რა მოხდა მაჰმადიანები რომ ვართ, ამით ვის რას ვუშავებთ?

— თქვენი დაკარგვა რომ არ გვინდა, ამიტომაც გამოვიარეთ ამხელა გზა, მაგრამ ეს კი არ მომწონს, — და ხელი ჩემგან „და-

მოძღვრილ“ ახალგაზრდებისკენ გავიშვირე, --- იმათ რომ აღარ იციან, ვინ არიან; თურქები ვართო, მითხრეს.

— ჩვენ თუ ვქართველობთ, რა მოვიგეთ ამით? — იკითხა იმ ქალმა, გიტარას რომ უკრავდა.

— ის მოიგეთ, რომ ასე უფრო შესაძლებელია მიზნის მიღწევა, თორემ იმისი მტკიცებით, თურქები ვართო, სულ არაფერი გამოვა. ოდობაშვილისკენ არც კი უნდა გაიხედოთ. ჰალილს დაუჯერეთ, ის არის თქვენი მოსე.

იმ პირველი მოგზაურობისას წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე სამარყანდმა, სადაც ისა ასლანოვი-აბულაშვილი მელოდებოდა. იქ, ერთ-ერთ სოფელში, ჩავიწერე თქმულება შოთა რუსთაველსა და თამარ დედოფალზე, ისიც მიამბეს, როგორ ამაჰმადიანებდნენ მათ წინაპრებს თურქები. ეს მონათხრობიც გამოვიყენე ჩემს წიგნში.

აი, ასე ველაპარაკეთ მესხებს. შესაძლოა, საუბრის ეს მანერა ვინმეს პრიმიტიულად მოეჩვენოს, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ასე — გასაგებად, უბრალო ენით ჯობდა ესოდენ მტკივნეულ საკითხებზე მათთან ბაასი. ყოფილა შემთხვევა ჩემთან, კაბინეტში შემოსულა სისხლხორცეული „თურქი“, მაგრამ ორი-სამი შეხვედრა და 180 გრადუსით შემომიბრუნებია და ქართული ორიენტაციის პროპაგანდისტად მიქცევია. ცხადია, ისეთიც ბევრი ყოფილა, რომლებთანაც დიდი მცდელობის მიუხედავად არაფერი გამომსვლია. მათ შორის ყველაზე დასამახსოვრებლები კიბიროვი, სარვაროვი და ორჯონიკიძეები იყვნენ.

იბრაჰიმ კიბიროვი 1999 წელს გავიცანი. იგი მოსკოვში სწავლობდა და სპეციალობის გამოცვლა გადაუწყვეტია. მოსკოვის აგრარული უნივერსიტეტის რექტორთან შესულა და თავისი სურვილი მოუხსენებია. რექტორს იბრაჰიმის სასურველი ფაკულტეტის დეკანისათვის, ბორჯომის მკვიდრ აკადემიკოს როლანდ საბაშვილისთვის დაურეკავს და უთხოვია, იქნებ თქვენთან მიიღოთო. იბრაჰიმს საბაშვილისთვის უთქვამს, წარმოშობით ახალციხიდან ვარო, ეროვნების შესახებ კი სიტყვა არ დაუძრავს. რ. საბაშვილმა დიდი მზრუნველობა გამოიჩინა კიბი-

როვის მიმართ, რომელიც მისი დახმარებით ჯერ ასპირანტი გახდა, ხოლო შემდეგ მისივე ხელმძღვანელობით მეცნიერებათა კანდიდატის წოდებაც მოიპოვა. ისინი უახლოესი მეგობრები გახდნენ. 1999 წელს რ. საბაშვილი გარდაიცვალა და იბრაჰიმმა ჩამოასვენა მისი ცხედარი ბორჯომში. იბრაჰიმ კიბიროვის ამბავი როლანდის ძმის, ჯემალისგან ვიცოდი, რომელიც მეუბნეობდა, თურქიაო. და აი, პირადადაც გავიცანი. იგი იერლი გამოდგა, მაგრამ არასდიდებით არ მითხრა თავისი ქართული გვარი. ბევრი ვიკამათეთ, ჩიხში ვიმწყვდევედი, მაგრამ ისე იყო ქართველებზე გულაყრილი, არაფერი გამომივიდა. ასე დავცილდით ერთმანეთს.

ერთხელ ბატონმა გიორგიმ დამირეკა, ქარელში მესხები ჩამოუსახლებიათო და იქით გავეშურეთ. ორსართულიან, ორსადარბაზოიან კორპუსში შეესახლებინათ რამდენიმე ოჯახი. უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულები. გვარად ორჯონიკიძეები ყოფილან. დაღონებულები დაგვხვდნენ, პირობები არ მოსწონდათ. გავესაუბრეთ, ვუთხარით, რომ შეძლებისდაგვარად დავეხმარებოდით. მტკიცედ განაცხადეს, თურქები ვართო.

მეორე დღეს კვლავ ჩავაკითხეთ. თითო ტომარა ფქვილი, კარტოფილი და ლობიო ჩავუტანეთ. გაგონებაც არ უნდოდათ იმისა, რომ ქართველები იყვნენ. ძალიან ღიზიანდებოდნენ, როცა ამაზე ჩამოვუგდებდით სიტყვას. გვითხრეს, ნუ წაგვჭამეთ თავი, სხვებიც ამასვე გვიჩიჩინებენო; თავს თუ არ დაგვანებებთ, აქედან ავიბარგებითო. რომ ვერაფერი გავაწყვეთ, შევეშვით. შემდეგ შევიტყვეთ, რომ წასულან საქართველოდან.

1988 წელი იყო. ბორჯომს სტუმრები ეწვივნენ. მესხების წარმომადგენლები ყოფილან, რესპუბლიკის ხელმძღვანელს, ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს გამოუგზავნია ჩვენთან და რაიკომის პირველი მდივნის თენგიზ პეტრიაშვილისთვის დაუვალებია, დაეთვალიერებინებინა მათთვის გუჯარეთის ხეობა. ადმინისტრაციული კორპუსის სტუმრებისათვის განკუთვნილ „კუპეში“ შევედი. იქ დამხვდნენ რაიონის ხელმძღვანელობა და სამი მესხი: ჰალილ ომაროვი (გოზალიშვილი), ახმედ მუხამედოვი (თენაძე) და აბუზარ აბულაძე. ჰალილი და მე ერთმანეთს

ვიცნობდით, სწორედ მას მოვუკითხივარ. ცხადია, მესხების საკითხზე ჩემი და რაიონის ხელმძღვანელობის აზრი რადიკალურად განსხვავებული იყო.

შემდეგ ჰალილმა მიამბო, რომ წერილი გაუგზავნიათ ჯუმბერ პატიაშვილისთვის და მასთან შეხვედრაც მოუხერხებიათ. უსაუბრიათ ისტორიაზე, გადასახლებული მესხების ბედზე, მომავალზე. ბატონი ჯუმბერი გაოცებული და გახარებული ყოფილა სტუმრების პოზიციით.

მესხებს დეტალურად ჩაუყენებიათ საქმის კურსში რესპუბლიკის ხელმძღვანელი იმის თაობაზე, თუ რა მდგომარეობა იყო გასახლებულთა შორის, რომელი დაჯგუფება როგორ ორიენტაციას ადგა და შეჰპირებიან, თუ საქმე ადგილიდან დაიძრებოდა, ყველა ჩამოსახლებული მათ ფილტრს გაივლიდა და საქართველოში მხოლოდ პროქართულად განწყობილნი მოხვდებოდნენ. პატიაშვილს ცრემლები მოადგაო, მითხრა ახმედმა.

ბატონ ჯუმბერს უთქვამს, მხოლოდ პროთურქულად განწყობილთა მუქარით სავსე წერილები მოგვდისო. ამის შემდეგ დაურეკავს ბორჯომში, მესხებს გუჯარეთის ხეობა დაათვალიერებინეთო.

წაღვერიდანვე საშინელი გზა იწყება და ასეა ბოლომდე — გუჯარეთამდე. ვაჩვენეთ სოფლები: ოდეთი, ღინტური, აიდაროვი, წითელსოფელი, გვერდისუბანი და გუჯარეთი. იქ უკვე დაწყებული იყო მიგრაცია და მოსახლეობათა რაოდენობა წლითიწლობით მცირდებოდა. ძირითადად ჩრდილოეთ ოსეთში მიდიოდნენ. მესხებს მოეწონათ მშვენიერი არე-მარე: მდინარე გუჯარულა, სასმელი წყალი, შესანიშნავი სამკურნალო მინერალური წყალი, საძოვრები, სახნავ-სათესი მიწები. ერთი სიტყვით, კაცი უკეთესს ვერ ინატრებს მეცხოველეობის, მეფრინველეობის და მეფუტკრეობის განვითარებისთვის. შესანიშნავი გარემოა მეკალმახეობისთვის და ნუტრიების ფერმების შესაქმნელადაც. იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ გუჯარეთის ხეობა ახლოსაა ახალციხის მხარესთან. ერთადერთი მინუსი, როგორც აღვნიშნე, საშინელი გზაა.

კმაყოფილი მესხები ახალციხეს გაემგზავრნენ.

სამწუხაროდ, პროქართული ორიენტაციის ორ დიდ ლიდერს,

ჰალილსა და ახმედს შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება არ სუფევდა, მეტიც — მტრობდნენ ერთმანეთს. რაც შემეძლო ვცდილობდი განმემუხტა ეს დაძაბულობა, გულით მინდოდა ნდობას დაესადგურებინა მათ შორის. ჰალილი უფრო თეორეტიკოსი იყო, ახმედი — უფრო პრაქტიკოსი. ახმედმა მომწერა, შინ რომ დავბრუნდი, ტერაქტი მომიწყვეს, ოთხი კაცი დამხვდა და სიკვდილს ბეწვზე გადავურჩი, სარვაროვის მოგზავნილები იყვნენო. მას კიდევ ორჯერ დაესხნენ თავს. ასეთივე ამბავი გადახდა ჰალილსაც. ხალხს საქართველოს, ქართველების ერთგულებისათვის მოკვლით ემუქრებოდნენ, ჩვენი მთავრობა კი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მათ.

ის, რომ ქართული ორიენტაციის ლიდერებს შორის არ იყო თანხმობა, იბრაჰიმ საფაროვის (ზასპიაძის) ბარათიდანაც ჩანს, რომელიც მას შურა თევზაძისათვის მიუწერია:

„...ალბათ ჩვენი ხალხის მეტი გზა არა აქვს როგორც არ იყოს ქართველები არიან და ისეთები იყოს. აგერ მეც მქონდა ქართული გვარი, რაიცა ვსწავლობდი სკოლაში. მე ვიყავი ზასპიადზე. მე ალბათ ვიცი ხალილი გოზალიშვილი. იმას თუ შეუძლია, გავხდე პრეზიდენტი. მე უფრო შემიძლია გავაზეპრო პროპაგანდა ჩვენ ხალხში, მე უფრო დამიჯერებენ რაიდისა ქართულად შემიძლია ლაპარაკი, წერვა და კითხვა“ (სტილი დაცულია).

მაჰმადიან მესხებთან ჩემი ურთიერთობის პერიოდში უმნიშვნელოვანესი რამ მოხდა 1985 წელს. ჩემთან მოვიდა რომან მაღრაძე და მითხრა, ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხაში ვილაც მესხი ჩამოსულა შუა აზიიდან, სახლი უყიდია და დაფუძნებულაო.

მე და ბატონი გიორგი იმ დღესვე გავემგზავრეთ ცხრამუხაში. რამდენიმე შემხვედრს ვკითხეთ, აქ სად დასახლდა მესხის ოჯახი-თქო, მაგრამ ვერ გაგვიგეს. არ გვინდოდა სიტყვა „თათარი“ გვეხსენებინა, მაგრამ სხვა საშველი არ იყო.

— ააა, თათარი? — გვითხრა ერთმა ცხრამუხელმა, — ასე გეთქვათ, მაშინვე მივხვდებოდი. მართალია, თათარია, მაგრამ კაი კაცია.

— ის თათარი არ არის, — აუხსნა ბატონმა გიორგიმ, — ის ისეთივე ქართველია, როგორც შენ, მაგრამ სარწმუნოება აქვს

სხვა. დროთა განმავლობაში ამასაც ეშველება. მთავარია, თქვენ მიიღოთ კარგად და თათარი არ უწოდოთ.

მითითებული მისამართით გავეშურეთ. დაახლოებით რვა მეასედიან მიწის ნაკვეთში აგებული ორსართულიანი სახლი ეყიდა. გამოგვეგება. შუა ხნის კაცი იყო, სახელი და გვარი — ბაჰადირ მატანოვი. ოშორაში დაბადებულა. გავეცანით და ვუთხარით, რომ ჩვენ მისი გულშემატკივრები ვიყავით, მისი ბედით დაინტერესებულები. გულთბილად მიგვიპატიჟა და სუფრა გაშალა. არც ბატონ გიორგის და არც ჩემ შესახებ არაფერი სმენოდა. ფრიად განათლებული კაცი აღმოჩნდა. ორი ინსტიტუტი დაუმთავრებია და პროფესიით მშენებელი ინჟინერი და ისტორიკოსი ყოფილა. სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე უმუშავია, მათ შორის ტაშკენტის ერთ-ერთი რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ და ბოლოს — სოლიდური საამშენებლო ტრესტის უფროსადაც.

რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, მისი ორიენტაცია გვაინტერესებდა. ზედმიწევნით კარგად იცოდა ყველაფერი. გამოგვიტანა წიგნები, დოკუმენტები, წერილები და დაგვიწყო იმის მტკიცება, რომ ქართველია. აღტაცებულები ვუსმენდით. ბოლოს ჩვენ ჩვენი ვუთხარით და გარკვეულწილად შევავსეთ მისი ცოდნა და მონათხრობი.

— თქვენ მე ფრთები შემასხით! — თქვა გახარებულმა.

ბოლოს თავის პრობლემებზე დაგვიწყო საუბარი. თვითონაც უმუშევარი ყოფილა, მისი ცოლიც და ორი ქალიშვილიც. მეუღლეც უმაღლესი განათლების მქონე ჰყოლია და შვილებიც. უფროს ქალიშვილს კონსერვატორია დაუმთავრებია ტაშკენტში.

დავაიმედე, ამიერიდან თავს მარტო აღარ იგრძნობ-მეთქი.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ იმ დღიდან მეც და ბატონი გიორგიც ბადრის (ასე დავარქვით) ცხოვრებით ვცხოვრობდით. ვერც თვითონ ძლებდა უჩვენოდ და ორ-სამ დღეში ერთხელ ან ჩვენ უნდა ვწვეოდით ცხრამუხაში ან ის უნდა ამოსულიყო ბორჯომში.

გამოვუცვალეთ პასპორტი და ჩავუწერეთ შიგ გვარი მეტონიძე (ბატონმა გიორგიმ დაუდგინა ისტორიული გვარი),

ეროვნება — ქართველი. ოჯახში მივუყვანე რაიონის ხელმ-ძღვანელობა. ხაშურის საკისრების ქარხანაში მოვაწყვე, ხოლო მისი უფროსი ქალიშვილისთვის ქვიშხეთის მუსიკალურ სკოლა-ში მივაცემინე საათები. ასე და ამგვარად აეწყო ამ ოჯახის ცხ-ოვრება. ამას ისიც მოჰყვა, რომ უმცროსი ქალიშვილი, სევა, გან-ჯელ მაჰმადიან მესხზე გათხოვდა. ბადრიმ ქორწილის სუფრა საკუთარ ეზოში გაშალა. უამრავი მესხი ჩამოვიდა უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან, აზერბაიჯანიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან. სუფრა სავსე იყო შუააზიური ნესვით, საზამთრო-თი, ყურძნითა და ჩირით. ქორწილს ჩახო ჩიტაძე თამადობდა, მე მისი მოადგილე ვიყავი. ჩახო ჩიტაძე უაღრესად ავტორიტეტუ-ლი პიროვნება გახლდათ. წარმოშობით ვალედან იყო. მრავალ-წლიანი მცდელობით მიზანს მიაღწია და სკოლისთვის, რომლის დირექტორიც თვითონ იყო სამარყანდის ოლქში, შოთა რუსთავ-ელის სახელი მიანიჭებინა. ქართულად მშვენივრად ლაპარაკობ-და. ქორწილი გულისამაჩუყებლად წარიმართა. მაჰმადიანი მესხები საყვარელი სამშობლოს — საქართველოს — სადღეგრძელოს სვამდნენ, ზოგი საკუთარ ლექსს უძღვნიდა მშო-ბელ ქვეყანას, რამდენიმემ ქართულად წარმოთქვა სიტყვა, ცეკვავდნენ ქართულს, ლეკურს, ბაღდადურს, მღეროდნენ ქარ-თულ სიმღერებს... და არა მარტო ქართულს: სოფელს ეფინებო-და განჯიდან ჩამოყვანილი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბ-ლის მიერ შესრულებული აზერბაიჯანული თუ თურქული სიმღ-ერების ჰანგებიც.

ბადრიმ სახლს ოთახები მიაშენა და სათბური გააკეთა, სადაც კიტრი, პამიდორი და მარწყვი მოჰყავდა. ერთ ოთახში „მუზეუ-მი“ მოაწყო — გამოფინა ექსპონატები, საბუთები, დოკუმენტე-ბი, წიგნები, სურათები, გაზეთებიდან ამონაჭრები, რითაც მას-თან სტუმრად მოსულ მაჰმადიან მესხებს და აქაურ ქართველებს სამშობლოდან გასახლებულ თავის თანამოძმეთა ნამდვილ ვინაობასა და ისტორიას აცნობდა. იქვე ეკიდა ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მისი წინაპრების ფოტოსურათებიც.

დიდი სტუმრიანობა ჰქონდა. დღე არ გავიდოდა, მასთან მესხები არ ჩამოსულიყვნენ და ისიც „მუზეუმში“ ენერგიულად უხსნიდა მათ, ვისი გორისანი იყვნენ.

ბადრი ძალიან აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა არა მარტო მესხებს შორის, არამედ ამ საკითხით დაინტერესებულ ქართველ ინტელიგენციასთან და ამ საქმის პროფესიონალებთანაც ამყარებდა კონტაქტებს. ასე გაუცვნია თბილისში პროფესორები შოთა ლომსაძე, გურამ მამულია და გულო ანანიაშვილი. იმ მიზნით, რომ რამეში დახმარებოდნენ, მასთან ხშირად მიმყავდა როგორც თანამდებობის პირები, ისე ინტელიგენციის წარმომადგენლები. ერთხელ სახლში მივუყვანე საქართველოს ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე არჩილ გოგელია და საერთაშორისო განყოფილების გამგე შამილ ჭიაბრიშვილი.

ამასობაში ბადრიმ იმდენი ქნა, ცხრამუხაში კიდევ რვა ოჯახი ჩამოასახლა. რა თქმა უნდა, თითოეული ამ ოჯახის მფარველ-მარჩენალი ბატონი გიორგი და მე ვიყავით.

ერთხელ ბადრი აღშფოთებული ამოვიდა ბორჯომში და მითხრა, ჩვენებმა (რევიძეებმა) ბავშვი რუსულ სკოლაში მიაბარესო; ბევრი ველაპარაკე, მაგრამ არ დამიჯერესო. იმავე დღეს ბატონი გიორგი და მე ცხრამუხაში ჩავედით. გვიანი ღამე იყო. ოჯახში მივედით რევიძეებთან და ვუსაყვედურეთ, თან ავუხსენით, რატომ არ შეიძლებოდა ეს. ბავშვის დედა გაოცდა, ნამდვილად არ ვიცოდი, თუ ასეთ დანაშაულს ჩავდიოდი, თვითონ ცხრამუხელი ქართველები დადიან ხაშურის რუსულ საშუალო სკოლაში სასწავლებლად და იმათ ავყევით, ხვალვე უკან გამოვიყვანთ და ქართულ სკოლაში დავაბრუნებთო. ბოლოს, რომ ჩავეძიე, მითხრა, ბავშვებს სკოლაში თათრებს ეძახიან, რასაც ძალიან განიცდიან, და იქნებ რაიმე იღონოთ, რომ ასე აღარ მოექცნენო. მეორე დღეს ცხრამუხის სკოლაში მივედი და ეს საკითხი ამით ამოიწურა.

დრო გადიოდა და ცხრამუხაში ვითარება თანდათან მძიმდებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მესხთა რაოდენობამ მოიმატა სოფელში, და ისიც, ნაყიდ სახლებს რომ აფართოებდნენ, ალამაზებდნენ და ამშვენიერებდნენ, თითქმის ყველამ რომ შეიძინა საკუთარი ავტომობილები, ჰყავდათ ძროხები, ინდაურები, ქათმები... ყოველივე ეს შურით აღავსებდა ზოგიერთს.

რამდენჯერმე ვეწვიე ოზურგეთსა და სამტრედიაში ჩამოსახლებულ მესხებს. საინტერესოა, რომ იქ ჩემი მოგვარეებიც ცხოვრობდნენ — ჩხეიძეები. ეს ჩემთვის საკმაოდ მოულოდნელი იყო, რადგან ჩხეიძეების ფუძე იმერეთია და საიდან უნდა მოხვედრილიყვნენ იქ? არადა, 1982 წელს ბორჯომის პარკში, დიდ ლოდებთანაც გავიცანი ერთი ჩხეიძე. იმანაც ის მითხრა, თურქი ვარო. წარმოშობით ადიგენის რაიონის სოფელ კიკინეთიდან იყო. ვკითხე, თუ იცი, მე რა გვარისა ვარ-მეთქი? მხრები აიჩეჩა. პასპორტი ამოვიღე და ვაჩვენე. გაუკვირდა.

როგორც ოზურგეთში, ისე სამტრედიაში ჩამოსახლებულ მესხებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ხდებოდა გაუგებრობები, მაგრამ ყველაზე მეტად ცხრამუხაში იძაბებოდა მდგომარეობა.

ერთხელ ბადრი მეტონიძის მოსანახულებლად წავედით ბატონი გიორგი ზედგინიძე, ცნობილი არქეოლოგი ბატონი გივი ღამბაშიძე და მე. ბადრის სახლს რომ მივაღწიეთ, ჩოჩქოლის ხმა შემოგვესმა. მისი მეზობლის, მაჰმადიანი მესხის ეზოსთან ხალხი მოგროვილიყო. ახლოს მივედით და ვხედავთ: ოჯახის უფროსი, ვებერთელა, ბრგე მესხი ჩაცუცქულიყო და ელექტროშედუღების აპარატით მუშაობდა რკინის ღობესთან. თვალს სიამოვნებდა მოვლილი კარ-მიდამო, უზარმაზარი ორსართულიანი სახლი, ეზოში „ვოლგა“ და „ჟიგული“, საქონელი, ფრინველი...

მეზობლის კაცი, ნასვამი ამირან , თავზე ადგა ამ სახლ-კარის პატრონს, დედას და ჯიშს უგინებდა და საჩხუბრად იწევდა. ცოლ-შვილი და რამდენიმე მეზობლის ქალი ამაოდ ცდილობდნენ მოძალადის დაკავებას. სწორედ ამ დროს წავადექით თავზე.

— რა ხდება? — მივმართე სალხს.

— შენ ომაზი არ ხარ? — მკითხა ამირანმა, — ეგ კიდევ გიორგი ზედგინიძეა, არა? თქვენ წაახდინეთ საქმე, თქვენ წაბილწეთ ჩვენი სოფელი, თქვენ ჩამოათრიეთ თათრები ცხრამუხაში, ყველაფერი თქვენი ბრალია...

— ამირან, — მივმართე მშვიდად, — შენ ნასვამი ხარ, მე კი ფხიზელი. ჩვენი ლაპარაკი არ გამოვა. ან მეც დავლევ, ან ხვალ შევხვდეთ ერთმანეთს.

— შენთან რა მაქვს სალაპარაკო. შენ არ იყავი, თათრების ქორწილს რომ თამადობდი?

— ქორწილს შენს ოჯახშიც ვუთამადებ, თუ მთხოვ.

— ესენი, როგორც ჩამოათრიე, ისე წაეთრნენ, თორემ დედას ვუტირებ ყველას, ერთს არ დავტოვებ აქ! — შემართა ღონიერი მუშტები ამირანმა.

— რატომ, რა დაგიშავეს? — იძულებული გავხდი, მაინც ჩავბმულიყავი პოლემიკაში.

— როგორ თუ რა! — ახლა ჩემზე გამოიწია, მაგრამ გააკავეს. ბობოქრობდა, ტანსაცმელს იხევდა, — ჩამოდიან და ჩამოდიან მაგათთან ეს უზბეკურქუდიანები...

გივი ღამბაშიძემაც დაუწყო დამშვიდება. სხვა ცხრამუხელები განზე გადგნენ და მდუმარედ უმზერდნენ კონფლიქტს. როგორც იქნა შინ წაიყვანეს ამირანი. მე შეკრებილებს მივუბრუნდი:

— ხალხო, გიშავებენ მესხები რამეს? თავისთვის არიან, შრომობენ. გაიგეთ, ესენი არ არიან თათრები, ქართველები არიან. სად გაგონილა რევიძე, ცეკვაძე, გოგოლაძე და მეტონიძე თათრები იყვნენ? ხომ ნახეთ, რაიკომის პირველმა მდივანმა როლანდ მულაძემ მღვდელი რომ მოიყვანა და ყველანი მონათლა. ცოტა დააცადეთ, გავა რამდენიმე წელი და ისინიც ისეთივე ქართველები იქნებიან, როგორებიც ჩვენ ვართ.

საუბარმა, რომელშიც გიორგი ზედგინიძე და გივი ღამბაშიძეც ჩაებნენ, გვიანობამდე გასტანა.

მეორე დღეს, დილით ჩავედი ცხრამუხაში და თავზე დავადექი ამირანს. ახალი გამოღვიძებული იყო, აივანზე მჯდარი ლობიოს და მჭადს მიირთმევდა. ნამთვრალევი სახე და ჩასისხლიანებული თვალები ჰქონდა. ხელი ჩამოვართვი და მოვიკითხე. სკამი გამომიწია და დამეწვიეო, შემომთავაზა. ჩამოვჯექი.

— გახსოვს გუშინდელი ამბები?

ოდნავ გამიღიმა, რითაც მაგრძნობინა ყველაფერი მახსოვს, მაგრამ მართალს ვამბობდიო.

— აი, ახლა ვილაპარაკოთ. ფხიზელიც ხარ და დაწყნარებულიც. მითხარი, რა გინდა მაგ საცოდავი ხალხისგან, რას ერჩი, რა დაგიშავეს?

— არაფერი, მაგრამ ვერ ვიტანდა რა ვქნა.

— რისთვის ვერ იტანდ?

— როგორ თუ რისთვის, რა უნდათ ქართულ სოფელში თათრებს? საიდანაც მოსულან, იქით გაბრუნდნენ.

— ერთ დროს შენი წინაპრებიც მოვიდნენ ამ სოფელში დასავლეთ საქართველოდან. მაშინ მათთვისაც რომ ეგრე ეთქვათ და არ შემოეშვათ, სწორი იქნებოდა?

— ჩემი წინაპრები ქართველები იყვნენ.

— მაგათი წინაპრებიც ქართველები იყვნენ. გაიგეთ, შენც რომ გეცხოვრა იმ დროს მესხეთში, სიკვდილს და განადგურებას ისევ მაჰმადიანობის მიღებას არჩევდი. ეს მხოლოდ და მხოლოდ იძულებით მოხდა.

— რაღაც არა მგონია, ეგრე იყოს. ეგ გიორგი ზედგინიძემ მოიგონა და შენც იმან აგიყოლია...

— არავის არაფერი მოუგონია. შენ თუ ჭეშმარიტება გაინტერესებს, წიგნებს ჩამოგიტანდ, წაიკითხე და დარწმუნდები, რომ არავის არაფერი მოუგონია. კი მაგრამ, რომ იძახი, აქ მხოლოდ ქართველები უნდა ცხოვრობდნენო, ცხრამუხაში რამდენი ოსი და სომეხია. იმათ რატომ არაფერს ეუბნები?

— ისინი ქრისტიანები არიან და ჩემს ენაზე ლაპარაკობენ.

— ესენიც ქრისტიანები იყვნენ და შენს ენაზე ლაპარაკობდნენ, ცოტა აცალე. როგორ შეიძლება ულტიმატუმი წაუყენო 27 აპრილამდე მაჰმადიანი იყავი, 28 აპრილიდან ქრისტიანი უნდა გახდეო. აი, მიდი რევიძეებთან შინ. ბავშვებს უკვე ქართული სახელები დაარქვეს, ქართულ სკოლაში მიაბარეს და ქართულად ლაპარაკობენ. სულ რაღაც 4-5 წელში მოხდა ეს. მოიცა, გავიდეს ათი წელი, ოცი წელი, ასი წელი და მერე ვილაპარაკოთ.

— მე თუ აღარ ვიქნები...

— იქნები. ასი წელი ისე ვთქვი, თორემ ათი წელი სრულიად საკმარისია. იმ დღეს რევიძეების ბავშვმა გახარებულმა მითხრა, მასწავლებელმა ეკლესიაში წაგვიყვანაო. ხედავ? დროა საჭირო და ყველაფერი ისე იქნება, შენ რომ გინდა.

დიდხანს ვიდავეთ. კამათი ჩემთვის სასურველი შედეგით დაგვირგვინდა — წამოსვლისას ვთხოვე, ყველასთვის

ყურადღება მიექცია: ამ ხალხს შენ გაბარებ და თუკი ვინმე რაიმეს დაუშავებს, შენთან მექნება საქმე, სამაგიეროდ, თუ რამეში დაგჭირდები, ძმად მიგულე-მეთქი. ეს იყო და ეს, ამირანს ამგვარი რამ აღარ გაუმეორებია.

შემდეგ ახალდაბაში დაიძაბა მდგომარეობა და ცუდი ამბავი მოხდა. აშტარ რევიძე ახალგაზრდა, ენერგიული ბიჭი იყო. ერთხელ მოვიდა და მთხოვა, სამსახურში მომაწყვე სადმეო. ყაზახეთის ქალაქ ჩიმკენტის რაიონიდან გადმოვიდა საცხოვრებლად საქართველოში. ცნობილი მოჭიდავე, ყაზახეთისა და საკავშირო სპორტულ საზოგადოება „დინამოს" ჩემპიონი თუ პრიზიორი იყო. ფიზკულტურის მეთოდისტად დავაწყებინე მუშაობა, მაგრამ ძალიან დაბალი ხელფასი ჰქონდა.

ერთხელაც მთხოვა კოოპერატივი გამახსნევინე, ნუტრიები უნდა მოვაშენოო. ნუტრიების ფერმა თურმე მხოლოდ სუფთა, ანკარა წყლის სიახლოვეს უნდა მოეწყოს. შეურჩევია ასეთი ადგილი ახალდაბაში, მდინარე ნეძურის სიახლოვეს, სადაც ერთი მიტოვებული ფერმა იყო. გამოვიძახე ახალდაბის საბჭოს თავმჯდომარე და ვთხოვე დახმარებოდა. ერთი სიტყვით, საქმე მოვაგვარეთ და აშტარ რევიძე მუშაობას შეუდგა. კარგადაც წაუვიდა საქმე, მაგრამ აქაც შურმა იძალა: ფერმა გადაუწვეს! მთელი ფული ამ ფერმაში ჰქონდა დაბანდებული და მთლად ჯიბეცარიელი დარჩა. აქ რაღა ვაკეთო, უკანვე უნდა გავბრუნდე და იქიდან ვარჩინო ოჯახიო, მითხრა. მართლაც, წავიდა ყაზახეთში და აღარც დაბრუნებულა.

მესხები კვლავაც განაგრძობდნენ ჩემთან სიარულს. თითქმის ყოველდღე რაიკომში ჩემი კაბინეტი შუააზიელი, აზერბაიჯანელი თუ ჩრდილოკავკასიელი სტუმრებით ივსებოდა. ხშირად ჩამოდიოდა ჩემთან ბატონი გურამ მამულია. ის შედარებით გვიან დაინტერესდა ამ საკითხით. თავიდან მთლიანად ბატონ გიორგი ზედგინიძისა და ჩემი გავლენის ქვეშ იყო, მაგრამ შემდეგ თანდათან დასცილდა ჩვენს სტრატეგიას. ბატონი გიორგი და მე მზად ვიყავით მთავრობისთვის ათიათასკაციანი სია წარგვედგინა, რომლის თითოეულ წევრზე პასუხისმგებლობას ვკისრუ-

ლობდით, რომ ისინი სწორედ ისეთნი იქნებოდნენ, როგორნიც ქვეყანას ესაჭიროებოდა.

მათი ჩამოსახლება გვინდოდა ბოგდანოვკა-წალკის რაიონებში, სომხეთ-საქართველოს საზღვრის გასწვრივ. პასუხს ვაგებდით იმაზე, რომ ისინი დაიბრუნებდნენ ქართულ გვარ-სახელებს, ეროვნებას, გახსნიდნენ ქართულ სკოლებს, საბავშვო ბაღებს და ა. შ. გარდა ამისა, ბატონი გიორგის გარდაცვალების შემდეგ მე შევადგინე „მაჰმადიან მესხებთან მუშაობის სტრატეგიული გეგმა". ბატონი გიორგი და მე დარწმუნებულები ვიყავით, რომ 1944 წელს დეპორტირებული ყველა ხალხი დაუბრუნდებოდა მშობლიურ მიწა-წყალს. ასეც მოხდა და მხოლოდღა მესხები იყვნენ დარჩენილი. მსოფლიოში დემოკრატიული პროცესები ძლიერდებოდა და ადვილი მისახვედრი იყო, რომ დადგებოდა დრო, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები მოგვთხოვდნენ, დაგვავალებდნენ დეპორტირებულთა მიღებას. თუ ამას საკუთარი ნებით, ჩვენ თვითონ გავაკეთებდით, მესხები კმაყოფილნი დაგვრჩებოდნენ და იტყოდნენ: „აი, ჩვენმა ძმებმა, ქართველებმა, გამოგვიწოდეს დახმარების ხელი და გვიხსნეს გაჭირვებიდან". მაგრამ თუ ამას თვითონ მიაღწევდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, მაშინ მუშტშემართულები იტყოდნენ: „აჰა, ხომ დაგვჩაგრეთ, ხომ გაგვაძევეთ, ყველაფერს აკეთებდით იმისათვის, რომ აღარ შემოგეშვით სამშობლოში, მაინც მივაღწიეთ ჩვენსას!" მაგრამ ვისთვის გვეთქვა, ვისთვის აგვეხსნა მოვლენათა განვითარების ეს ლოგიკა?

სამწუხაროდ, ბატონები შოთა ლომსაძე, გიორგი ზედგინიძე, ვახტანგ ჯაფარიძე, ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეები, მერაბ კოსტავა და გურამ მამულია აღარ არიან, მაგრამ არიან ნაირა გელაშვილი, შურა თევზაძე, გულო ანანიაშვილი, დათო ჯაფარიძე, გივი ღამბაშიძე და სხვები. მესხებს კვლავაც აქვთ ჩვენი ნდობა, ჯერ კიდევ შეგვიძლია გამოვადგეთ ამ მხრივ ქვეყანას, თუმცა, ცხადია, დღეს ამ პრობლემის კეთილად მოგვარება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე 70-80-იან წლებში იყო. მას შემდეგ ის თაობა, რომელსაც დიდი ნოსტალგია ჰქონდა, აღარ არის. მათი შთამომავლობა უკვე სხვაგვარად მსჯელობს. მათთვის ჯადოსნური

სიტყვა „იერლი“ ბევრს აღარაფერს ნიშნავს, „იერლობა“ დღევანდელთათვის აღარ არის ისე საამაყო, როგორც მათი წინაპრებისთვის იყო. იმ თაობიდან ყოველმა მეათე კაცმა მაინც იცოდა ქართული. თითქმის ყველამ იცოდა ისიც, „გიურჯიდან დიუნმა“, ანუ წარმოშობით ქართველები რომ იყვნენ. ახლა? გლობალიზაციის პროცესი ყველა ეროვნებაზე ზემოქმედებს. ამიტომ მალე აღარც მესხებისთვის იქნება პრიორიტეტული „იერლი“. ჩვენთვის რომ დაეჯერებინათ, ოცი, ოცდახუთი წლის წინ სიყვარულით ჩამოყვანილები დღეს სულ სხვაგვარები იქნებოდნენ. პრობლემის მაგიერ ხვავს, ბარაქას მოგვიტანდნენ, დემოგრაფიულ ვითარებას გაგვიუმჯობესებდნენ.

დღევანდელ მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ აღარ არიან მესხთა პროქართული მოძრაობის ისეთი დიდი ბელადები, როგორებიც ლატიფშა ბარათაშვილი და ჰალილ გოზალიშვილი იყვნენ; სამშობლოს ნოსტალგიით სულდამძიმებულები აღესრულნენ შესანიშნავი ადამიანები და ლიდერები ახმედ თენაძე და იასინ ვარსკნელიძე; ჩვენივე უხამსობითა და დაუდევრობით საქართველო დატოვა ქართული შეგნების დიდმა პროპაგანდისტმა ბადრი მეტონიძემ; წავიდნენ ცხრამუხელი მესხები, წავიდნენ დვალიძეები...

სამწუხაროდ, დღეს აღარ არიან ჰალილისა და ახმედის მსგავსი გამოკვეთილი ლიდერები. თუმცა სასიხარულოა, რომ დაწინაურდნენ ახალგაზრდები: ისო მოლიძე და ამირან ყურაძე (ალიხანის ვაჟი). მამის კვალს მტკიცედ ადგანან კლარა და მარად ბარათაშვილები...

ბორჯომში ამ პრობლემაზე ვლაპარაკობდით, როცა ვინმე რევაზიშვილმა (სახელს შეგნებულად არ ვამხელ) გულზე ხელი დაიბრაგუნა და რისხვით წარმოთქვა:

— ეჰ, ერთი სტალინს დასცლოდა, მაგათ უჩვენებდა სეირს, დედას უტირებდა!

აი, სწორედ ასეთი რეგვენი პატრიოტები და ჭკუამოკლე პოლიტიკოსები აყენებენ ზიანს ქვეყანას. მეტი რაღა დედა უნდა ეტირებინა, გაასახლა, დათრგუნა, დაჩაგრა, კომენდანტის საათი დაუწესა. მამა ერთ სოფელში ცხოვრობდა, შვილი მეორეში.

მამა რომ მოკვდებოდა, შვილს უფლება არ ჰქონდა მის სოფელში გადასულიყო, მშობლის გასვენებას დასწრებოდა.

სწორედ ასეთი დემაგოგების გამო მოხდა ამ საქმის უკუღმა დატრიალება-მეთქი, რომ ვამბობ, ერთი ფაქტი მახსენდება.

ერთხელ, ბორჯომის შუშის ქარხნიდან ჩემთან დელეგაცია მოვიდა აკაკი მოსიძის ხელმძღვანელობით; მითხრეს, კოლექტივს სურვილი აქვს, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, ჩვენი ქარხნის დეპუტატობის კანდიდატად წარგადგინოთო. მართალი გითხრათ, გამიხარდა: ასეთი სახელოვანი კოლექტივის რჩეულობის პატივი დაფასება იყო და დიდ პასუხისმგებლობასაც მაკისრებდა. დავთანხმდი. გავიდა დრო, მაგრამ ამ საქმის გამო აღარავინ შემხმიანებია. ბოლოს სხვა კანდიდატურა შეარჩიეს. ერთხელ აკაკი მოსიძე გზაში შემხვდა და ვკითხე, რა მოხდა-მეთქი. თურმე ქარხნის დირექტორს ჩემთან ნამყოფი დეპუტაციისთვის განუცხადებია, ეგ საკითხი უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან, თორემ ეგ თუ დეპუტატი გახდა, თათრებს ჩამოგისახლებთო!

ნამდვილი მიზეზი სხვა იყო. ეს პიროვნება (ქარხნის დირექტორზე მოგახსენებთ) ბორჯომში ცნობილია, როგორც მომხვეჭელი, ნამდვილი ქვეყნის წურბელა, ნაძარცვით შეძენილი ბინების მფლობელი ბორჯომში, ხაშურში, თბილისში, ბაკურიანსა და ქობულეთში. შუშის ქარხანაში მუშაობისას ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა: იქიდან სახლში ნაეღო ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა. ჩემი გადეპუტატების შემთხვევაში ამ გეგმას ვეღარ განახორციელებდა. ამიტომ ჩემი დეპუტატად არჩევის მოწადინეთა თვალში ჩემთვის სახელი უნდა გაეტეხა, და იმ გაუბედურებული ხალხის ბედით სპეკულაციის მეოხებით თავისი გაიტანა კიდეც. იმას ვერ დამაბრალებდა, მექრთამე და გაფუჭებული კაციაო, და თათრებს ჩამოგისახლებთო, — ამით დააფრთხო ხალხი! ოდესღაც მთელ რესპუბლიკაში ცნობილი, სახელოვანი ბორჯომის შუშის ქარხანა დღეს ისეა იავარქმნილი, თითქოს თემურ ლენგის თუ ჯალალედინის ლაშქარმა გადაუარაო, დანგრეულ-გაძარცულია და აღარ ფუნქციონირებს...

მაგრამ ჩვენს მთავარ სათქმელს დავუბრუნდეთ. ზოგიერთს ჰგონია, რომ გაუღებ თუ არა საქართველოს კარებს მაჰმადიან მესხებს, მაშინვე იხუვლებენ და მოედებიან აქაურობას. ეს რომ ასე არ არის, ამის დასტურად ერთ შემთხვევას გიამბობთ:

ერთხელ ჩემთან, კაბინეტში, საშუალო ასაკის მამაკაცი შემოვიდა და ვიღაცის სარეკომენდაციო წერილი გადმომცა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, გვარად ჰუსაინოვი იყო. საოცარია, მაგრამ თვითონაც, მისი ცოლიც, შვილიც და რძალიც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები იყვნენ ძვლის ტუბერკულოზის განხრით, ალმა-ატაში ცხოვრობდნენ.

ურთიერთგაცნობის შემდეგ რუსულად დაიწყო:

— როდესაც თურქეთმა მესხეთი, ანუ სამხრეთ საქართველო, დაიპყრო, იქ ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ. თურქებმა გეგმაზომიერად დაიწყეს ადგილობრივი, ქართული მოსახლეობის გამაჰმადიანება, რისი საბოლოო მიზანიც მათი გათურქება იყო...

და დეტალურად მომითხრო მესხთა თავგადასავალი, რასაც მე თვითონ ვუამბობდი სხვებს.

— მე და შენ ორივენი ქართველები ვართ, მაგრამ ეგ არის, რომ შენ სამშობლოში ცხოვრობ, მე კი გასახლებული ვარ აქედან. შენ, როგორც ჩემს თანამემამულეს, ჩემს სისხლსა და ხორცს, არანაირი ზნეობრივი უფლება არ გაქვს გულხელდაკრეფილი იჯდე და ამ უსამართლობას უყურო. ოღონდ ჩემს სამშობლოში მაცხოვრეთ და, თუ გინდათ, სადმე კლდის წვერზე დამასახლეთ. ყველაფერს მივატოვებ და წამოვალ.

სტუმარი არ ცხრებოდა. ბატონ გიორგის მანქანა გავუგზავნე და მალე შემოგვიერთდა. მთელი დღე ვისაუბრეთ და მეორე დილას გავაცილე. შევპირდი, ყველაფერს ვიღონებდი, რაც კი შემეძლო.

რკინის ქალამნები ჩავიცვი და ცეკა, მინისტრთა საბჭო და უშიშროების კომიტეტი ავაწრიალე. პიროვნებით, რომლის ოჯახის ოთხი წევრი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი იყო, ძალზე დაინტერესდა ბორჯომის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ბატონი მიხეილ თვაური, რომელიც ენერგიულად ჩაერთო ამ საქმეში. მითხრა,

რომ ჩათახევის ძვლის ტუბსანატორიუმ „მტკვარში" ძალზე სჭირდებოდა ასეთი ხალხი. თვითონ ჰუსაინოვს სანატორიუმის მთავარ ექიმად, შვილს მოადგილედ, რძალს მთავარ სპეციალისტად დავნიშნავო. ბინას, რომელიც რვა ოთახისაგან შედგებოდა და სოფელ დვირის ექიმისთვის იყო განკუთვნილი, საკუთრებაში მივცემ, ხოლო მის მეუღლეს სოფლის ექიმად გავამწესებო.

დავათვალიერე სანატორიუმიც და საცხოვრებელიც და კმაყოფილი დავრჩი. სახლს რვა მეასედამდე მიწის ნაკვეთიც ჰქონდა. ერთი სიტყვით, უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა. გიორგი ზედგინიძე, მიხეილ თვაური და მე რაიკომის პირველ მდივან თენგიზ პეტრიაშვილთან შევედით. თვაურმა აუხსნა საქმის ვითარება და უთხრა, ექიმები ძალიან მჭირდება, სანატორიუმში კადრების დიდი დეფიციტია და მათი შემომატება ჩვენთვის პირდაპირ სულზე მისწრება იქნებაო. ბატონმა თენგიზმა ხანგრძლივი საუბრის შემდეგ განგვიცხადა: თუ მაგ საქმეს ზემოთ შეათანხმებთ, მე საწინააღმდეგო არაფერი მექნებაო.

აღარ შევუდგები იმის მოყოლას, რა გადამხდა, ვისთან და რამდენი ვიარე ზემოთ-ქვემოთ, რა ენერგიად დამიჯდა ყოველივე ეს. დიდი მცდელობის შემდეგ თითქმის შეუძლებელი შევძელი. პარტიის ცეკაში, მინისტრთა საბჭოში, ჯანდაცვის სამინისტროსა და უშიშროებაში ყველგან მოვაგვარე საქმე, ყველა დავარწმუნე ამ ოჯახის დაბრუნების აუცილებლობაში. ბოლოს ალმა-ატაში დავრეკე და ჰუსაინოვს ეს ამბავი ვახარე. მესამე დღეს ჩამოვიდა. ბატონმა გიორგიმ, თვაურმა და მე ვილისით წავიყვანეთ ჩითახევში (თორმეტ კილომეტრზეა ბორჯომიდან). ადრიანი გაზაფხული იდგა, თოვლი დნებოდა და ირგვლივ ატალახებული იყო ყველაფერი. შევედით გერმანელების მიერ აშენებულ სანატორიუმში, რომელიც კაპიტალურ, ძველებურ, დიდებულ შენობაშია განთავსებული. მისი ძირითადი სამკურნალო ეფექტი, აბასთუმნის მსგავსად, მშრალი მიკროკლიმატია. ჰუსაინოვმა გულდასმით დაათვალიერა ოთახები, პალატები, სამედიცინო აპარატურა და ინვენტარი. გაეცნო მკურნალობის მეთოდებს, სანატორიუმის მიღწევებს და ა. შ. თვაურმა მთავარი ექიმის კაბინეტი უჩვენა, სადაც მას უნდა ემუშავა.

იქიდან სოფელ დვირში წავედით. ჩითახევიდან სამი კილომეტრი იქნება. ვაჩვენეთ შესანიშნავი საცხოვრებელი ბინა ეზოთი. უკეთესის მოძიება თეორიულადაც კი შეუძლებელი იყო.

ჰუსაინოვმა ასე გადაწყვიტა: დაბრუნებულიყო ყაზახეთში, სამსახურში ანგარიში გაესწორებინა, ცოლთან ერთად ჩამოსულიყო, მოწყობილიყო აქ და შვილები მერე ჩამოეყვანა. ერთ კვირაში აქ ვიქნებიო. გზა დავულოცეთ და გავაცილეთ.

ერთი კვირაც გავიდა, ათი დღეც, მაგრამ ალმა-ატიდან ჩამიჩუმი არ ისმის. დავურეკე — არავინ მიპასუხა. ორი თვის განმავლობაში ამაოდ ვცდილობდი დაკავშირებას. ვერაფრით ამეხსნა, რა ხდებოდა. ყურში მედგა მისი სიტყვები: „ოღონდ ჩემს სამშობლოში მაცხოვრეთ და, თუ გინდათ, სადმე კლდის წვერზე დამასახლეთო“. რა მოხდა? ამის მერე რეკვა შევწყვიტე და ერთი თვის შემდეგ ისეთ დროს, იქ ღამის 11 საათი რომ იქნებოდა, როგორც იქნა დავუკავშირდი.

— რაშია საქმე, რატომ არ ჩამოხვედი? ყველანი სულმოუთქმელად გელოდებით. კაბინეტი გაგიმზადეთ, სახლიც გაგირემონტეთ. ორი თვეა გირეკავ და ხმა ვერ მოგაწვდინე...

რაღაცებს მიედ-მოედო და, ერთი სიტყვით, უარი გვითხრა. ამდენი შრომა, ამდენი განცდა, მღელვარება და, ბოლოს, ამდენი სიხარული წყალში ჩაგვიყარა.

მე ზედმიწევნით კარგად ვიცნობ მათ ფსიქოლოგიას. საქმე ის არის, რომ მისთვის საქართველო ზეციური, ბავშვობიდან სანატრელი სამოთხე იყო, აუსრულებელ ოცნებასთან გაიგივებული. და, აი, ამ შეუძლებელს მიაღწია! ემოციები ჩაუქრა, გონებამ ცივად, პრაგმატულად დაიწყო აზროვნება. იქ პროსპექტზე ცხოვრობდა, თვითონაც და მისი ოჯახის წევრებიც დედაქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდნენ, ოპერაში დადიოდნენ, საგამოფენო დარბაზებს სტუმრობდნენ... აქ კი, ტალახიანი სოფლის ამბულატორია, სტალინის დროინდელი სანატორიუმი დახვდა, ნათესავებისგან მოშორებით უნდა ეცხოვრა, რა იცი, ხვალ-ზეგ რა მოხდება... ერთი სიტყვით, გალაკტიონისა არ იყოს: „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი...“

ამის შემდეგ ჰუსაინოვის შესახებ აღარაფერი მსმენია.

ზემოხსენებული თვალსაზრისი საბოლოოდ ერთი ამბის შემდეგ განმიმტკიცდა: უზბეკეთის ერთ-ერთ სოფელში (შეგნებულად არ ვასახელებ — რომელში) მთლიანად პროქართულ მოსახლეობას მივაგენი. აღფრთოვანებული ვიყავი მათი შეგნებითა და ორიენტაციით. უმრავლესობას პასპორტებში ქართული გვარები ეწერა. რომ გეთქვათ, თურქი ხარ ან თათარიო, დინჯად განგიმარტავდნენ, რომ ეს ასე არ იყო. ოცნებად ჰქონდათ გადაქცეული სამშობლოში ჩამოსვლა. ერთმა, ცხადია სუსტი, მაგრამ მაინც თავისი საკუთარი ლექსი წამიკითხა. შევპირდი, თავს არ დავზოგავ-მეთქი თქვენთვის. შინ დაბრუნებული, რომ იტყვიან, ნემსის ყუნწში გავძვერი. მინდოდა მათი ბოგდანოვკაში, სომხეთის საზღვართან დასახლება. ვთხოვე, შეედგინათ თითოეული ოჯახის სია, სადაც აღნიშნული იქნებოდა გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, ოჯახის შემადგენლობა, განათლება და ა. შ. ყოველივე ეს სკოლის, კლასების დაკომპლექტებისთვის მჭირდებოდა. ფორმულარის ნიმუშიც დავუხაზე, დავუტოვე და ვთხოვე, ერთი თვის ვადაში გამოეგზავნათ მასალები. ამ საქმეს სათავეში ბახში მეხრალიევი ჩავუყენე. ბორჯომში დაბრუნებული მუშაობას შევუდექი, მაგრამ უზბეკეთიდან ვერა და ვერ მივიღე შეპირებული სიები. ვურეკავდი ბახშის, ისიც მაიმედებდა, მალე ყველაფერი მზად იქნებაო, მაგრამ ბოლოს გამოტყდა, ნაბიჯი ვერ წავადგმევინე წინ ამ ხალხსო.

ძალიან ძნელია სახლის აშენება, ოჯახის მოწყობა და კიდევ უფრო ძნელია მისი მოშლა, მიტოვება, ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლა, ახალ ვითარებასთან შეგუება. ამიტომაც, ჩემი დიდი მცდელობის მიუხედავად, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

აი, ასე! როგორც ესენი არ წამოვიდნენ, ასევე არ წამოვიდოდა მესხების უმრავლესობა. მით უმეტეს დღეს აღარ წამოვლენ, როდესაც დეპორტირებულის საბუთით შესაძლებლობა აქვს წავიდნენ და იცხოვრონ ამერიკაში, ევროპის ქვეყნებში, სადაც ბევრ აქაურ ქართველსაც ეოცნებება წასვლა. ამიტომ ძალიან მეეჭვება, რომ მესხებმა გაძვალტყავებული საქართველო არჩიონ

ამერიკას, საფრანგეთსა თუ ესპანეთს. აქაურები სხვაგან გარბიან და ისინი აქ ჩამოვლენ?

აქვე მინდა იმ პოზიციის შესახებ გითხრათ ორიოდე სიტყვა, რაც მესხების მიმართ ჩვენი ქვეყნის მთავრობას ყოველთვის ეკავა და ახლაც უკავია. მათ ჩამოსახლებას ყოველმხრივ აჭიანურებენ, რათა იმ თაობიდან, რომელიც განსაკუთრებულ ნოსტალგიას განიცდიდა, რაც შეიძლება ცოტა დარჩეს ამ ქვეყანაზე. მალე მაჰმადიან მესხებს შორის სიტყვა „იერლის" მნიშვნელობა აღარავის ეცოდინება.

არ გაგჩენიათ ასეთი შეკითხვა: რატომ არ იხუვლეს და არ ჩამოვიდნენ დამოუკიდებელ საქართველოში თურქეთელი და ფერეიდნელი ქართველები? ან მუჰაჯირი აფხაზები რატომ არ დაბრუნდნენ აფხაზეთში? არავინ მათ არ აკავებს, საზღვრებიც გახსნილია როგორც თურქეთთან, ისე ირანთან.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მაჰმადიანი მესხების თავზე შავი ღრუბელი ეროვნული მოძრაობის დასკვნით პერიოდში ჩამოწვა, მას შემდეგ, რაც უზბეკებმა კრემლის დაგეგმილი სცენარით გენოციდი მოაწყვეს ფერგანაში და იქიდან მესხები გამოდევნეს. თანაც სხვა დეპორტირებულებს (ჩეჩნებს, ინგუშებს, ჩერქეზებს, ყირიმელი თათრების იმ ნაწილს, რომელიც იქ დარჩა საცხოვრებლად) ხელი არ ახლეს და მაინცადამაინც „მონათესავე" (უზბეკები და თურქები ეთნიკურად მონათესავე ხალხებია) „თურქებს" დაერივნენ. სანამ საქართველო რუსეთის საკუთრება იყო, ყველა გასახლებული ხალხი დააბრუნეს სამშობლოში, მესხების გარდა. ეს იმიტომ, რომ დეპორტირებულთაგან მხოლოდ მესხები ცხოვრობდნენ თურქეთის საზღვართან. მაგრამ როგორც კი მოსკოვმა იგრძნო, რომ საქართველოს კარგავდა, ჩვენი ქვეყნისთვის მესხთა პრობლემების შექმნა დაგეგმა და განახორციელა კიდეც.

ადრე მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია ერთობ დადებითად იყვნენ განწყობილნი მესხების მიმართ. ერთხელ ბადრი მეტონიძე მათთან თბილისში ჩასულა და ბარათი გამოურთმევია, რომელსაც ორივე ლიდერი ანერდა ხელს. იქ ეწერა, ბადრი მეტონიძე ეროვნებით ქართველია და ყველა პა-

ტივისცემით მოეპყარითო.

1989 წლის ზაფხულში ზვიად გამსახურდია ბორჯომში ჩამოვიდა მიტინგის ჩასატარებლად. წინა ღამე თანმხლებ პირებთან ერთად ტურბაზაში გაატარა. სუფრა გაუშალეს. ვიცოდი, რომ მიტინგზე ძირითადი თემა მაჰმადიანი მესხების საკითხი იქნებოდა და ძალიან ვნერვიულობდი. სუფრაზეც ცუდად მოიხსენია ისინი. ალტერნატიული აზრის გამოთქმა გმირობის ტოლფასი იყო. ვადროვე, მომენტი შევარჩიე და მორიდებით გავიხმე გვერდზე. ჩვენ შორის ასეთ საუბარი შედგა:

— ბატონო ზვიად, — ვუთხარი მომავალ პრეზიდენტს, — მე სავსებით მესმის თქვენი მესხებთან დაკავშირებით. ვიცი, რომ პროთურქულად განწყობილთა გეშინიათ, თორემ თქვენსავით ვის მოეხსენება, რამდენია მათ შორის საქართველოს პატრიოტი...

— რუსებს უნდათ, რომ მათგან მეხუთე კოლონა შეგვიქმნან.

— ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მე იმის თქმა მინდა, რომ ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხაში ცხოვრობენ რამდენიმე წლის წინ ჩამოსულები. ყველას ქართული ორიენტაცია აქვს და თქვენი უერთგულესი ადამიანები არიან. თქვენი იმედი აქვთ, გაღმერთებენ, გვარებიც აღიდგინეს, მოინათლენ. შვილებს ქართული სახელები დაარქვეს...

მეორე დღეს ბორჯომის ქვედა პარკში (ამჟამად კოსტავას სახელობის პარკი ეწოდება), იქ, სადაც ახლა წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაა, უზარმაზარი მიტინგი გაიმართა, რომელსაც არა მარტო ბორჯომელები, არამედ თბილისიდან, გორიდან, ხაშურიდან და ახალციხიდან ჩამოსულებიც დაესწრნენ. ბატონი გიორგი, ბადრი მეტონიძე და მე ერთად ვიდექით.

მიტინგის გახსნის წინ ზვიად გამსახურდიას ქაღალდი მივაწოდე და წავჩურჩულე:

— ბატონო ზვიად, აქ იმ თქვენი ერთგული ცხრამუხელი მაჰმადიანი მესხების სახელები და გვარებია ჩამოწერილი, რომელთა შესახებაც წუხელ ტურბაზაში გელაპარაკეთ. კარგი იქნება, თუ ამ სიას საჯაროდ წაიკითხავთ და ხალხს მოუწოდებთ მათ არაფერი დაუშავონ, თორემ დაერევიან და ამ თქვენს ერთგულ ხალხს დაიფრენენ.

ქაღალდი ხელში ეჭირა, მიკროფონთან რომ მივიდა.

— ხალხო! — დაიწყო ჩვეული პათოსით, -- საქართველოს საზღვრებს მოადგა კრემლის მიერ დარაზმული თურქთა ნახევარმილიონიანი არმია. ისინი მოდიან საქართველოს დასალაშქრავად. ჩვენ ყველანი, დიდი თუ პატარა, უნდა დავირაზმოთ თოფებით, დაშნებით, ჯაყვებით, კეტებით, ყველაფრით, რასაც მოვიპოვებთ, რომ წინ აღვუდგეთ მათს დამპყრობლურ ზრახვებს.

გული გამალებით მიცემდა. გამსახურდია კვლავ და კვლავ მოუწოდებდა მომიტინგეებს, აფრთხილებდა მათ „მოსალოდნელი საფრთხის" გამო. ხალხი აენთო, მუშტები შემართეს, მუქარის სიტყვებს გაიძახოდნენ. ბადრი ნერვიულობდა, და სწორედ მაშინ, როდესაც იმედი თითქმის გადამეწურა, ჩემი მიცემული ქაღალდი გაშალა და წარმოთქვა:

— მაგრამ, ამასთანავე მინდა გითხრათ, რომ ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხაში ცხოვრობს მაჰმადიან მესხთა რამდენიმე ოჯახი. ისინი ქართველები არიან, დგანან საქართველოს სამსახურში, ჩვენი ერთგულნი არიან და მათ არავინ არაფერი დაუშავოს.

და წაიკითხა ჩემ მიერ მინოდებული სია.

თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

იმავე დღეს ზვიად გამსახურდია და მისი თანმხლებნი (მერაბ კოსტავა, ირაკლი ბათიაშვილი, ავთანდილ რცხილაძე და სხვები) ახალციხეს გაემგზავრნენ. ცხადია, მეც თან გავყევი. იქაც მთავარი თემა მესხების საკითხი იყო. იქაური მიტინგით გამსახურდიამ ბევრი ქულა ჩაიწერა, რადგან მესხეთის მოსახლეობა მკვეთრად უარყოფითადაა განწყობილი დეპორტირებულთა მიმართ. იქაურ პერიპეტიებს აღარ აღვწერ და ვიტყვი, რომ მიტინგის დამთავრების შემდეგ ახალციხის სახელმწიფო მუზეუმში წავედით. მუზეუმის დირექტორი ციური ლაფაჩი გამომეგება და ერთმანეთი მოვიკითხეთ. უცბად მუზეუმის ერთმა თანამშრომელმა, მიტინგის აქტიურმა მონაწილემ და მესხების მოწინააღმდეგემ, სოფელ უდელმა კათოლიკე ქალმა ჩემ დანახვაზე კივილი ატეხა, გამყიდველი, გადაგვარებული და გადამთიელი

თათრების ჩამოსახლების მოსურნე მიწოდა.

ციურიმ დამშვიდება დაუწყო და ცდილობდა იქაურობისთვის გაერიდებინა, მაგრამ შევაჩერე და ქალბატონს მივმართე:

— მე პირადად, ვერავითარ განსხვავებას შენსა და გასახლებულ მაჰმადიან მესხებს შორის ვერ ვხედავ.

— რაო! — იკივლა მასპინძელმა, — რა სისულელეს ამბობ...

— ისინი ამბობენ მართლმადიდებლები არა ვართ, მაჰმადიანები ვართო? თქვენ აცხადებთ მართლმადიდებლები არა ვართ, კათოლიკეები ვართო! ისინი ამბობენ ქართველები არა ვართ, თურქები ვართო? თქვენ აცხადებთ, ქართველები არა ვართ, ფრანგები ვართო! რა განსხვავებაა თქვენს შორის? არავითარი.

— რასა ბრძანებ, — იყვირა აღშფოთებულმა კათოლიკემ, — ჩვენ ქართულად ვლაპარაკობთ, მაგათი სალაპარაკო ენა კი თურქულია.

— ისინი რომ აქ დარჩენილიყვნენ, ქართულად ილაპარაკებდნენ, ხოლო თქვენ რომ გაესახლებინეთ, თქვენი სალაპარაკო ენა ფრანგული იქნებოდა.

— ჩვენი სამშობლო საქართველოა!

— იმათი სამშობლოც საქართველოა...

— ჩვენ საქართველოს ცხოვრებით ვცხოვრობთ!

— რომ არ გაესახლებინათ, ისინიც საქართველოს ცხოვრებით იცხოვრებდნენ.

გამსახურდიას სტუმრობამდე რამდენიმე ხნით ადრე, ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. მესხეთში გასასვლელად ბორჯომში ათასობით მესხი ჩამოვიდა, რომლებიც ადმინისტრაციული კორპუსის წინ შეიკრიბნენ და მთელი ის უზარმაზარი არემარე გადაავსეს. ამ დროს ყველა ჩემს მოსალოდნელ დაპატიმრებაზე ლაპარაკობდა, ამიტომ არ მიაქტიურია. მით უმეტეს, ჩამოსულთა 90% სარვაროველები, ანუ პროთურქულად განწყობილნი, იყვნენ. ჩემი ოთახი სავსე იყო მათი წარმომადგენლებით, მაგრამ მე მათზე ხელი მქონდა ჩაქნეული...

ქვემოთ სარვაროვმა მიტინგი ჩაატარა (ჩემი კაბინეტი მერვე სართულზე იყო და ფანჯრიდან ყველაფერი ჩანდა). ერთმანეთში იყვნენ არეულები „თურქი მესხები“ და მათ წინააღმდეგ ან-

თებული ბორჯომელები. მცირე ნაპერწკალიც კი საკმარისი იყო დიდი ხანძრის ასაგიზგიზებლად, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. სარვაროვმა მაინც მოიპოვა უფლება თავის თანამოაზრეებთან ერთად მესხეთში გასულიყო და იქაურობა მოენახულებინა. სწორედ მაშინ მოხდა ის ცნობილი ინციდენტი, რაც მერე მთელი მესხეთის მოსახლეობას პირზე ეკერა. რომელიღაც სარვაროველს უთქვამს მეორისთვის, ერთი წვეთი სისხლი რომ მქონდეს ქართული, თავს მოვიკლავდიო. ეს გაუგონია ერთ-ერთ ადგილობრივ მოქალაქეს (მესხეთში დღესაც ბევრმა იცის თურქული) და მდგომარეობა დაძაბულა.

რაც შეეხება ჩემს ურთიერთობას „ვოკ"-ის თავმჯდომარე იუსუფ სარვაროვთან, თავიდან ნორმალურად დაიწყო. მან მხოლოდ ჩემთან აღიარა თავისი ნამდვილი გვარი — დიდებულიძე, მაგრამ შემდეგ მტკიცედ დაადგა პროთურქულ გზას, რაც რუსების დამსახურება იყო. კგბ-მ მას ხელფასი დაუნიშნა და საქართველოს წინააღმდეგ მომართა. ჩემთან საუბარში სტუმარმა განაცხადა:

— ადრე მე პროქართული პოზიცია მეკავა, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ამ გზით ვერასოდეს მივაღწევდით საწადელს. ნებით ქართველები არასოდეს დაგვაბრუნებენ სამშობლოში. ისინი მოსკოვისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით უნდა ვაიძულოთ, კარი გაგვიღონ. თუკი საქართველო თურქებად გვთვლის, დაე, თურქები ვიყოთ!

ბევრი ველაპარაკე ამ გზის სიმცდარეზე, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე. ყოფილმა ტრაქტორისტმა იუსუფ სარვაროვმა თავისი აქტიური „მოღვაწეობით" დიდი ზიანი მიაყენა თანამემამულეთა სწორად ორიენტირების საქმეს. იგი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში, ჩამოჰყავდა თანაგუნდელები და ქვეყნის თავკაცთან შეხვედრას ითხოვდა. მას რამდენჯერმე ვესაუბრე იმის თაობაზე, რომ თურქული გზის არჩევით საქმეს აფუჭებდა, რომ ქართველები არასოდეს შეეგუებოდნენ თურქების საქართველოში ჩამოსვლას, მაგრამ როდესაც დავრწმუნდი, ისე მოეწამლათ რუსებს, რომ აზრს ვეღარავინ შეაცვლევინებდა, მე მას

საქართველოში ჩამოსვლა ავუკრძალე. გავაფრთხილე, რომ თუ აქ კიდევ დადგამდა ფეხს, მძიმე დღე ელოდა. მანამდე კი აი, რა მოხდა:

1990 წლის დამდეგს უკვე ისე აგორდა მესხების საწინააღმდეგო ტალღა, რომ ხალხი უმართავი ხდებოდა. ამ განწყობილების გაღრმავებას ხელი შეუწყო აკაკი ბაქრაძის გამოსვლებმაც. პირდაპირ საოცარი იყო მისი ასეთი მკვეთრად უარყოფითი პოზიცია მესხების მიმართ. მასთან მქონია საუბარი და, ფაქტობრივად, ისიც გამსახურდიას პოზიციას იზიარებდა. ყოველივე ამის გამო საჭირო იყო ვინმეს გაებედა და რესპუბლიკურ პრესაში ძალიან ფრთხილი, ტაქტიანი ალტერნატიული აზრის შემცველი წერილი გამოექვეყნებინა. დავწერე ასეთი წერილი 1990 წლის თებერვალში. მაშინ ყველაზე ავტორიტეტული ოპოზიციური გაზეთი სწორედ აკაკი ბაქრაძის „მამული" იყო. იქ კი ჩემი აზრის გამოქვეყნება საკმაოდ პრობლემატური გახლდათ, მაგრამ ბატონი გივი ღამბაშიძე დამეხმარა და წერილი დაიბეჭდა („მამული", 4). გთავაზობთ მის ტექსტს:

„ღია წერილი

„დროებითი საორგანიზაციო კომიტეტის (ვოკ) თავმჯდომარეს

ბატონ იუსუფ სარვაროვს (დიდებულიძედ ყოფილს)

ჩვენ რამდენიმე წლის წინ, საქართველოს შრომითი მოწყობის კომიტეტში შემთხვევით გავიცანით ერთმანეთი...

ბევრი რამ მსმენოდა შენზე. ვიცოდი, ბოლო წლებში ქართული ორიენტაციისკენ კვლავ შემობრუნებულ ე. წ. „ვოკ"-ის დამაარსებელ ოდობაშვილს შეთქმულება მოუწყვე, მისი ადგილი დაიკავე და აღნიშნულ „ორგანიზაციაში" თურქული ორიენტაცია გააბატონე.

გკითხე — მართლა თურქოფილი ბრძანდები-მეთქი?

გაოცებულმა მხრები აიჩეჩე, ხელები გაშალე, გაიცინე და იქვე მყოფ შენიანებს რუსულად მიმართე, — გესმის, რას მწამებენო? — არავითარ თურქულ ორიენტაციას არ ვადგავარ, — მიპასუხე, — ჩვენში ბევრია ბნელი და გაუნათლებელი ადამიანი.

ქართველობაზე ქადაგებით მათ დავაფრთხობ, შევაშინებ, რადგან უცოდინარობის გამო ქართველს ქრისტიანთან აიგივებენ. ჯერ იმას უნდა მივაღწიოთ, ჩამოვიდეთ და დავმკვიდრდეთ საქართველოში, ხოლო შემდეგ ჭეშმარიტებას წინ რა დაუდგება? გაქართველება თანდათან მოხდება...

მეორე შეხვედრაც იქვე შედგა. მაშინ კი მთლიანად გამომჟღავნდა შენი უწინდელი თვალთმაქცობა.

ოთახი სავსე იყო მაჰმადიანი მესხებით. თავგამოდებით იცავდი თურქულ ორიენტაციას, მოითხოვდი „თურქი მესხების" სამცხე-ჯავახეთში ჩასახლებას. იქვე საკადრისი პასუხი გაგცეს ქართველობადაბრუნებულმა რიჟალ ჩახრუხაძემ და ალიხან ყურაძემ, სხვებმაც. ისინი აღაშფოთა იმან, თუ რა უფლებით საუბრობდი მესხთა სახელით. გამხილეს, შეგაჩვენეს, გითხრეს, — თუ თურქობ, თურქეთში გასახლდიო და ოთახიდან გაგაძევეს. „ვოკ"-ის წევრებიც თან გამოგყვნენ...

საქართველოს ხალხის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო ფრონტისა და რელიგიური მოღვაწეებისადმი გამოგზავნილ „მიმართვაში" ასე გვწერ: „პატივცემულო მეგობრებო", „ძმებო", „უძველესი დროიდან საქართველო ამაყობს თავისი ხალხისათვის დამახასიათებელი შესანიშნავი თვისებებით — ჰუმანიზმითა და გულითადობით, სტუმართმოყვარეობით, ვაჟკაცობითა და სიბრძნით"...

აი, სწორედ ასე ძალიან რომ მოგწონვართ და გიყვარვართ, ალბათ, ამიტომ გვწერ — „ჩვენ, თურქ მესხებს", „ჩვენ, თურქ ხალხს" ქართველობასთან „ერთად და თანასწორად" აქვს სურვილი და, იგულისხმება, უფლებაც, იცხოვროს საქართველოში, რომ თქვენთვის „ისტორიულ სამშობლოში" დაბრუნების შემდეგ იქცევა „მშვენიერი ქართული მიწა სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხთა თანაცხოვრების ნიმუშად".

ვაშა, ეფენდი იუსუფ, ვაშა!

ძალზე გაწაფულხარ დემაგოგიურ დიდაქტიზმში, მაგრამ გაითვალისწინე, რომ ქართველობა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში შეძენილ დემენციურ მდგომარეობაში აღარაა და თვალთმაქცობით კაცი ფონს ძნელად გავა...

ამ შეხვედრებზე ბევრს ვეცადე შენთვის გამეგებინებინა გვიანი შუასაუკუნეების მესხეთის ისტორიული ტრაგედიის შესახებ. თუმცა შენც იცოდი, იქვე აღიარე, ჩემი გვარი დიდებულიძე არისო...

კიდევ ერთხელ გაგიმეორებ, ეფენდი იუსუფ, და კარგად დაიხსომე: მესხეთი არის საქართველოს წმიდათაწმიდა ისტორიული მხარე, ქართული ცივილიზაციის აკვანი, სადაც ოდითგანვე ცხოვრობდნენ ქართველები...

„მიმართვაში" წერ: „ერთა შორის შუღლს, ეროვნულ ეგოიზმს, ერთი ერის სწრაფვას იდგეს მეორე ერზე მაღლა, სიკეთე არასდროს მოუტანია". ჩვენ გყავართ მხედველობაში? მთელი შენი ცხოვრება ატყუებ მაჰმადიან მესხებს და მესხეთის ყოფილ არაქართველ მაჰმადიანობას, თითქოს ჩვენ, ქრისტიანმა ქართველებმა გაგასახლეთ საქართველოდან. კვლავ გიმეორებ: 1944 წელს ჩვენთვის არავის უკითხავს და არც არავის შეუთანხმებია თქვენი გასახლების თაობაზე და უკადრებელს ნუ იკადრებ!

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ თურქების ისტორიული სამშობლო შუა აზიაა. სწორედ იქიდან გადმოიმთაბარეს მათ ავღანეთი, ირანი, სომხეთი, ბიზანტია და ცეცხლითა და მახვილით მოსრეს ყოველი. საქართველოსაც დაატეხეს უბედურება, მიიტაცეს მისი ძირძველი, საუკეთესო მხარე — მესხეთი და მოსახლეობის ნაწილიც გაამაჰმადიანეს. აქვე შეგახსენებ, რომ შენებრ ამტკიცებს ზოგი ვაიმეცნიერი, თითქოს თურქები ხეთების შთამომავლები არიან, აზერბაიჯანლები — ალბანელებისაო და ამით იმ დაპყრობილ ქვეყნებს თავიანთ ისტორიულ სამშობლოდ აცხადებენ. შენც ასე მოგდის — მე თურქი ვარ და ჩემს „ისტორიულ სამშობლოში" საქართველოში დამაბრუნეთო (?).

ამდენად, შენი, როგორც თურქის ნოსტალგია, ეფენდი იუსუფ, სრულიად უსაფუძვლოა. მეტიც, დამპყრობლურია. წესით და რიგით, ნოსტალგია შუა აზიის მიმართ უნდა გქონდეს. გახსოვს, შარშან როგორ არაადამიანურად, ბარბაროსულად მოგექცნენ უზბეკები? მეტიც, მათი დანაშაული კიდევ უფრო მძიმდება — თქვენი ისტორიულად სამომთაბარეო ტერიტორიიდან

გამოგაძევეს. აი, ზუსტად ასე ველურად ექცეოდნენ თურქთა წინაპრები ჩვენს წინაპრებს. სწორედ ამიტომაც არ გვინდიხართ თურქები საქართველოში. საოცარია პირდაპირ! პაციფისტურად მორალს გვიკითხავ და ჰუმანიზმისკენ მოგვიწოდებ, იმას კი აღარ ფიქრობ, რომ არც ერთი ერი ნებით სახლში მტერს არ შეუშვებს! ამიტომ გირჩევ, ჩვენდამი მზაკვრული წერილების წერას თავი ანებო, ჩახვიდე შენს შუა აზიაში და იქ ხარჯო ენერგია „ისტორიული სამშობლოს“ და „სამართლიანობის“ საძიებლად. ახლა რაც შეეხება შენს პიროვნებას.

სამოცდაათიან წლებში დასავლეთ საქართველოში ჩასახლდი (ქართველმა ადამიანის უფლებათა და სამართალდამცავებმა გაგიღეს მაშინ კარი მაჰმადიან მესხებს). რატომ გაგაძევეს იქიდან? მოღალატეობის, ძირგამომთხრელი საქმიანობის, საქართველოს მტრობისათვის! შენც ბრძანდები დამნაშავე იმაში, მაჰმადიან ქართველთა ნაწილს გზა-კვალი რომ აებნა. ეს შენც ჩაუნერგე მათ უნდობლობა ქართველობისადმი, განუმტკიცე თურქოფილობა, რითაც, ფაქტობრივად, განაჩენი გამოუტანე მათ.

მაჰმადიან მესხთა შორის არის ჯანსაღი ძალები, მაგრამ შენ სწორედ მათი მოსისხლე ხარ. საქართველოს მტრებთან ერთად ყველაფერი გააკეთე, რომ პროქართული ორიენტაციის ლიდერებისთვის ჰალილ ომაროვისა (გოზალიშვილი) და ახმედ მუხამედოვისათვის (თენაძე) სახელი გაგეტეხა და ისინი ხალხის მტრებად გამოაცხადე.

შენც კარგად მოგეხსენება, თუ რა თავდადებით იღვწოდნენ ქართველი პატრიოტები, მეცნიერები, მწერლები მაჰმადიან მესხთა ბედის სახსნელად (ზოგიერთი ამ მოძრაობის გამო ციხე-გადასახლებაშიც აღმოჩნდა). რამდენჯერმე ერთობლივი პეტიციითაც მიმართეს მთავრობას, მაშინ, როდესაც ჩვენ თვითონ მწვავედ განვიცდიდით მინის დეფიციტს. სწორედ ამ დროს ზუგდიდში ცხოვრებისას ხალხში დეზინფორმაცია შეიტანე, შემდეგ კი ცენტრალური ტელევიზიით გამოხვედი „თურქების“ სახელით. ახლა კი გაკადნიერდი და „მიმართვა“ გამოგვიგზავნე. ამ კითხვაზე, ალბათ, შენ შეძლებ ყველაზე ზუსტი პასუხის გაცე-

მას — საკავშირო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა 80-იან წლებში რატომ დააპატიმრა ბატონ ჰალილ გოზალიშვილის თვითგამოცემული წიგნის თითქმის მთელი ტირაჟი მესხების სულისშემძვრელი ტრაგედიის შესახებ, ან რატომ იდევნებოდა და იდევნება პროქართული ორიენტაცია, შენ და შენი თანამზრახველები კი საკავშირო პრესამ და ტელევიზიამ „ვარსკვლავებად" გაქციათ.

ერთი სიტყვით, თურქეთის დამპყრობლურ პოლიტიკასთან, რუსეთის იმპერიალისტურ რეჟიმთან ერთად, შენც არანაკლები ბრალი მიგიძღვის მაჰმადიანი მესხების მიმართ. გადის დრო, მაგრამ კვლავ ენერგიულად განაგრძობ საკუთარი ხალხის დამღუპველ საქმიანობას. სწორედ ასეთ მეცადინეობასაც მოჰყვა შენი ხალხის გენოციდი ფერღანაში. ასე მგონია, ეფენდი იუსუფ, საქართველოს დაუძინებელ მტრებს შუა აზიაში „მესხი ქართველები" რომ ჰგულებოდათ, მათ იქიდან არავინ გამოყრიდა — საქართველოს ქართველების გასაძლიერებლად არავინ შეიწუხებდა თავს. მაგრამ სჯეროდათ რა (და შენი დიდი მცდელობითაც), რომ იქ „მესხი ქართველები" კი არა, „მესხი თურქები" თუ „მესხეთელი თურქები" ცხოვრობდნენ, მათი გენოციდი მოაწყვეს. ხალხი უსახლკაროდ დატოვეს, რათა ისინი საქართველოსკენ მასობრივად დაძრულიყვნენ. ეს კი შეგვიქმნიდა უზარმაზარ პრობლემებს და ქართველთა სანუკვარი ოცნება განთავისუფლებისა და დახსნისა — შორეთში დაიხევდა. ახალი „მეხუთე კოლონა" საქართველოში მოქმედ ანტიქართულ კოალიციას უფრო გააძლიერებდა და „ურჩ ქართველთა" ჭირვეულობას ბოლოს მოუღებდა.

ახლა ჩემი შეგონებაც მოისმინე, ბატონო დიდებულიძედყოფილო! ასე უნდა მოქცეულიყავი: შენთვის ჩვეული ენერგიით უნდა გებრძოლა და გეღვაწა მესხთა შორის ქართული ენისა და წერა-კითხვის, წიგნებისა და გაზეთების გასავრცელებლად. იქ, შუა აზიაში ქართული სკოლების გასახსნელად (თუ იქ არსებული სკოლისათვის შოთა რუსთაველის სახელის მისანიჭებლად, როგორც ეს ბატონმა ჩახო ჩიტაძემ გააკეთა), ქართული თვითშეგნებისა და სულისკვეთების ასაღორძინებლად და გასაძლიერ-

ებლად (თუმცა, ამაში ჩვენც გვიდევს ბრალი)...

ბატონო დიდებულიძევ!

შენ ჩვენთვის ძე-შეცთომილი ბრძანდები, გვარ-ეროვნება-სამშობლო-რჯულდაკარგული პიროვნება, მტრული ძალების მიერ საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ ეშმაკეულ თამაშში ჩათრეული და სხვისთვისაც გონისა და აზრის ამბნევი.

ამდენად, დიდი პასუხისმგებლობა მაპმადიან მესხთა ბედ-ილბალზე შენც გეკისრება".

ვისაც ახსოვს, თუ რა ფანატიკური ზიზღი და მტრობა სუფევდა მთელ ქვეყანაში იმ დროს „თურქი მესხების" მიმართ, დამეთანხმება, რაოდენ სარისკო იყო ასეთი წერილის გამოქვეყნება. მე დიპლომატიურად მოვიქეცი. ჩვენი მესხებისათვის რომ ამეცილებინა სიძულვილის ისარი, აქცენტი იუსუფ სარვაროვსა და მის დამქაშებზე გადავიტანე.

ჩემს წერილს მოჰყვა ზვიად გამსახურდიას წერილი-გამოხმაურება, რომელშიც საკადრისს მიუზღავდა სარვაროვს, ხოლო პროქართული ორიენტაციის მესხებს აღარ ესხმოდა თავს.

მიზანი მიღწეულ იქნა!

მესხებთან ჩემი მუშაობის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ამბავი 1993 წელს მოხდა. თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის სოლისტმა თემურ გუგუშვილმა ერთი ახალგაზრდა მომიყვანა -– სტამბოლელი ქართველი თენგიზ ირემაძე. იგი, ცნობილი ბიზნესმენის შვილი, საზღვრების გახსნის შემდეგ იყო ჩამოსული საქართველოში. მეც იმ პერიოდში ცოტას ვბიზნესმენობდი და თემურმა მთხოვა, მიმეხედა მისთვის. მართლაც, ჩვენ დავმეგობრდით და მან თანდათან მოიკიდა ფეხი თბილისში.

ერთხელ მე და თენგიზმა სახელმწიფო კანცელარიასთან გავიარეთ. იქვე დავინახე ჯგუფი ადამიანებისა. ქუდებსა და ჩაცმულობაზე მივხვდი, „თურქი მესხები" უნდა ყოფილიყვნენ. ახლოს რომ მივედი სარვაროველები აღმოჩნდნენ. მივესალმე და იუსუფი მოვიკითხე. მათ იცოდნენ ჩვენი ურთიერთობა და მითხრეს, არ ჩამოსულაო, თუმცა იმ საღამოს რუსთაველზე ფოსტამტის შენობაში უნახავთ.

— სად არის თქვენი შეფი? — ვკითხე იუსუფის მარჯვენა ხელს, რომელსაც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ალი ერქვა, — ხომ იცი, თუ სადმე წავაწყდი, ცუდად ნაუვა საქმე. ხმას რომ მივრცელებს კგბ-ს მუშაკიაო, მე ვარ კგბ-ს თანამშრომელი თუ ეგ? გაიგეთ, რვაასი დოლარი დაუნიშნეს. დაფიქრდით, საიდანა აქვს ამდენი ფული? როგორ მოახერხა ამდენი ბილეთი აეღო თქვენთვის? რატომ არ გაინტერესებთ აქ ვის ფულს ხარჯავს? ალი, თქვენი მშველელი მხოლოდ ჩვენ ვართ, ქართველები, რუსები თქვენ საქართველოს წინააღმდეგ გიყენებენ. სანამ ასე გაგრძელდება, არაფერი გამოგივათ.

— ვინც ქართველობს, ვინც ამბობს, ქართველი მაჰმადიანები ვართო, იმათ რატომ არ პატრონობთ?

— იმიტომ, რომ თქვენ გვიშლით ხელს. თქვენ რომ თურქობთ, ეს აშინებს ჩვენს ხალხს. თურქებისგან ქართველებს დაპყრობისა და ხოცვა-ულეტის მეტი ჯერჯერობით სხვა არაფერი ახსოვთ. შეიძლება დადგეს დრო და თურქეთი ჩვენი საუკეთესო მეგობარიც გახდეს. მაგრამ ჯერჯერობით, ქართველებს ის აღიზიანებთ, თავს რომ თურქებად აცხადებთ. ფერგანაში რომ თქვენი გენოციდი მოხდა, რატომ არ აიმაღლა ხმა თურქეთმა? ახლა წარმოიდგინეთ, იქ ირანელები ან ამერიკელები რომ დაეხოცათ, რა ამბავი ატყდებოდა თეირანსა და ვაშინგტონში!

რუსულად ვლაპარაკობდით და თენგიზ ირემაძე ვერაფერს გებულობდა. უცებ გამახსენდა, თენგიზისა და ამათი სალაპარაკო ენა თურქული რომ იყო.

— აი, კაცი, — მივუთითე თენგიზზე, — რომ გგონიათ, მუსულმანი აუცილებლად თურქი უნდა იყოს, ხოლო თუ ქართველია, ის ყოველმიზეზგარეშე ქრისტიანი იქნებაო, ჰკითხეთ, რას გეტყვით.

ყველამ ინტერესით შეხედა უცნობს.

— ეგ ვინ არის? — მკითხა ალიმ რუსულად.

— ვინ არის და თქვენსავით მუსულმანია, გვარად ირემაძე, მაგრამ თქვენგან განსხვავებით კარგად იცის თავისი ეროვნება.

— ჩვენ ქართული არ ვიცით. ეგ ლაპარაკობს რუსულად?

— კაცი თურქეთში დაიბადა, გაიზარდა და სტამბულში ცხოვრობს. თურქულად დაელაპარაკეთ.

თენგიზს ქართულად ავუხსენი საქმის ვითარება და ვთხოვე, გააგებინე-მეთქი რამე. მე ხომ ცოტა მესმის თურქული, ამიტომ ვხვდებოდი მათი საუბრის შინაარსს.

— მუსულმანი ხარ? — ჰკითხა ერთ-ერთმა.

— კი, მუსულმანი ვარ.

— თურქი ხარ?

— არა, რად უნდა ვიყო თურქი.

— სუნიტი ხარ.

— სუნიტი მუსულმანი ვარ, ეროვნებით ქართველი, — უთხრა თენგიზმა.

სარვაროველებს ენა ჩაუვარდათ. უხმოდ გადახედეს ერთმანეთს. ამ სახეების დანახვაზე მივხვდი, რომ, როგორც ჩანდა, ზოგიერთმა მათგანმა მართლაც არ იცოდა თავისი წარმომავლობის ამბავი.

— გაიგეთ, ხალხო, — ჩავერიე საუბარში, — ჩვენ ყველანი, ვინც აქ ვდგავართ, ქართველები ვართ, მაგრამ თქვენ მაჰმადიანები ხართ, მე კი ქრისტიანი ვარ...

ამ დროს, დაბარებულივით, თვალი მოვკარი ჩემს მეგობარს, ფერეიდნელი ქართველების ლიდერს, დიდ ქართველ პატრიოტს რეზა მიქელაძეს, პირველ ფერეიდნელს, რომელიც სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურ მამულიშვილურ მუშაობას ეწეოდა ირანელ ქართველთა შორის; ამავე დროს, თბილისში ირანის საელჩოში მუშაობდა.

— რეზო, რეზო! — გავძახე და ხელი დავუქნიე, — მოდი აქ, მოდი...

რეზო მოვიდა, ყველას მოგვესალმა და მე ხელი ჩამომართვა. საოცარი სიტუაცია შეიქმნა. ყველანი ქართველები ვიყავით, რომელთა შორის მე, თურქეთში მცხოვრები ირემაძე და ფერეიდნელი მიქელაძე ვქართველობდით, ხოლო მესხეთიდან შუა აზიაში გასახლებული ქართველები თურქობდნენ. თანაც ჩემი სალაპარაკო ენები ქართული და რუსული იყო, თენგიზის — ქართული და თურქული, რეზა მიქელაძის — ირანული და ქართუ-

ლი, „თურქი მესხების“ — თურქული და რუსული. მე არ ვიცოდი ირანული და თურქული, თენგიზმა — ირანული და რუსული, რეზამ — რუსული და თურქული, ხოლო „თურქ მესხებს“ ქართული და ირანული არ ესმოდათ. ასე რომ, ჩვენ საერთო სალაპარაკო ენა არ გვქონდა. მე, თენგიზს და რეზას ქართულად შეგვეძლო საუბარი, მაგრამ ამას ვერ გაიგებდნენ სარვაროველები, რომლებსაც რეზასთან არანაირი ენობრივი შეხება არ ჰქონდათ.

— აი, — მივუბრუნდი მესხებს და რეზას დავადე მხარზე ხელი, — რუსულად ვლაპარაკობდი და ჩემი ნათქვამი თენგიზსა და რეზას არ ესმოდათ. — ეს კაცი, რეზო მიქელაძე, ირანშია დაბადებული და გაზრდილი. მისი წინაპრები შაჰ-აბასმა მე-17 საუკუნეში გაასახლა ფერეიდანში. იქ მათ ირანელებმა მიაღებინეს მაჰმადიანობა, უფრო ზუსტად შიიტობა, მაგრამ ეროვნებით ქართველებად დარჩნენ. რომ უთხრათ, სპარსები ხართო, ძალიან ეწყინებათ.

ხედავთ, რა საინტერესო ვითარებაა? აქ თხუთმეტი ქართველი ვართ. მე ქრისტიანი ქართველი ვარ, რეზა მიქელაძე შიიტი ქართველია, თქვენ ყველანი და თენგიზ ირემაძე კი სუნიტი ქართველები ხართ.

რეზას ვუთარგმნე ყველაფერი, რამაც ძალიან გააკვირვა:

— როგორ? ქართველები არიან და თურქობენ?!

— ჰო, ასეა. ეს იგივეა, შენ რომ სპარსობდე, რადგან შიიტი ხარ.

— იქნება არ არის ეგრე?

— გვარად დიდებულიძეები, ვარსკნელიძეები და გოგოლაძეები არიან.

ბოლოს მე და თენგიზმა კარგად ავუხსენით და გავაგებინეთ ვითარება ამ ჩვენს „თურქებს“. რეზას ცოტა რუსულიც სცოდნია და ინგლისურიც და „თურქ მესხებს“ როგორღაც, თენგიზის დახმარებით, რაღაც გააგებინა, უთხრა, შიიტი ქართველი, გვარად მიქელაძე ვარო.

— მიქელაძეები თქვენს შორისაც ბევრია, — ვუთხარი მე, — ხომ ასეა?

ახლაც თვალწინ მიდგას „ვოკ“-ის წევრების განადგურებული სახეები. ისინი მთლად დემორალიზებულები და ფრთე-

ბჩამოყრილები იყვნენ. გაოცებულები შესცქეროდნენ რეზას და თენგიზს.

— აი, კაცი ირანელი შიიტია, მაგრამ ამბობს ქართველი ვარო, — უთხრა თენგიზმა თურქულად, — ისე, როგორც მე ვარ სუნიტი ქართველი. იქ, თურქეთში მაჰმადიანი ქართველები ხუთი მილიონი ვართ, თურქებმა ეს იციან და გურჯებს გვეძახიან.

— უთხარი, თენგიზ, — მივუგე სტამბულელს, — თურქები თავისიანად გთვლიან? ან კიდევ ამათ თუ ჩათვლიან თავისიანად?

— თავისიანად როგორ ჩამთვლიან? კარგად იციან, რომ თვითონ თურქები, ხოლო ჩვენ ქართველები ვართ, და ჩვენი სამშობლო საქართველო ანუ გურჯისტანია. იქ თუ ჩახვალთ, თურქებად არ მიგიღებენ. თქვენი ლაპარაკი განსხვავდება ნამდვილი თურქულისაგან. ზოგიერთი სიტყვა ვერც კი გავიგე.

ენაჩავარდნილი „თურქი მესხები" ხმას ვეღარ იღებდნენ. ჯერ ერთი, გაოცებისაგან, მეორეც იმის გამო, რომ ყველა კითხვაზე, რაც გონებაში გაუელვებდათ, ისე ვაძლევდით პასუხს, შეკითხვის დასმასაც არ ვაცლიდით!

— ჩვენც შიიტები ვართ და სპარსელებიც, — თქვა რეზამ, — მაგრამ იქ ჩვენ გარდა შიიტები არიან ბელუჯები, ქურთები, მაზანდარელები, ბახთიარები, თალიბები, პაზარელები, ჯემშიდები, ავღანელები, ტაჯიკები, თურქები, აზერბაიჯანელები; არც ერთი მათგანი არ ამბობს სპარსი ვარო. თავის მხრივ, არც სპარსები გვთვლიან თანამემამულეებად.

— თქვენ, ალბათ, ის გაინტერესებთ, — ჩამოვართვი სიტყვა რეზოს, — როგორ მოხდა, რომ თურქეთსა და ირანში მცხოვრები ქართველები ქართველობენ, მესხეთიდან გასახლებულთა დიდი ნაწილი კი — არა. რატომ არ ქართველობენ აფხაზეთში ლორთქიფანიძეები, ტაბაღუები, ახვლედიანები, შენგელიები, დარასელიები, კობახიძეები? ამას ღრმა მიზეზები აქვს. სხვადასხვა პრაგმატულ საკითხებთან ერთად მიზეზი ისიც არის, რომ ათეული წლების მანძილზე მიმდინარეობდა მათი დამუშავება რუსების მიერ და კიდევაც მიაღწიეს მიზანს, ხოლო ფერეიდანსა და თურქეთში მცხოვრებ ქართველებს რუსები რას მისწვდებოდნენ! ამისი ერთ-ერთი დასტური ისაა, მესხეთში აზერბაიჯანუ-

ლი სკოლები რომ გახსნეს თქვენთვის, რათა ყოველივე ქართულს ჩამოეშორებინეთ და როცა საჭირო გახდებოდა ჩვენ წინააღმდეგ გამოეყენებინეთ; მეორე — ირანში, იქ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ, უფრო იოლია ენის შენარჩუნება, მაზანდარასა და სხვა რეგიონებში უამრავი გასპარსდა. მესხები კი საბჭოთა კავშირის ხუთ რესპუბლიკაში იყვნენ განსახლებულნი; მესამე — ფერეიდნელებმა იცოდნენ, იციან და ეცოდინებათ, რომ ისინი სამშობლოდან გაასახლა შაჰ-აბაზმა, მესხებს კი დღედაღამ ჩასძახოდნენ, ქართველებმა, სტალინმა და ბერიამ გაგასახლათო, რაც ბოლის და ბოლოს ძვალსა და რბილში გაუჯდათ.

...1988 წელს რაიონის ხელმძღვანელობამ გადმომცა მწერალ-აკადემიკოს ბ-ნ ირაკლი აბაშიძის თხოვნა იმის თაობაზე, რომ სათავეში ჩავდგომოდი ბორჯომის რაიონის რუსთაველის საზოგადოებას. ჩავედი თბილისში მის მოადგილე ბატონ რეზო ამაშუკელთან და ვურჩიე, ამ საპატიო პოსტზე ბატონი გიორგი ზედგინიძე აერჩიათ, ხოლო მე მისი მოადგილე ვიქნებოდი. გამოითქვა აზრი, რომ იგი უკვე ხანდაზმულია, ხოლო ამ ადგილზე ახალგაზრდა, ენერგიული და, თავისთავად ცხადია, განათლებული ადამიანი იყო საჭირო. ყველა დავარწმუნე, განათლება ბატონ გიორგის რომ აქვს, ისეთი უნდა, ხოლო იმ საქმეებს, ახალგაზრდობასა და ენერგიას რომ მოითხოვს, ჩემს თავზე ავიღებ-მეთქი. დამთანხმდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბ-ნმა რეზომ დამირეკა და მითხრა, ასპინძაში მოთაობაზე მოვდიეარ, ბორჯომში გამოგივლი და ერთად წავიდეთო.

ასპინძაში ჩასულმა უამრავ ხალხში მაჰმადიანი მესხების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ალი-ხანი დავინახე. ძალიან გავიხარე მისი ნახვით. ასპინძის რაიკომის პირველი მდივნის ბატონ თ. მოსიაშვილის მიერ საპატიო სტუმრებისათვის გაწყობილ სუფრაზე წავიყვანე და გვერდით დავისვი. იგი ანთებული იყო საქართველოს, ქართველობის, დიდი შოთა რუსთაველის სიყვარულით, ეამაყებოდა გენიალური პოეტის თანამემამულეობა და მისდამი მიძღვნილ ზეიმზე ჩამოსულა. ალი-ხანი სარ-

ვაროველთა ერთ-ერთი უპირველესი სამიზნე იყო. რამდენჯერმე ძლივს გადაურჩა მათ თავდასხმას. ყველგან მტკიცედ და განუხრელად იდგა პროქართულ პოზიციაზე და დიდ საქმეს აკეთებდა ქართული ორიენტაციის განსამტკიცებლად.

მოულოდნელად მოსიაშვილმა იკითხა, ეგ ვინ არისო?

მე ვუთხარი:

— ჩვენი ძმა და მეგობარი, მაჰმადიანი მესხების პროქართული ორიენტაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი ალი-ხან ყურაძე გახლავთ, დიდ საქმეებს აკეთებს. განათლებული, პატრიოტი კაცია, საგანგებოდ ჩამოვიდა თავისი დიდი წინაპრისადმი მიძღვნილ ზეიმზე-მეთქი.

— ეგ შენა ხარ? — მიმართა რეზო ამაშუკელმა ალი-ხანს.

— ვინ „ეგ"? — ვკითხე შიშით.

— ვინ და ერთი მათგანი, სოფელ თოკში ქართველები რომ ჩაამწკრივეს, მოდი, ვნახოთ, თოფის ტყვია რამდენ კაცს გაივლისო!

გულს შემომეყარა. თანაც სუფრის დანარჩენ წევრებსაც სოლიდარობა და აგრესიულობა შევატყვე. ალი-ხანს შევხედე — ცრემლები მოსწოლოდა თვალზე.

— ალი-ხანს ეგ არ ეხება, — მივუგე ბ-ნ რეზოს (ვღელავდი, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა), — კი, ცუდი ამბები ხდებოდა, არც ჩვენი მხარე აკლებდა ხელს, მაგრამ ალი-ხანი ჩვენი ძმა და პატრიოტი ქართველია...

— აქ რომ ჩამოვა, ეგ უარესს იზამს, — არ ცხრებოდა ამაშუკელი.

— თუკი სტალინმა რაიმე კარგი გააკეთა, — თქვა სუფრის ერთ-ერთმა წევრმა, საპატიო ადგილზე რომ იჯდა და, რომელსაც პირველად ვხედავდი, — ეს მათი გასახლება იყო.

— ბატონო ჩემო! — მივუგე გაგულისებულმა, — თქვენ რომ იმ დროს გეცხოვრათ, სწორედ თქვენ მიიღებდით მაჰმადიანობას ყველაზე ადრე. თანაც, დარწმუნებული ვარ, ენერგიულად იმსახურებდით თურქებთან პირველი ღამის უფლების მოპოვებისათვის.

— შენ რა იცი, მე რას ვიზამდი? — აენთო ოპონენტი.

— მიხვრა-მოხვრასა და ფიზიონომიაზე გეტყობათ...

მოსიაშვილი ჩაგვერია, დაგვაშოშმინა და სადღეგრძელო წარმოთქვა თუთის არყით.

გუნებანამხდარ და გულმკვდარ ალი-ხანს ხელი გადავხვიე, მოვეფერე და ვანუგეშე:

— შენ შეგნებული კაცი ხარ, არ უნდა გეწყინოს. იქით სარვაროველების ბრალია, ასეთი რამ რომ ხდება, აქეთ კიდევ ყველამ როდი იცის საქმის ნამდვილი ვითარება. უნდა გაუგო, თათარი ჰგონიხართ...

ეს ამბავი იმიტომაც გავიხსენე, რომ მინდა დიდი კმაყოფილებით წარმოვაჩინო ჩემი წიგნის „გახლეჩილი რწმენის“ ზემოქმედების ძალა. დაბეჭდვიდან მეორე დღესვე ვაჩუქე ის ბატონ რეზო ამაშუკელს, ერთი თვე ვაცალე და მერე მივაკითხე.

არ დამავიწყდება ეს შეხვედრა! მას მთლიანად შეეცვალა აზრი მაჰმადიან მესხებზე. მისი ადრინდელი დამოკიდებულება ამ ხალხის მიმართ გასაკვირი არ არის: რა ინფორმაციაც ჰქონდა, იმის შესაბამისი პოზიცია ეკავა თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. თითო-ოროლა კაცი ვირჯებოდით საიმისოდ, რომ ხალხს სწორი, ობიექტური ცოდნა ჰქონოდა მაჰმადიანი მესხების თაობაზე. დარწმუნებული ვარ, ისეთი მგზნებარე ლექსების ავტორს, როგორიც ბატონი რეზო ამაშუკელია, სიმართლე რომ სცოდნოდა, ზემოთ აღწერილი შეხვედრა სულ სხვაგვარად წარიმართებოდა.

როგორც აღვნიშნე, არ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ ასევე ნეგატიური შეხედულება ჰქონდა დეპორტირებულთა თაობაზე საქართველოს ისეთ საამაყო შვილს, როგორიც ბატონი აკაკი ბაქრაძე იყო. საოცარია პირდაპირ! მე მქონდა მასთან ამ საკითხზე საუბარი, როდესაც რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარედ ავირჩიეთ. მისმა ხედვამ პირდაპირ დამთრგუნა. ბატონი აკაკისა და ჩემ გარდა კაბინეტში სხვებიც იმყოფებოდნენ.

— არავისზე ნაკლები პატრიოტები და ერისკაცები არ იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, რომლებსაც აი, როგორი პოზიცია ეკავათ გამაჰმადიანებული მესხების მიმართ, — ვთქვი და ქაღალდები გავშალე:

ილია ჭავჭავაძე: „[სამცხე-საათაბაგოდან] ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობით; სამღვდელონი და ეპისკოპოზნი მოსწყვიტეს, საყდრები დასძარცვეს და ყოველი საღმთო-საერო წიგნები ცეცხლს მისცეს. ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა, ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან. ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმლად აღიარებს ქრისტიანობასაო, რომ დღესაც ათისა თუ თორმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთო მოსანათლად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს, ოსმალების იდუმალად თურმე.

„ეგრეთ, — მძალავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები — ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი... სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ ნაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა.

...არ გვაშინებს-მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს, და დიდის ხნის განშორებულ ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და

ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი“.

აკაკი წერეთელი: „დიდი ხანი არ არის მის შემდეგ, რაც უკუღმართმა ბედმა დაგვიკარგა ჩვენი მრავალსაუკუნეობითი ერთობა, გაგვაპო შუა, გაგვყო ორად, გაგვასხვავა სარწმუნოებით და დაგვაშორა ერთმანეთს ქვეშევრდომობით. მაგრამ ჩვენ კი მაინც იმავე ერთის ტომის ხალხი ვართ, რაც ადრე ვიყავით, იმგვარივე სისხლი სდუღს ჩვენში დღესაც, რომელსაც ადრე ჩვენ და თქვენ ჩვენის ერთობისათვის თავგანნირულად შეერთებულად ვანთხევდით; იგივე გულისათვის ჩვენში, რომელიც ძველად ჩვენის ქვეყნის ერთობისათვის სიყვარულით იმსჭვალებოდა და იგივე ამაყი და პატიოსანი სული გვამხნევებს, რომლითაც ჩვენ მაშინ ერთად განუყოფლად ქვეყანაში ქებით ვიხსენებოდით. კიდევ მეტი ვსთქვათ: დღესაც ჩვენ მივენდობით იმავე ერთს ღმერთს, რომელიც ადრე გვფარავდა. ჩვენა გვაქვს ერთი ისტორია, რომელიც საქართველოსადმი თქვენ უფრო დიდ წილს გიდებსთ, როგორც შემხებს, მოსაზღვრეებს, — ის არ დაივიწყება უკუნისამდე, სანამ კი საქართველო არსებობს და სანამ ჩვენი დედაენა არ გამქრალა, ის ტკბილი ენა, რომელიც თქვენ აგრე მამაცურად და პატიოსნურად უცხოობაშიც კი შეგინახავთ. რადაც უნდა ვიყოთ, რაგინდ შორს ვიყოთ ერთმანეთზედ, დიდათაც რომ განსხვავდეთ გარეგნობით, ჩვენ მაინც ყოველთვის ერთი უნდა ვიყოთ იმ მიზეზით, რომელიც ჩამოვთვალეთ. ჩვენი ცალცალოება, ჩვენი გაყოფა ორად -— ჩვენი ბედისა და ძალის განახევრება არის. როგორც ძველად, ისე დღესაც უთქვენოდ ჩვენი ჭირი ორკეცდება და ლხინი კი ნახევრდება, თუ თქვენ ცუდ მდგომარეობაში გვეგულებით, მაშინ ჩვენი კეთილდღეობაც აღარაფრად გვიღირს და თუ თქვენც ჩვენთან ერთად ჩვენი თანამგრძნობი და ერთად უღლის გამწევად გხედავთ, მაშინ ჭირსაც აღარ შეუშინდებით. ღმერთმა ნუ ქნას უთქვენობა ჩვენთვის და უჩვენობა თქვენთვის. ორივე ნახევარი ცალ-ცალკე ყოველთვის უსრულო ნაწილებად დარჩებიან, მაგრამ ერთად შეერთებით კი ერთს სრულს შეადგენენ. დიახ, სულითა და გულით ჩვენ ერთი ვართ, ერთს ბედს ქვეშ უნდა ვიყოთ ყოველთვის“.

როგორც ცნობილია (სავარაუდოდ, კრემლის გეგმის მიხედვით), 1989 წლის ზაფხულში უზბეკეთის ქალაქ ფერგანაში მაჰმადიან მესხთა გენოციდი მოსდა, რაც შემდეგ მთელს რესპუბლიკაში გაგრძელდა და ქვეყანა მაჰმადიან მესხთაგან დაიცალა. უზბეკები დაერივნენ უდანაშაულო ხალხს და უმოწყალოდ დაარბიეს იგი. თვითმხილველთა მტკიცებით, ბავშვი ფიწალზე წამოუგიათ. დაუცველმა ხალხმა ძლივს მოასწრო გაქცევა და სხვა რესპუბლიკებს შეაფარა თავი. ერთი ავტობუსი, სავსე ქალებითა და ბავშვებით, წითელ ხიდთან მოადგა საზღვარს. მაგრამ საქართველოს ვაიპატრიოტებმა ჩაიდინეს უმაგალითო, უზბეკებსა და რუსებზე არანაკლები ბოროტება და თავისი საკუთარი მინებისკენ წამოსული ხალხი, რომელიც ჩვენგან შველას და მფარველობას მოელოდა, ბარბაროსულად გაყარეს უკან.

ამ დროს მთელ საქართველოში, „წმინდა ილია მართლის“ საზოგადოების და სახალხო ფრონტის მიერ განეული „შრომის“ შედეგად, ქვეყნის მოსახლეობა ეგზალტირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მე მაშინაც რაიკომში ვმუშაობდი აგიტაციაპროპაგანდის განყოფილების გამგედ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მესხები რუსთაველის მოედანზე გროვდებოდნენ. სამსახურიდან შინ ერთი საათის მისული ვიყავი, რომ რაღაც გამახსენდა და უკანვე დავბრუნდი რაიკომში. შვიდი საათი იქნებოდა. ლიფტით ავედი მერვე სართულზე და გაიღო თუ არა კარი, ორი უცნობი მამაკაცი დავინახე, რომლებიც ჩემგან განთავისუფლებულ ლიფტში შევიდნენ და ორი დიდი გატენილი ტომარაც შეათრიეს შიგ. ჩემი კაბინეტის კარი ღია დამხვდა, ყველაფერი გადაქოთებული, არეულ-დარეული იყო, სეიფიც გაეხსნათ. სულ წაეღოთ მასალები მესხებზე (დოკუმენტები, სიები, მისამართები, სურათები, წერილები, გეგმები, საგაზეთო და სხვა მასალები). აუნაზღაურებელი დანაკლისია უზბეკეთში გაცნობილი და ჩემთან ჩამოსული მესხებისაგან ჩაწერილი ლეგენდების, ზღაპრების, თქმულებების და სხვა მონათხრობთა გაქრობა, რომელთა შორის იყოს უნიკალური თქმულებები თამარ დედოფალსა და შოთა რუსთაველზე...

მეორე დღეს მესხები მეწვივნენ. აზიმ კუჩალი-ოღლიმ (მისი ქართული გვარი აღარ მახსოვს) გულისამაჩუყებელი რამ მითხრა:

— როდესაც თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი „პახტაკორს“ ეთამაშებოდა, მე სამარყანდიდან ყოველთვის ტაშკენტში ჩავდიოდი მატჩზე დასასწრებად და დიდი განცდებით ვგულშემატკივრობდი ჩვენებს.

— ვინ თქვენებს? — გავიტრუნე პასუხის მოლოდინში.

— თბილისის „დინამოს“...

იგი სამარყანდიდან იყო, მაგრამ იმჟამად ჩეჩნეთში ცხოვრობდა.

ჩანაწერებში, რაც ჩემი განადგურებული არქივიდან შემომრჩა, იხსენიებიან ჰუსეინოვი რაჯაფ მინლადინის ძე (კიკნაძე), ჰუსეინოვი შაფაშ მინლადინის ძე (კიკნაძე), ბახშიევი ბაჰადურ სალინის ძე (ჩოლაგაძე) და ჩახალოვი მამედ მეტიალის ძე (ტოპორაძე), რომელთა დარწმუნება მეორე შეხვედრაზევე შევძელი. მათთან ერთად იმყოფებოდა ერთი ადიგენელი მესხი, რომელმაც ასეთი საინტერესო შეკითხვა მომცა:

— პაპაჩემმა მითხრა, მის მამას სრულიად არ ცოდნია თურქული და მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა. ეს როგორ?

— ჩვეულებრივად, — მივუგე სტუმარს, — ახლაც სწორედ ასეა. თბილისში ქუთაისსა და სხვა დიდ ქალაქებში ქართველებმა იციან რუსული, მაგრამ ამ ცენტრებიდან დაცილებულ რეგიონებში — ხევსურეთში, მთა-თუშეთში და სვანეთში მოსახლეობა ვერ ლაპარაკობს რუსულად, რადგან იქ ბევრს რუსი ნანახიც არა ჰყავს. ბორჯომში, ცხადია, ვიცით რუსული: აქ ხომ უამრავი რუსი დამსვენებელი ჩამოდის. ასე იყო თქვენთანაც. ახალციხეში, აწყურსა და ისეთ ადგილებში, სადაც თურქული გარნიზონები იდგნენ, ხალხმა იცოდა თურქული, ხოლო ისეთ მოშორებულ ადგილებში, როგორიც, ვთქვათ, ადიგენი, აბასთუმანი ან ჩუნჩხაა, არ ეცოდინებოდათ. მერე და მერე კი, რა თქმა უნდა, ასეთ ადგილებშიც ოანდათან შეაღწია თურქულმა. ისე კი ცნობილია, რომ მე-19 საუკუნემდე თითქმის მთელ მესხეთში სალაპარაკო ენა ქართული იყო.

ეს დღე ყველაზე მეტად ერთი რამის გამო ჩამებეჭდა გონებაში. ისინი გავიდნენ თუ არა, ერთი მესხი შემოვიდა. როგორც

ჩანდა, ერთმანეთს არ იცნობდნენ. შევხედე და გამეცინა — პირწავარდნილი ქართული სახე, ქართული თვალები, ულვაშები. ძალიან ჰგავდა ერთ ჩემს ნაცნობს. მეგობარი მესხის ბარათი გადმომცა. დავიწყეთ საუბარი, მაგრამ შეურიგებლად აგრესიული იყო. მაშინვე იერიშზე გადმოვიდა და მუშტების ქნევა დამიწყო, რა უფლებით გაგვასახლეთ აქედანო. ვაცალე, სანამ დაიცლებოდა. შემდეგ მოთმინებით, მშვიდად დავუწყე ახსნა. მაინც სიძულვილითა და მტრობით ანთებული თვალებით მიყურებდა.

გაავებულს თვალი გავუსწორე და ღიმილით ვუთხარი:

— ო, როგორ გძულვარ, ჩემს სისხლს დალევ, ალბათ. მაგრამ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ... ჰო, ჰო, მართალს გეუბნები, ძალიან მიყვარხარ. რომ შეგეძლოს ჩემს გულში ჩახედვა, უზარმაზარ ერთგულებას, თანაგრძნობას და სიყვარულს დაინახავდი იქ.

კიდევ უფრო დამაკვირდა, თვალებში ჩამხედა, სადაც აშკარად იმას ამოიკითხავდა, რასაც სიტყვებით ვეუბნებოდი. დაიბნა. მერე თვალი მცირე ხნით მომაცილა, კვლავ გამისწორა და გაკვირვებულმა მკითხა:

— რატომ, რისთვის გიყვარვართ? მე ხომ მძულხართ...

— იმიტომ, რომ შენ ჩემი დაჩაგრული ძმა, ჩემი სისხლი და ხორცი ხარ. შენთვის, როგორც ძმისთვის, ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი ჩემს ხელთ არის.

სულ მოტყდა. რისხვა გაუქრა. არა, ამას არაფრით მოელოდა! ატყობდა, რომ რასაც ვეუბნებოდი, გულიდან მოდიოდა, — ამის დასტურს ჩემს თვალებშიც პოულობდა. საჩხუბრად, სალანძღავად მოსულ-მომართული ცის ჩამომხობას უფრო მოელოდა, ვიდრე ამას...

— მაპატიეთ, არ ვიცი, რა დამემართა, თქვენ რა შუაში ხართ... — წაილუღლუღა დარცხვენილმა.

აი, რას ნიშნავს სიყვარული, აი რა გზით მივაღწევდით წარმატებას, აი, რა იარაღზე ვთქვით უარი ჩვენივე ნებით!

...და ასეთ ვითარებაში, როდესაც აგორდა უზარმაზარი ტალღა სიძულვილისა, როდესაც ქუჩაში ეგზალტირებულ ადამიანებს შორის დავიარებოდი, რომლებიც კარგად იცნობდნენ ჩემს საქმიანობას, არ დავმალულვარ, პირიქით, რაიონულ გაზეთ „ბორჯომ-

ში“ გამოვაქვეყნე ვრცელი წერილი იმის შესახებ, თუ ვინ არიან „თურქი მესხები“, რა წარსულის, რა დღევანდელობის ხალხია, რა აწუხებთ, რა გასაჭირი ადგათ, მკითხველს განვუმარტე ფერგანის ტრაგედიის მიზეზები და მიზნები.

სწორედ იმ დროს ერთი კვირით თბილისში ჩამოვედი. როდესაც დავბრუნდი, აი, რა ამბავი დამხვდა ბორჯომში:

თანდათან ძლიერდებოდა ხმა იმის შესახებ, რომ მესხეთში „თათრებს“ აბრუნებენო. ამით ძალზე შეწუხებულები იყვნენ იქ ჩამოსახლებული იმერლები. ადიგენიდან სამი ოჯახი აყრილა და იმერეთში გადასასვლელად გამზადებულა. ეს შეუტყვია ბატონ გიორგი ზედგინიძეს, ჩასულა, დაუმშვიდებია ისინი და უკანვე დაუბრუნებია საკუთარ კერიაზე.

მსგავსი ამბის თვითმხილველი მეც ვარ და ვიცი მესხეთელი იმერლების პოზიცია. ისინი დეპორტირებულთა ადგილებზე ცხოვრობენ და ძალზე მგრძნობიარედ და მტკივნეულად აღიქვამენ მათი დაბრუნების საკითხს. ამიტომ არ არის გამორიცხული, მართლა აიყარონ და მიატოვონ იქაურობა, რაც ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება. ამის გამო, ვფიქრობ, რომ მაჰმადიანი მესხები ძირითადად გუჯარეთის ხეობაში უნდა ჩამოვასახლოთ (რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქ ოსები აღარ დაბრუნდებიან), ნინოწმინდისა და წალკის რაიონებში, სომხეთის საზღვრის გასწვრივ, თანაც ისე, რომ ჩვენს აზერბაიჯანელებს შეხება არ ჰქონდეთ მათთან; დანარჩენები კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში უნდა დასახლდნენ.

ზემოთ აღვნიშნე, რომ მაჰმადიან მესხებთან ურთიერთობამ უამრავი თავსატეხი გამიჩინა და ჩემი თანამდებობრივი წინსვლის პროცესიც შეაფერხა. რაიკომში სხვები წინაურდებოდნენ, მე განყოფილების გამგედ ვრჩებოდი. ხოლო 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში, რომლის დროსაც ყველაზე მაღალი რეიტინგი მქონდა დეპუტატობის კანდიდატთა შორის (ასე უჩვენა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ — გამოკითხულთა 36% მიჭერდა მხარს), ჩემმა მოწინააღმდეგეებმა მოსახლეობაში „თურქი მესხების“ საკითხი ააგორეს, რამაც ფაქტობრივ გადაწყვიტა არჩევნების ბედი.

მაჰმადიანი მესხების საკითხის უკულმა დატრიალების საქმეში დიდი იყო გამსახურდიას მთავრობის წილი. მოვიდა თუ არა „მრგვალი მაგიდა“ ხელისუფლების სათავეში, ლანძღვა-გინებით შეხვდა მესხების დელეგაციას, რაც ტელევიზიითაც გადაიცა. მოლაპარაკების მაგიდასთან ერთ მხარეს ისხდნენ ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები, საგარეო საქმეთა მინისტრ ხოშტარიას ხელმძღვანელობით, ხოლო მეორე მხარეს — „თურქი მესხები“, რომლებსაც თავკაცობდა... იუსუფ სარვაროვი(???). პატივს ვცემ ბატონ ხოშტარიას, რომელიც განათლებული პიროვნება ბრძანდება, მაგრამ რა იცოდა მან მესხების პრობლემის შესახებ? ან სხვებმა რა იცოდნენ?! როგორ, საქართველოს დელეგაციაში არ უნდა ვყოფილიყავით ამ საქმის პროფესიონალები: ბატონები შოთა ლომსაძე, გიორგი ზედგინიძე, ვახტანგ ჯაფარიძე, გურამ მამულია, გივი ღამბაშიძე, რეზო ჩხეიძე, ელბერტ ბატიაშვილი, მიხეილ ქურდიანი, ზურაბ მამალაძე, დათო ჯაფარიძე, ელდარ შენგელაია, თემურ ჩავლეიშვილი, ზურაბ ცინცაძე, გულო ანანიაშვილი, გოგა ხაინდრავა, თემურ ლომსაძე, თქვენი მონა-მორჩილი, ქალბატონები: ნაირა გელაშვილი, შურა თევზაძე, თამარ ჩხეიძე და ნათელა მოხევიშვილი? ანუ ხალხი, რომელსაც მთელი სიგრძე-სიგანით ჰქონდა გათავისებული ეს პრობლემა? სწორედ რომ ქართული დელეგაციის წევრთა არაკომპეტენტურობის ბრალი იყო ის, რომ ისინი პროქართულად განწყობილ მესხებს კი არა, პროთურქული ორიენტაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ, რომელთაც იუსუფ სარვაროვი — საქართველოს მტერი -— ხელმძღვანელობდა! შედეგი? შედეგი ის იყო, რომ სარვაროვმა საჯაროდ, ტელევიზიით განაცხადა, თურქები ვართ და თურქებად უნდა დავბრუნდეთ სამშობლოშიო!

ჩვენთვის რომ ეკითხათ, სხვაგვარად დავგეგმავდით და წარვმართავდით ამ შეხვედრას და, დარწმუნებული ვარ, შედეგიც სულ სხვაგვარი იქნებოდა. მოვიწვევდით ქართული ორიენტაციის ლიდერებს ჰალილ გოზალიშვილის ხელმძღვანელობით, ჩვენს ძმებსა და მეგობრებს. ისინი ილაპარაკებდნენ ქართულად და განაცხადებდნენ, რომ ქართველები არიან, სურთ აღიდგინონ ქართული გვარ-სახელები და ქართველებად დაბრუნდნენ დედა-

საქართველოს წიაღში; იმასაც იტყოდნენ, ვინც თურქად თვლის თავს, მისთვის აჯობებს თურქეთში დასახლდესო. ამით აქაურთა თანაგრძნობასაც მოიპოვებდნენ.

ასეთ მიდგომას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა უფრო იმიტომ, რომ მაჰმადიანი მესხების ძირითადი მასა არ არის გარკვეულ-ჩამოყალიბებული იმის თაობაზე, თუ რომელ ორიენტაციას დაუჭირონ მხარი. ისინი ძირითადად პროთურქულობისაკენ იხრებიან იმის გამო, რომ კრემლის ხელშეწყობით სარვაროვი და მისი მომხრეები ძალიან აქტიურობდნენ და ხალხსაც უფრო მათი იმედი ჰქონდა. ეს განწყობილება უაღრესად გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ისინი გამსახურდიას მთავრობამ მიიღო, რითაც პროქართული ორიენტაციის ფრთის ავტორიტეტი შეილახა. ამ შეხვედრამ წყალში გადაგვიყარა ამდენი შრომა და ამაგი.

ერთი ამის მსგავსი დიდი შეცდომაც უნდა გავიხსენო. ფერგანის ტრაგედიის დროს იქ იმყოფებოდა კინორეჟისორი (შემდგომ სახელმწიფო მინისტრი) ბატონი გიორგი ხაინდრავა, რომელმაც, რაც იქ ხდებოდა, ფირზე აღბეჭდა. გოგა კარგად არის გარკვეული „თურქ მესხთა“ პრობლემაში და კომპეტენტური კაცის პოზიცია დააფიქსირა. მან გადაიღო როგორც პროქართველთა, ისე პროთურქთა გამოსვლები. საქართველოს ტელევიზიამ კი მხოლოდ „თურქთა“ გამოსვლა უჩვენა მაყურებელს, რამაც უმძიმესი შთაბეჭდილება დატოვა როგორც მთელი საქართველოს მოსახლეობაზე, ისე პირადად ჩემზე.

1993-95 წლებში მაჰმადიან მესხთა საკითხში ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ბატონი ს. კავსაძის მრჩეველად ვმუშაობდი. ჩვენთან უამრავი მესხი მოდიოდა. რამდენჯერმე მოვაწყვეთ შეხვედრა ბატონ ჰალილ გოზალიშვილსა და ბ-ნ კავსაძეს შორის. იქ მუშაობდა მესხთა საკითხის დიდი ენთუზიასტი, ამ საქმის პროფესიონალი ქალბატონი შურა თევზაძე, რომელთან ერთად 1994 წელს აზერბაიჯანის ქალაქ მინგეჩაურში ვიყავით ლატიფშა ბარათაშვილის ცოლის (მარადისა და კლარას დედის) ორმოცზე. სხვათა შორის, იქ ნანახ მაჰმადიანურ რიტ-

უალებში ვეძებდი და მრავლადაც ვპოულობდი ქრისტიანული რიტუალების ელემენტებს. იქვე მყოფმა აზერბაიჯანელმა ჩემს შეკითხვაზე მიპასუხა, ჩვენ ასეთი წესები არ ვიცითო. სრულიად ნათელი იყო, რომ ქრისტიანული რწმენის ნაშთებთან გვქონდა საქმე.

სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ჩემი არქივი წაიღეს, ვეღარ ვაქვეყნებ უზბეკეთიდან და ყაზახეთიდან ქართულად მოწერილ წერილებს, თქმულებებს, ზღაპრებს, ლეგენდებს...

დრო გადის, რაც უარყოფითად მოქმედებს მაჰმადიან მესხთა თვითშეგნებაზე. მიდის ის ხალხი, ამაყად რომ აცხადებდა, „იერლი" ვარ, „გიურჯიდან დიუნმა" ვარო. დაიკარგა ძვირფასი წლები. დაბრუნების პროცესი 60-იანი წლებში რომ დაწყებულიყო, ამჟამად იგი წარმატებით იქნებოდა დაგვირგვინებული. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში სულ იმას ვაკეთებთ, რაც ყველაზე ცუდი იყო ჩვენთვის, რაც გვანგრევდა და გვფანტავდა. დიახ, დრო ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობს...

1988 წელს დავხატე დიდი ფერწერული ტილო, რომელსაც ჩემი რომანის სათაური „გახლეჩილი რწმენა" ვუწოდე. სურათის ფონზე, შუა ნაწილში, ღრმა უფსკრულია. მარჯვნივ ქრისტიანული საქართველოა და მარცხნივ -- მაჰმადიანური, ცენტრში კი, წინა პლანზე, მაჰმადიანი მესხი დგას (მუნირ მამედოვი დავხატე, ქართული გვარი აღარ მახსოვს), რომელიც შეფიქრიანებულია: ვერ გაურკვევია მისი ადგილი სად არის. ტანის მარჯვენა ნაწილი მაჰმადიანური ხალათით აქვს შემოსილი და იღლიაში ყურანი ამოუდვია, ხოლო მარცხენა მხარეს ქართული ჩოხა-ახალუხი აცვია, ანუ გამოდის, რომ იგი მაჰმადიანი ქართველია. მარცხენა მკლავში მისთვის ხელი ჩაუვლია ივანე ჯავახიშვილს, საქართველოს ისტორიას უამბობს და უმტკიცებს, რომ ქართველია და აქეთ, უფსკრულის მარჯვენა მხარეს უნდა იდგეს. ამ იდეისთვის მებრძოლნი — მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, პავლე ინგოროყვა, შოთა ლომსაძე და სერგი ჯიქია მიხატია ტილოს მარჯვენა, ქვედა ნაწილში, მაჰმადიან მესხებზე მლოცველი დიდი მამულიშვილები, მათი დიდი მოამაგენი. ტილოს მარცხენა მხარეს წინა პლანზე დგანან ლატიფშა ბარათაშვილი,

ჰალილ გოზალიშვილი, ახმედ თენაძე და ხელში ოშკის ტაძრის მაკეტი უკავიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ოშკი მათი წინაპრების აშენებულია. უკანა პლანზე პროთურქული ორიენტაციის ეგზალტირებულ მასას მიტინგს უტარებს იუსუფ სარვაროვი. მესხებს გადმოსვლა უნდათ უფსკრულზე გადებულ ხიდზე, მაგრამ იგი კავკასიონის ჩრდილოეთიდან გადმომდგარ დათვს ჩაუტეხავს.

ტილო ამიერკავკასიის მხატვართა გამოფენაზე გამოვიტანე 2004 წლის 30 იანვარს. ბევრმა დამთვალიერებელმა ნახა იგი. ერთი ახალგაზრდა მოვიდა და ინგლისურად მკითხა, თურქული დროშა რატომ ხატია (სარვაროვის უკან ფრიალებს იგი) და მთებში წამოწოლილი დევი რომ მონასტერს ახრამუნებს, რას ნიშნავსო.

მე ვუამბე „თურქი მესხების" ისტორია, ვუთხარი მისმა სამშობლომ როგორ გაამაჰმადიან-გაათურქა ისინი. მან იწყინა და მითხრა, ალბათ, სტამბულში არ ყოფილხართ და ამიტომ გგონივართ თურქები ეკლესია-მონასტრების „ჩამხრამუნებლებიო". თურქეთში ბევრჯერ ვარ-მეთქი ნამყოფი, ვუპასუხე, ავუხსენი, რომ ესპანელებმა და პორტუგალიელებმა გაჟუჟეს ინდიელები და მათ ნასახლარებზე თავიანთი სახელმწიფოები შექმნეს; გასული საუკუნის 40-იან წლებში გერმანელები ულეტდნენ ევროპელებს, ებრაელებს ცოცხლად წვავდნენ, მაგრამ ეს იყო უწინ. დღეს ესპანელები, პორტუგალიელები და გერმანელები მაღალგანვითარებული, დემოკრატი, ცივილიზებული ხალხები არიან, მაგრამ ინდიელების გენოციდისა და გერმანელი ფაშისტების დანაშაულებათა შესახებ ფილმებს ახლაც იღებენ, რადგან ეს ისტორიაა-მეთქი. თურქებიც, სამწუხაროდ, ისეთივე დამპყრობლები იყვნენ, როგორიც სპარსელები, მონღოლები, არაბები, გერმანელები, მაგრამ დღეს თურქეთი ცივილიზებული ქვეყანაა, ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა-მეთქი. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისტორიის დავინყება ან მიჩქმალვა-გადაკეთება იყოს-მეთქი საჭირო. გამიგო და მშვიდობიანად დავშორდით ერთმანეთს.

თურქეთში იქაურ ისტორიკოსებს შევხვედრივარ. მათი პოზიცია ასეთია: ახალციხის მხრიდან 1944 წელს ცენტრალურ აზიაში გასახლებულ იქნენ ახალციხელი თურქები, რომლებიც

ამ კუთხის აბორიგენი მცხოვრებნი არიან. იმის გაგონებაც არ უნდოდათ, ისინი გამაჰმადიანებულ-გათურქებული მესხები რომ არიან. ეს შორს გამიზნული თვალსაზრისია: თუ იქ ოდითგანვე თურქები ცხოვრობდნენ, მაშინ ეს მიწები თურქეთისა ყოფილა!

ამიტომ, როდესაც იმ ხალხს ჩვენვე თათრებს თუ თურქებს ვეძახით, ამით სამხრეთელი მეზობლის წისქვილზე ვასხამთ წყალს. პირიქით, უნდა ვთქვათ, რომ დეპორტირებულები ეთნიკური ქართველები არიან, რომლებიც ოსმალებმა ჯერ გაამაჰმადიანეს, შემდეგ კი გაათურქეს, რაც ნამდვილად ასე მოხდა.

ახლა მესხთა გასაგონად უნდა ვთქვა ერთი რამ.

ქართული ანდაზა ამბობს, სადაც წახვალ, იმ ქვეყნის ქუდი უნდა დაიხუროო. ერთი ხანობა ბორჯომის საამშენებლო ტექნიკუმში ვასწავლიდი. იქ ერთი შესანიშნავი მოსწავლე მყავდა — მურად ჩაჩანიძე, სწავლით, ქცევით, ზნეობით გამორჩეული. ტექნიკუმი წარჩინებით დაამთავრა.

ერთხელ ცხრამუხაში გზაზე შემთხვევით შემომხვდა. საქონელს მიერეკებოდა. გამახსენდა, იქაური რომ იყო. გავიხარეთ ერთმანეთის ნახვით. შინ შემიპატიჟა, მაგრამ უარი ვუთხარი, ბადრისთან მივდივარ-მეთქი.

— რომელ ბადრისთან? — მკითხა და პასუხის მოლოდინში გაირინდა.

— ბადრი მეტონიძესთან...

— იმ თათართან? — მოეღუშა სახე, — რა გინდათ მაგ ურჯულოსთან?

— ის თათარი არ არის...

— ძალიან კარგად ვიცი, ვინც არის, — მრისხანება ჩაუდგა თვალები, — ახლა მახსენდება, ომაზიო, რომ ამბობდნენ, ვფიქრობდი, ის როგორ იქნება, ალბათ, სხვა ვინმეა-მეთქი...

— რაო, რას ამბობენ ჩემზე?

— ამბობენ კი არა... ესე იგი, თქვენ ნაგვიბილწეთ სოფელი? — და გამწარებულმა მთელი ძალით უცხუნა სახრე ძროხას.

— მურად, მომისმინე...

— არაფრის მოსმენა არ მინდა, ყველაფერი გასაგებია...

— მოიცა, მოიცა...

— რა უნდა მოვიცადო, — აყვირდა ჩემი ყოფილი მოწაფე, — მე თქვენ კარგი თვალით გიყურებდით და თურმე ვინ ყოფილხართ!..

— მოითმინე-მეთქი! — დავუყვირე წონასწორობიდან გამოსულმა, — შენ რა, ჩემზე მეტად გიყვარს სამშობლო? რაც არ იცი, ვინც იცის, იმისგან უნდა შეიტყო!

— ბევრი გცოდნია! ხომ მოამრავლე ცხრამუხაში უზბეკურ-ქუდიანი თათრები! — დამიღრიალა.

რა თქმა უნდა, ზემოთ მოყვანილ ანდაზაში რომ ქუდია ნახსენები, ის მარტო ქუდს როდი გულისხმობს, მაგრამ, რაც ზემოთ გიამბეთ, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მესხებმაც ანგარიში უნდა გაუწიონ ადგილობრივ ადათ-წესებს, კულტურას, თავისებურებებს და „აქაური ქუდი დაიხურონ“.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს მათი დასახლების საკითხი. თვითონ მესხები მოითხოვენ, რომ მაინცადამაინც მესხეთში დააბრუნონ. ჩემს მეგობარ მაჰმადიან მესხებს დიდ ბოდიშს ვუხდი, თუ იმას არ ვიტყვი, რაც მათ ესიამოვნებათ და, ალბათ, ეს მათ დაბრუნებასთან დაკავშირებული ერთადერთი საკითხი იქნება, რომელზეც ჩვენი შეხედულებები ურთიერთს არ დაემთხვევა. კარდაკარ მაქვს დავლილი მესხეთის სოფლები და ვიცი, რომ თუ იქ მაჰმადიანი მესხების ჩამოსახლება დაიწყება, იმერლები აიყრებიან და იქიდან წავლენ. ამაში დარწმუნებული ვარ.

მეორე. უმეტესობა ამბობს, რომ დაბრუნებულნი მთელ საქართველოში უნდა გაიბნენო; ასე მეტი კავშირ-ურთიერთობა ექნებათ ადგილობრივ მოსახლეობასთან და ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია გაადვილდებაო. მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი საფრთხე, რამაც სოფელ ცხრამუხაში იჩინა თავი: ჩამოსახლებულები თავიანთი არნახული შრომისმოყვარეობის წყალობით ეკონომიურად სწრაფად მოძლიერდებიან და ცხოვრების დონით გაუსწრებენ ადგილობრივებს. ამას უსიამოვნება, მღელვარება და სხვა არასასურველი შედეგები მოჰყვება. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველო სავსეა რუსთა აგენტურით და ეთნიკურ ნიადაგზე

პროვოკაციის მონყობა არ გაუჭირდებათ.

ჩემი აზრით, ასე უნდა მოვიქცეთ: მესხების დასასახლებლად უნდა შევარჩიოთ ორი ძირითადი რეგიონი: გუჯარეთის ხეობა და ნინოწმინდა-წალკის ტერიტორია სომხეთის საზღვრის გაყოლებით. ჩამოსახლებამდე დიდი პროპაგანდისტული მუშაობა უნდა გატარდეს ბორჯომის რაიონის მოსახლეობაში და წალკაში ჩამოსახლებულ სვანებსა და აჭარლებს შორის. ამათ უნდა ავუხსნათ, რომ თუკი მანამდე ისინი ამ რაიონში ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდნენ, მესხების ჩამოსახლების შემდეგ ასე აღარ იქნება. სოფლების გამგებლებად უნდა დავნიშნოთ (ამისთვის დროებითი პუნქტი უნდა შევიდეს კანონში) ჩვენი მესხები — ნასაკირალიდან, სამტრედიიდან, ახალციხიდან, რომლებიც საქართველოში კარგა ხანია ცხოვრობენ. ხოლო ისეთები, როგორებიც არიან, ვთქვათ, ამირან ყურაძე და ისო მოლიძე, უნდა დაინიშნონ წალკისა და ნინოწმინდის გამგებლების მოადგილეებად მესხების ჩამოსახლებისა და მათი პრობლემების მოგვარების დარგში. გუჯარეთის ხეობის გამო ბორჯომის რაიონის გამგებელი ან მისი ერთ-ერთი მოადგილე მესხი ან ამ საქმის პროფესიონალი უნდა იყოს.

განსაკუთრებულად არაპროქართული მესხები კი უნდა გაიბნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, თუმცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ნამით არ უნდა მოადუნოს ყურადღება მათ მიმართ.

უპირველეს ყოვლისა, პროქართული მესხები და საქართველოში დამკვიდრებულთა ნათესავები უნდა ჩამოვასახლოთ; მაის-აგვისტოს თვეებში ყოფილ პიონერთა ბანაკებში უნდა შევკრიბოთ მესხთა ბავშვები და ერთთვიანი მეცადინეობები ჩავუტაროთ, რომელთა პროგრამებში იქნება ენისა და ისტორიის შესწავლა, ქართული კულტურის გაცნობა, პატრიოტული ფილმების ჩვენება, ექსკურსიები, შეხვედრები გამოჩენილ პიროვნებებთან, სპორტული ღონისძიებები და ა. შ.

ჩამოსახლების სახელმწიფო კომისიაში მთავრობის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად უნდა იყვნენ ამ საქმის სპეციალისტებიც და დიდი ხნის ჩამოსახლებული მესხებიც (ისო მოლიძე,

ამირან ყურაძე და ტელმან ერისთავი).

როგორც იაკობ გოგებაშვილი ამბობდა, ზნეობრივად, მორალურად, ეკლესიურად ყოვლად მიუღებელია ისეთი კაცის პოზიცია, რომელიც ფიქრობს: თუ მე ცოლს წავართმევ მეზობელს, ეს სიკეთეა, მაგრამ თუ მე ცოლს წამართმევს მეზობელი, ეს ბოროტებაა. რაც ჩვენ დავმართეთ მესხებს, იგივე გადაგვხვდა აფხაზეთსა და ცხინვალში. ღმერთი უნდა გვწამდეს არა ფორმალურად, მოსაჩვენებლად, არამედ შინაგანად, სიღრმისეულად. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ იმაში, რომ აფხაზეთში ჩვენი დაბრუნება „ზემოთ" მაშინ გადაწყდება, როდესაც „ქვემოთ" მესხების საკითხს მოვაგვარებთ.

ღრმად მწამს, უდიდესი სირთულეების მიუხედავად, მესხების ჩამოსახლება დიდი სიკეთის მომტანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

[illegible]

[illegible] ბინაში [illegible]
[illegible] (ან [illegible]). [illegible]
[illegible] ან [illegible]. [illegible]
[illegible] ან [illegible]
[illegible] ბინაში [illegible]
[illegible] ან [illegible]
[illegible] ბინაში [illegible]
[illegible] ან [illegible]
[illegible] ბინაში

I

[illegible] ეროვნული, ეროვნული [illegible] ! [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

* * *

გამარჯვებათ ძვირფასო, პატივცემულო, ქართველი ერის პატრიოტო, ერის გამრავლების მებრძოლე გმირო, ბატონო ომაზი!

მივიღე თქვენი გამოგზავნილი წერილები, დიდი მადლობას მოგახსენებთ. როგორ ბრძანდებით, იმედი მაქვს კარგათ და ჯანსაღათ იქნებით ბერ-მუხასავით. დიდებულმა უფალმა, ღმერთმა სიკეთე და ბედნიერობა, სიხარული არ მოგაკლოთ თქვენი ოჯახში. საქართველოში ჩამოსული ჩვენი მესხები შოთა რუსთაველის შვილის შვილები თქვენი ძმები, ხორცითა და სისხლით სულ ახლო ნათესავები ქართველი მაჰმადიანები ყველანი მოგიკითხავთ დიდი სიხარულით და სიყვარულით, გვაპატიეთ, რომ წერილის პასუხი ვიყავი ავათა!

ბატონო ომაზ, დიდ მადლობას მოგიძღვნით მესხების ისტორიული, ობიექტური საქმისთვის, რომელიც თქვენ ბრძოლობთ ერის გამრავლებისა და მესხი ქართველების საქართველოში ჩამოყვანისათვის. ეს ობიექტური დაფასება განუზომელია...

ბოდიშ გთხოვთ, ერის ხაინი სარვალოვის სიტყვით მტერათ თვილით. სუფთა ქართველ მესხებს შ.რ. შვილიშვილები

მოვისმინოთ ა. წერეთელი ჩვენი ერის სულიერ მამას: — მაჰამადიანი ქართველები ჩვენი ძმები არიან, ჩვენი ცალ-ცალეობა (მაჰამადიანი და ქრისტიანი ქართველებისა) ჩვენი გაყოფა ორად — ჩვენი ბედისა და ძალის განახევრება არის, როგორც ძველად, ისე დღესაც უთქვენოდ ჩვენი ჭირი ორკეცდება და ლხინი კი ნახევრდება, თუ თქვენ ცუდ მდგომარეობაში გიგულებთ, მაშინ ჩვენი კეთილდღეობაც აღარაფრად გვიღირს.

ბატონო ომაზი, ამაზე ცუდი მდგომარეობა როგორ იქნება ათასობით სახლები უზბეკეთში დასწვეს, 2-3-წლიან გოგონებიდან, 80-წლიან მოხუცი ქალები თავიანთი მამა-პაპის ნინაშე ნამუსი გააფუჭეს მერე ყველანი მოჰკლეს, ბენზინით დასწვეს Известия 28.IX-89 g. «Кувинское дело», «Журнал Огонёк», газети и ферганское трогедия. წაიკითხეთ, ნახეთ, როგორ უნდა მოითმინოს ადამიანი, ქართველობა. აი, ეს მოხდა მაშინ, როცა ჩვენი მესხები საქართველოში ააღდგინეს ქართული მამა-პაპური

გვარები, ეროვნება და ზოგმა ქრისტიანობა. 45-წელი იმათდან როგორც ძმები ვიყავით, როცა გაიგეს, რომ ჩვენ ქართველობა მივიღეთ, დაიწყო მტრობა. მოვისმინოთ წმინდა ილია მართალს:
— ...მძლავრობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ, ძმები — ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდენი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი... სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთს ვიძმოთ (ი.ჭ.). ვისაც გულში ერის გამრავლების სიყვარე აქვს, ეს ძვირფასი სიტყვები საყოფია...

რათ გვინდა მოვისმინოთ ლაწირაკი, ტრაქტორისტი სარვალოვს, როცა ჩვენი ერის გოსანები ა. წ. და წმინდა ილია ასე აფასებს მაჰამადიანი ქართველები. ვინც შეინახა ქართული გვარი, შობლიური ენა. აი, ასეთი კაცებიც კეთით, ჯოხით გარეკეს საქართველოს ტერიტორიიდან.

აყეფებული უზბეკი ხოცავდა, რომ რისთვის მიიღეთ ქართველობა. საწყალი მესხები ჩამოვიდა საქართველოში, რომ ქართველები ჩვენი ძმები არიან, იმითი გულისთვის დახოცეს ტრაგედიულათ, ისინიც 22 ოჯახი 80 კაცი უმრავლესობა მოხუცები, ქალები და ბავშები სუფთა ქართველი მესხები ღამე საათის 5:00 მოიყვანეს ორი ავტობუსი რაიონის ყველა აპარატი, მილიცია, პროკურატურა, რაიკომის მუშაკები და არაფორმალური საზოგადოების წევრები თითოულათ სახლებიდან მოკრიფეს, მოიყვანეს დააჯდვინეს ავტობუსებში, ჩაიყვანეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და ჩაყარეს იქ, რომ გამრავლდეს აზერბაიჯანი...

ბატონო ომაზ, მაშინ რათ გინდათ თურქეთის, ირანის ქართველობის ჩამოყვანა საქართველო როგორი სახით შეუძლია წავიდეს თურქეთში ლაზებს, ჭანებს, მესხი ქართველებს უთხრას, რომ მობრძანდით, ჩამოდით საქართველოში. დიდი შეცდომაა ქართველი მაჰამადიანები, სულ სოფლისში ვართ 10-მილიონზე მეტი, რომელიც შეადგენს 75%. საქართველოში მრავალი სოფლები, კუთხე-უბნები მოისპო მესხეთის მოსახლეობის შედარებით ხაშურსა და გორის რაიონებში ნახევარიც არ არის, დაინგრა სოფლები, მოსავალის მაშინდელი მოსავალის, რომელ-

იც სულ ფიზიკურათ მუშაობდნენ 25-30%-იც არ არის. მარტო მესხეთი კი არა დაიღუპა, მოისპო რაჭა. სოფლებში 15-20 წლის განმავლობაში ბავში არ იბადება. ასევე სვანეთი, მაღალმთიანი სოფლები...

ბატონო ომაზი, როგორც ერის პატრიოტი შვილი უნდა იბრძოლოთ ერის გამრავლებისათვის, გააგებინეთ თურქების საქართველოში ჩამოსვლა არავის, ჩვენ არ გვინდა, ვერც ჩამოვლენ მარამ შეინახა შობლიური ენა, გვარი, ვინც ქართველობს, ვინც აღადგინა გვარი ეროვნება, ანთუ უნდა აღადგინოს ასეთები უნდა ჩამოვიყვანოთ ამორჩევით. ყველა ნაიკითხოს საქართველოს პატრიარხარი ილია II: „ჩვენ გვინდა თუ არა, ადრე თუ გვიან ეს ხალხი (ქართველი მაჰმადიანები) დაბრუნდება საქართველოში. ვერავითარი ჯარი და ძალა მათ ვერ შეაკავებს", „ქართველი ფილმი", 28/VI-89. დასავლეთი გერმანია ნახა, რომ გამრავლება არ არსებობს, სპეციალისტების ანგარიშით 2020 წლამდე დარჩებოდა 50 მილიონი მოსახლეობა. აი, ეს გენიოსებმა, ნემცებმა, რომლებიც შორს სხედავენ, დაიწყეს ნემცების უცხოეთებიდან ჩამოყვანა. ასეთვე საბჭოთა კავშირიდან. ჩვენ რა თვალებს ვხუჭავთ ასეთი მუშა ადამიანი, ჰალალი, ნამუსიანი, 12 წელიწადია, გამოცდა გაიარეს. გეგმებს ასრულობენ, უმაღლესი დამთავრებულები ხელით ჩაის კრეფავენ, ტრაქტორისტათ მუშაობენ. არც მილიციის, არც პროკურორის კარები არ იციან.

ქრისტიანების მტერები არ არიან, არ იქნება 3 საუკუნეში მესხეთში შეინახეს თურქების დროს შობლიური ენა, ქართული გვარები და ასი ათასობით ქართველი ქრისტიანი და ფრანგები. ადიგენის რაიონში იყო 72 სოფ. აქედან ორი სოფელი პრალი და უდე იყო ფრანგები. არსად არ წერია ისტორიაში, რომ სამი საუკუნესის მანძილზე, ერთმა მახამადიანმა სოფელმა მესხებმა შეტევაში არ მისულან, პირიქით, სახლებში შეინახეს. ენით ყველაფერი შეიძლება, მარამ ძველი ისტორიული საბუთებში წერია მარტო ძმობა, მეგობრობა, ნათესაობა.

ბატონო ომაზი, მრავალს ქართველ ქრისტიანს ეჯავრება, რომ ჩვენ მესხები მაჰამადიანები ვართ. ნახეთ თქვენი გარშემო აჭარელები ვინ არიან? რა გამსხვავებაა პირიქით სულ სუფთა

ქართველები ჩვენ ვართ და ჩვენ ძარღვებში დუღს სუფთა ქართული ერის სისხლი. ჩვენ მესხებს, ვინც შევინახეთ შობლიური ენა, ქართველი გვარები, ეროვნობა, რო შეიკითხო სულელს, შავკანიან ნეგირსა, იტყვის, რომ ისინი არიან ქართველები და სუფთა ქართველები ქართულ არენტაციის ყველა მესხი, თქვენ და ჩვენ ვიბრძოლოთ საქართველოში ნელ-ნელა ამორჩევით უნდა ჩამოვიყვანოთ. ვინც ამის წინააღმდეგი იქნება, ასეთი კაცები ერის მტრებია! სუფთა პანთურქისტები არიან. ყველა ქართველმა იბრძოლოს ერის გამრავლებისათვის და სამშობლო ბედნიერი მომავალისთვის, ვინც არ უნდა ქართველი მესხების საქართველოში ჩამოყვანა აი, ასეთი კაცები ეხმარებიან თურქულ არენტაციის ეროვნების გამრავლებას. პირადათ ასეთი კაცები გინდ 2-3 დიპლომი ჰქონდეს ჯიბეში, ჩვენი სამშობლო საქართველოს და მესხეთის ისტორია არ უსწავლიათ, ან თუ არა იციან, მარამ შეგნებულათ არ უნდათ სიმართლის თქმა, რომ „მაწონი თეთრია" პირიქით — ასეთი „პატრიოტებს" ხალხის წინაშე უნდათ დაამტკიცონ რომ მაწონი „შავია".

ვინც მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისი მტერია.

არათუ თავისი მტერია, სამშობლოს მტერია, ერის მტერია. ძალიან გთხოვთ, ყველას გააგებინოთ, არც ჩვენ გვინდა თურქულ არენტაციის მესხების ჩამოყვანა. იუსუფ სარვალოვი ჩემი მტერია. ზუგდიდში ზ. გამსახურდია, ჯუნბერ კოპალიანი, გურამ მამულია იყვნენ ჩემთან, როცა მინდოდა იმის თავი თხასავით მომეჭრა, მარამ ეს ხაინმა, ხარამმა პრავაკოტორმა გაიმარჯვა.

ყველა მესხს გააგებინა ქართველებს არ უნდათ მესხების საქართველოში ჩამოყვანა. გინდა მიიღოთ — აღადგინეთ ქართული გვარები, გინდა დაიწერეთ, რომ ქართველი ვარ, გინდა მიიღეთ ქრისტიანობა და ათი ჯვარიც ჩამკიდეთ ყელში, სულ ერთია, არ უნდან ჩვენი ჩამოყვანა. მაგალითად, მინისტერთა საბჭოს საბუთებით მესხეთში უნდა ჩამოსულიყო 100 ოჯახი, 60 ოჯახი ახალციხეში, 30 — ადიგენში და 10 ოჯახი ასპინძაში. აქედან 10-15 ოჯახობა ვისაც იცოდა ქართული ენა, გვარი ეროვნობა ქართველები იყვნენ, ჯოხი-კეთით მოხუცები, ინვალ-

იდები, ავადმყოფი სტუმრათ ჩასული მესხები პატიაშვილის ბრძანებით გალახეს, გასისხლიანეს, გარეკეს მესხეთიდან. ამისათვის არავის არ მეწყინა იმისათვის, რომ უკვდავი პოეტი, გოსანი შოთა რუსთაველიც კეთით-ჯოხით ძალით გააქციეს, გაიყვანეს საქართველოს ტერიტორიიდან. ეს რას ნიშნავს, ყველა შ. რუსთაველის შვილებს, შვილიშვილებს შუბში ასე წერია. გინდა შ. რუსთაველი, გინდა მისი შვილიშვილები ჩვენი მესხების ძალით გარეკვა, გალახვა ქართველ მამა-პაპის წესით დიდათ დიდი სირცხვილია და ნამდილი ქართველს არ ეხევა აი ასეთი მოქცევა, ხასიათი.

როცა ინგლიზელებმა ომი ატეხეს აფრიკაში, ერთი პატარა თავრობის ორმა ქართველმა გმირმა კანდელაკი და მისი ამხანაგი წავიდა ძმურ დახმარებისათვის, უცხო ერს. ჩვენმა მესხეთის მესხებმა რა შერცხვეს და 2-3 მესხის გალახვისათვის მთელი სოფლები ცულით, ორთითით, კეთით გამოვიდნენ წინააღმდეგ (სოფ. ბოლაჯურში, აბასთუმანში, ბოგაში, მუგარეთში, სოფ. ვალეში). სამი წელიწადი 1918-1920 წლებში, როცა თურქეთის 4-არმია ბუზებისავთ ჩამოსულა მესხეთში ჩვენი ქრისტიანი, ფრანგი ძმები სახლებში შევინახეთ და ხინკალს, ხაჭაპურს, ლუხუმს ვაჭმებდით. გოზალიშვილი სოსკა ერთ-ერთი დიდებული კაცი, გოზალიშვილი ვასოს (ვალე) პეტროვის პაპა ორმა თურქეთის აფიცერმა მოსაკლავათ მიჰყავდათ. გზაში იდგა მახამადიანი რძალი ბერიძე ფირუზა, რომელიც მეზობლები იყვნენ. სოსკა ბიძია ქართულათ შეატყობინა, რომ უნდათ დამხვრიტონ. აფიცერები ქართულათ არ იცოდნენ. ეს პატარძალი მივიდა სოსკა ბიძას კისერში შეიხო კლავები და დაინყო წრიპინი. ამ დროს, ჩვენი მამაკაცები თოფებით მოვიდნენ, ამ ჯალლათების ხელიდან აიღეს, გამოარჩინეს სიკვდილს. ასეთი ეპიზოდები ასობითათასობით. ბატონო ომაზი, ქართველ ერის მტერი ჩვენ კი, ან ჩვენი მესხები კი არა, სადაც თქვენ საქმით ყოფილხართ თურქეთში აი პირადათ ისინი ყიზილბაშები არიან. თურქები რომ უკან მიდიოდნენ ძალით უნდოდათ მესხების თურქეთში ნაყვანა, მარამ ჩვენმა ქართველმა მესხებმა იპასუხეს, რომ — როცა მახველით შეგვეშინდა ცხვარი დავკალით, როცა სულ გადაშენდებით

წახვალთ ხარს დავკლამთ. ბატონო ომაზი, 45-წელიწადში თურქეთში ვინ გადავიდა შეიკითხე პაგრანატრიადის მუშაკებს: რუსები, ესტონელები, ქართველები და სომხები. ჩვენმა ერთმა მესხმა არ გადასულა, რომელიც ათასჯერ კარგათ იცოდა გასვლის გზა-კვალი. ეს რას ნიშნავს, ჩვენ თურქები არა ვართ, არც გვიყვარს თურქები ყურგძელა, თავდიდი ულაყვირი სარვალოვი ან თუ მისი 100-200 ხაინი, პრავოკატორების სიტყვით ნუ დაკარგავ სუფთა ქართველი ერის შვილები მესხები. ჩვენი ერის სულიერი მამა გოსანი ა. წერეთლისა და წმინდა ილია მართლის დაწერილი სიტყვა იყოს მაგალითი, ასეთი დიდებული ადამიანები შეცდომას დასწერდენ? აი, ეს ადამიანები რომ ცოცხალი ყოფილიყვნენ, ჩვენ ყველანი საქართველოში, მესხეთში ვიქნებოდით. აფსუს, რომ მიწისქვეშ არიან. ბატონო ომაზი, საუკუნეების მანძილზე ქართველი ერი, ინტილიგენცია და ყველა პატრიოტი ბრძოლობს საზღვარგარეთ მყოფნი: თურქეთში, საფრანგეთში, ირანში და სხვა საქართველოში ჩამოყვანა, 20-ოჯახი ირანიდან ჩამოვიდა მარამ 9-ოჯახი უკან წავიდა. რამდენი ფულები იხარჯება ამისათვის. თუ საქართველოს მსურს და უნდა თავისი ძმები ფრიდონელები, ლაზები, ჭანები, აჭარელი-მესხები თურქეთიდან, ირანიდან ჩამოყვანა, პირველათ აუცილებლად უნდა ჩვენი მესხების ჩამოყვანა და კარგი პირობების შექმნა. ჩვენ მესხები იმითი ჩამოსვლის ხიდი და სარკე ვართ. როცა დაინახებენ ჩვენი პირობები ყველა ჩამოვა. ამას ეჭვი არ მეპარება.

ბატონო ომაზი, ჩვენ ქართველი მესხები ძალიან გახარებულნი ვართ თქვენი ასეთი ძმური ყურადღეობისათვის და თქვენი დახმარების გამო. ახლა, როდესაც ჩვენი ხალხი უდიდესი ნაწილი დაიფანტა რუსეთის შორეულ ოლქებში, გაშორდა მშობლიურ ქვეყანას მოცილებულია, რომ სამშობლო არ დაკარგოს თავისი შვილები საჭირვოა თქვენი ძმური, გულთბილი დახმარება ჩვენი დაჩაგრული მესხების ბედისადმი. ველოდებით დიდი საქმის გაკეთება.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, რომ ეს მესხები იყოს დაბრუნებული საქართველოში და იმითი ბავშები ისევ შეაღოს მშობლიური სკოლის კარები, ისევ დააკავოს ხელში ი. გოგებაშვილის უკვდავი

„დედა-ენა“. ჩვენმა მომავალი თაობა მუდამ ჟამს და აფასებს თქვენ ამაგს. გულთბილი, ძმური ყურადღებისათვის გიხდით დიდ მადლობას და კეთილ სურვილებს გისურვებთ თქვენს კეთილ მშობლიურ საქმიანობაში, როგროც ვიცით, თქვენ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი ქართველ ერის პატრიოტი სარდალი ბრძანდებით. იმედია, საქართველოს ამ გაჭირვებულ დღიებში თქვენს კეთილ თვალს არ მოვშორდებით, ისევ ინტერესთა სფეროში გეყოლებით, რადგან ერთად ვიბრძოლოთ საერთო საქმისათვისა, ერთად ვიაროდ იმ გზაზე, რომელიც სამშობლოს მომავალი ბედნიერებისაკენ მივყავართ.

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გიხდით ჩვენი დაფასებისათვის და სიყვარულისათვის. ველოდები სტუმრად ჩამოსვლასა და წერილს

დიდი პატივისცემით და გულითადი სიყვარულით
თქვენი ქართველი მესხი ძმა
ჩახო ჩიტაძე



ომაზ ჩხეიძე სამარყანდში



ომაზ ჩხეიზე ისო ისლამოვთან (აბულაშვილი) ერთად

ომაზ ჩხეიძე და გიორგი ზედგინიძე უზბეკეთში

ბორჯომელები რეგისტანის მოედანზე მესხებთან ერთად

РЕЗЮМЕ

Предлагаемой книгой «Кавказский дом» продолжает освещать проблему месхетинцев, депортированных из Южной Грузии в 1944 году. Автор приступил к изучению этой болезненной проблемы с 70-х годов прошлого века. Он лично познакомился с многими переселенными месхетинцами, подружился с ними, ездил к ним и в Центральную Азию и выражал им соучастие и поддержку от той части грузинского народа, которую ничто не могло заставить потерять способность сострадания и желание восстановить историческую справедливость.

SUMMARY

By publishing this book, the Caucasian House continues acquainting a reader with the problem of the Meskhetians deported from Southern Georgia in 1944. The author set about studying this sore problem in the seventies of the past century. He met many outcast Meskhetians and made friends with them, he even made a visit to Central Asia to express his sympathy and to hearten them on behalf of the Georgians who have not lost the feeling of compassion and have perfect confidence in reestablishment of justice.

გამოიცა ჰაინრიჰ ბიოლის
ფონდის ხელშეწყობით
(გერმანია)

Published by support of
Heinrich Boell Foundation
(Germany)

ომაზ ჩხეიძე

ჩვენი მესხები

თბილისი
2007

Omaz Chkheidze

OUR MESKHETIANS

Tbilisi
2007

გამოცემის რედაქტორი ლეილა სიხარულიძე

დამკაბადონებელი ნიკა გელაშვილი

ოპერატორი ნინო პიპინაშვილი

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი
„კავკასიური სახლი“
თბილისი, გალაკტიონის ქ. 20